# საერთო გაზეთი

№28 (620)
ოთხშაბათი
4 აგვისტო,
2021წ.
ფასი 1.50 ლ.


## 100 დღე და კიდევ 20 საუკუნე



### მადლობა საქართველოს ხელისუფლებას იმ სიმამაცისა და გამბედაობისთვის, რაც მან 28 ივლისს შარლ მიშელის დოკუმენტთან დაკავშირებით გამოიჩინა

საქართველოს ხელისუფლებამ პირველი ნაბიჯი გადადგა, ახლა ჯერი ამერიკის შეერთებულ შტატებზე, ევროკავშირზე, თვით ბატონ შარლ მიშელზეა, რომ ამ თამამი გადაწყვეტილების მნიშვნელობა სწორად გაიგონ, სწორად შეაფასონ და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი მათ საწინააღმდეგოდ კი არ არის მიმართული, არამედ პირიქით, ის დასავლეთთან თანამშრომლობის ახალ პერსპექტივას აჩენს და იმ ამოცანის შესრულებას ემსახურება, რისკენაც დასავლეთი მოგვიწოდებს — ქვეყანაში მშვიდობის, სტაბილურობის, კონსტიტუციური წესრიგის გამყარებას და განმტკიცებას.

რატომ ვფიქრობ ასე და რატომ არ ვეთანხმები კატეგორიულად იმ გამოხმაურებებს, რაც საქართველოს ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა ჩვენი უცხოელი მეგობრების მხრიდან, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ, მანამდე კი კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რა ითქვა 28 ივლისს „ქართული ოცნების“ მიერ გაკეთებულ განცხადებაში:

„ოპოზიციის რადიკალურმა ნაწილმა 100 დღის მანძილზე ხელი არ მოაწერა 19 აპრილის შეთანხმებას, რითაც ძირი გამოუთხარა დოკუმენტის მიზანს, შეამციროს პოლიტიკური პოლარიზაცია და ხელი შეუწყოს ჯანსაღი პოლიტიკური კონკურენციისა და თანამშრომლობის ჩამოყალიბებას პოლიტიკურ პარტიებს შორის.

თუმცა, როგორც იტყვიან, ზოგი ჭირი მარგებელია. 19 აპრილის შეთანხმების ანულირებით, დღეიდან ქვეყანა დაუბრუნდა კონსტიტუციურ ჩარჩოს და პოლიტიკური პროცესები საქართველოში მოქმედი კონსტიტუციური წესრიგის შესაბამისად გაგრძელდება.

წინ გველის ძალზე საინტერესო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, სადაც საქართველოს მოსახლეობა მუნიციპალურ მერებსა და საკრებულოებს აირჩევს. ქვეყანას სჭირდება დამშვიდება. მოვუწოდებთ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს, ხელი შეუწყონ არჩევნების ჯანსაღ და ნაკლებად პოლარიზებულ გარემოში ჩატარებას, თავი შეიკავონ საბოტაჟისგან და მიიღონ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგი, რამდენად უსიამოვნოც არ უნდა იყოს ის მათთვის“.

თითქოსდა ყველაფერი ნათელია. ამომწურავად არის გაანალიზებული ის ობიექტური მიზეზები, რის გამოც „ქართული ოცნება“ იძულებული გახდა, გასულიყო შარლ მიშელის დოკუმენტის ჩარჩოებიდან.

ამ განცხადებაში არც ერთი სიტყვა, თუნდაც ირიბი მინიშნება არ არის იმის შესახებ, თითქოს „ქართული ოცნება“ უარს ამბობს დასავლურ კურსზე, უარს ამბობს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებაზე, ევროკავშირში გაერთიანებაზე და ქვეყანას რუსულ ორბიტაზე აბრუნებს.

ძალიან უნდა მოინდომო, ძალიან უნდა გინდოდეს, რომ მსგავსი რამ ამოიკითხო „ქართული ოცნების“ მიერ გაკეთებულ ამ განცხადებაში, თუმცა, ჩვენდა გასაკვირად, ჩვენი მეგობრებისა და სტრატეგიული პარტნიორების ერთმა ნაწილმა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესიდან თუ ევროკავშირიდან სწორედ ის დაინახა ამ განცხადებაში, რაც მასში არ არსებობს.

ცხელ გულზე, ნაჩქარევად და ნაუცბათევად გაკეთებული ეს განცხადებები არაფრით არ ჰგავს პოლიტიკაში და დიპლომატიაში ჭიპმოჭრილი და დიდი გამოცდილების მქონე პოლიტიკოსებისა და დიპლომატების განცხადებებს, თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება.

საილუსტრაციოდ გთავაზობთ რამდენიმე გამოხმაურებას.

2 გვ. →

## რატომ თვლის სააკაშვილი დასავლეთის პოლიტიკურ ელიტას იდიოტებად?

---

**ნინო წილოსანი:** ჩვენ ამ შეთანხმებიდან გამოვედით და, რაც არ უნდა მოხდეს, აღარ ვაპირებთ დაბრუნებას



## შარლ მიშელის „ბიბლია“ თუ მიშას „დეკამერონი“?

**ფრანკენშტეინები** ესენი სისხლზე დაგეშილი ვამპირები არიან, რომლებიც გვამების გარეშე ვერ ცოცხლობენ...



## 28 ივლისს გადადგმული ნაბიჯით საქართველოს ხელისუფლებამ სუვერენიტეტის დაკარგვის საფრთხე აღკვეთა

**ქალბატონო თეა,** გაათავისუფლეთ „მწერალთა სახლი“ სააკაშვილის „ხლისტების“ ოკუპაციისგან და დაუბრუნეთ მის კანონიერ მფლობელს – ქართულ მწერლობას



## ერიპაა, თბილისის მერობისთვის ბრძოლას თვით გიორგი გახარია აპირებს?

**ბორის ჯონსონი –** დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, სკანდალები... სკანდალები...



„საერთო გაზეთი" – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

# 100 დღე და კიდევ 20 საუკუნე

## დასავლეთმა ხელახლა უნდა აღმოაჩინოს საქართველო, ის ნამდვილი საქართველო, რომლის გადაკეთებასაც ასე მონდომებით ცდილობენ მავანნი და მავანნი

1 გვ.

**ჯიმ რიში:** „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილება, გასულიყო 19 აპრილის შეთანხმებიდან, მთავრობის მიერ პასუხისმგებლობის თავიდან მოშორებაა და, როგორც ჩანს, ეს მიანიშნებს იმაზე, რომ პარტიას მხოლოდ საკუთარი მომავალი აღელვებს და არა ქვეყნის მომავალი. ქართველი ხალხი უკეთესს იმსახურებს“.

**ამერიკელი სენატორების ორპარტიული ჯგუფი:** „აშშ-მ ევროკავშირთან პარტნიორობით მჭიდროდ ითანამშრომლა ქართულ პოლიტიკურ პარტიებთან ძლიერი, მრავალპარტიული შეთანხმების მისაღწევად, რომ გზა გახსნილიყო კრიტიკულად მნიშვნელოვანი მართლმსაჯულების და საარჩევნო რეფორმებისთვის. იმედგაცრუებული ვართ, რომ ყველა არჩეულმა პარტიამ შეთანხმებას ხელი არ მოაწერა, ან კეთილსინდისიერად არ შეასრულა“.

ამერიკელი კანონმდებლების განცხადებით, საქართველოში დემოკრატიის წინსვლის მარცხმა შესაძლოა, გამოიწვიოს დახმარების პირობითობა, საფრთხე შეუქმნას საქართველოს სწრაფვას ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებისკენ და დააზიანოს აშშ-საქართველოს ურთიერთობა, ასეთი შედეგი კი მომგებიანია მხოლოდ კრემლისთვის.



განცხადებას ხელს აწერენ სენატორები: ჯინ შაჰინი, რომ ჯონსონი, ჯიმ რიში, ბენ კარდინი, რონ პორტმანი, კრის ვან ჰოლენი და ჯონ ბარასო.

**დევიდ კრამერი:** „28 ივლისს პარტიამ „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ ანულირებულად გამოაცხადა ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელის ინიციატივით ოპოზიციის ნაწილთან 19 აპრილს მიღწეული შეთანხმება.

...როგორც „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ განაცხადა: „რადიკალური ოპოზიციური პარტიებისთვის 19 აპრილის შეთანხმებაზე ხელის არმოწერა ერთგვარი თვითმიზანი იყო. მათ ამოძრავებდათ ერთადერთი მიზანი, დალოდებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს და გაემეორებინათ პოლიტიკური საბოტაჟი, როგორც კი „ქართული ოცნება“ 43-პროცენტიან საარჩევნო ზღურბლს გადალახავდა“.

**ვიოლა ფონ კრამონი:** „საქართველო არის შარლ მიშელის დოკუმენტის ერთგული და არავინაა დაინტერესებული, რომ უარი თქვას იმაზე, რასაც ხელი მოაწერა. შეთანხმება კვლავ ძალაშია, მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნება“ არ გრძნობს თავს მოვალედ, შეასრულოს ვალდებულება. საქართველო უნდა დარჩეს ევროპულ გზაზე და ეს შეთანხმებაც ევროინტეგრაციის გზის ნაწილია“.

არის კიდევ უფრო მძაფრი და ხისტი განცხადებები, სადაც „ქართულ ოცნებას“ პირდაპირ ბრალს სდებენ ქვეყნის პროდასავლური ორიენტაციის ღალატში და რუსეთთან ფარულ თანამშრომლობაში ადანაშაულებენ, თუმცა ეს ბრალდებები არანაირი არგუმენტით, არანაირი დამამტკიცებელი ფაქტებით არ არის გამაგრებული და განმტკიცებული.

სინამდვილეში, „ქართულმა ოცნებამ“ კი არა, 19 აპრილის შეთანხმება „ნაცმოძრაობამ“ ჩაშალა.

ეს არის სიმართლე, ეს არის რეალობა, რომელსაც, რამდენიც არ უნდა უტრიალო და რა კუთხითაც არ უნდა შეხედო, ვერ შეცვლი და ვერ გადააკეთებ.

**ჩვენო ძვირფასო დასავლეთელო მეგობრებო,** ვინც ხელი არ მოაწერა ამ დოკუმენტს,



განა სწორედ ის ძალა არ ასხამს რუსეთის წისქვილზე წყალს, განა სწორედ ის ძალა არ არის ევროკავშირში თუ ნატოში გაწევრიანების კატეგორიული მოწინააღმდეგე?

გასაოცარი და გასაკვირი ამბავია, რით ვერ გაიგო, რით ვერ მიხვდა დასავლეთი, რომ „ნაცმოძრაობა“ წმინდაწყლის რუსული ძალაა, რომელსაც ხელისუფლებაში ყოფნის რვა წლის მანძილზე ყველა გადაწყვეტილება, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას ეხება, რუსეთის სასარგებლოდ აქვს მიღებული.

ვისაც სიმართლის გარკვევის სურვილი აქვს, ამის დადგენას და ამის დამტკიცებას რა უნდა, როცა სახეზეა უამრავი დოკუმენტური მასალა, ოფიციალურ დონეზე გაფორმებული ხელშეკრულებები, რუსეთზე გასხვისებული და გაჩუქებული ობიექტები და, რაც მთავარია, 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომი, რომლის შედეგად საქართველომ ტერიტორიების 20% დაკარგა, ხოლო ომის წამომწყებად სააკაშვილმა და მისმა „ნაცმოძრაობამ“ საქართველო დაასახელა.

თუ შევისწავლით ომის წინა პერიოდს და იმ იურიდიულ-სამართლებრივი ხასიათის მანიპულაციებს, რაც სააკაშვილმა ამ ორი სეპარატისტული რეგიონის მიმართ ჩაატარა და რაც შემდეგ მის კონტროლს დაქვემდებარებულ პარლამენტს დაამტკიცებინა, აუცილებლად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ აგვისტოს ომი, ეს იყო წინასწარ დაგეგმილი პროვოკაცია, რომელშიც სააკაშვილი და მისი ლიდერშიფი აქტიურად მონაწილეობდა.

ჰოდა, შეისწავლეთ, გამოიკვლიეთ, გააანალიზეთ ეს მასალები, ძვირფასო დასავლეთელო მეგობრებო და ხელთ შეგრჩებათ რუსეთის რეზიდენტი, რომელიც შეთავსებით საქართველოს პრეზიდენტი იყო.

აი, როგორ ეხმიანება ეს რეზიდენტ-პრეზიდენტი სააკაშვილი „ქართული ოცნების“ მიერ შარლ მიშელის დოკუმენტის იძულებით ანულირების ფაქტს:

„ნაციონალური მოძრაობა“ მთელი ეს პერიოდი ასრულებდა შარლ მიშელის ხელშეკრულების უკლებლივ ყველა პუნქტს, მიუხედავად მისი არასრულყოფილებისა. „ქართულმა ოცნებამ“ ფეხქვეშ გათელა



ყველა თავისი ვალდებულება. ამჯერად უკვე ევროკავშირის რეფერენდუმი გარდაიქმნება საერთო-სახალხო რეფერენდუმად — ივანიშვილის ხელისუფლებიდან ჩამოშორებაზე.

ეს არჩევნები მაინც ჩატარდება და მეც ჩემ ვალდებულებას, რომელიც ავიღე ჩემი ერისა და ისტორიის წინაშე, რომ ჩამოვიდე საქართველოში, ამჯერად უკვე სახალხო რეფერენდუმის წინ, ზედმიწევნით შევასრულებ. ივანიშვილი ვერ ეღირსება ამჯერად ქართველი ხალხის ფეხქვეშ გათელვას, მისი ხელისუფლება დამთავრებულია. ახლა უკვე საკითხი დგას ამ ყველაფრის სწორად გაფორმების, მენდეთ, ბოლომდე ვიბრძოლებთ, არასდროს არ გიღალატებთ მე და ჩემი თანამებრძოლები“.

მსგავსი უტიფრობა, მსგავსი უნამუსობა და თავხედობა გსმენიათ ოდესმე?

კაცი, რომლის მოთხოვნით და ბრძანებით მისმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ ხელი არ მოაწერა მიშელის დოკუმენტს, ირწმუნება, „ნაციონალური მოძრაობა“ მთელი ეს პერიოდი შარლ მიშელის დოკუმენტის ყველა პუნქტს უკლებლივ ასრულებდაო.

როგორ ასრულებდა „ნაცმოძრაობა“ უკლებლივ ყველა პინქტს, როცა ამ დოკუმენტზე ხელიც კი არ ჰქონდა მოწერილი?

ამ სიცრუის მთქმელს და მკადრებელს ან პარანოია სჭირს, ჰალუცინაციები აქვს და მართლაც ჰგონია, რომ ხელიც მოაწერა და ყველა პუნქტი შეასრულა, ან ის, უბრალოდ, თქვენს მოტყუებას ცდილობს, თვალში ნაცარს გაყრით, აბუჩად გიგდებთ, გაბოლებთ და დარწმუნებულია, რომ ეს ტრიუკიც გაუვა, როგორც სხვა ტრიუკები გაუვიდა.

კი, მაგრამ, არ არის ეს, ბატონებო, თქვენთვის შეურაცხმყოფელი, თქვენი ღირსების და თავმოყვარეობის შემლახველი?

არ მოგწყინდათ, არ მოგბეზრდათ, არ დაიღალეთ ამ სააკაშვილით, რომელსაც თავის დროზე ვიღაცებმა დემოკრატიის შუქურა უწოდეს, ეს იმ დროს, როცა ეს „დემოკრატიის შუქურა“, ეს თეთრკანიანი იდი ამინი, წარმოუდგენელი სადიზმით და სისასტიკით უსწორდებოდა იმ ხალხს, რომელსაც დღეს ერთგულებას ეფიცება და ჰპირდება, რომ ამჯერად არ დაუშვებს, ივანიშვილმა ქართველი ხალხი ფეხქვეშ გათელოს.

ივანიშვილს სიკეთის მეტი არაფერი გაუკეთებია საქართველოსთვის.

ივანიშვილმა კი არა, ქართველი ხალხი სწორედ მან, სააკაშვილმა, გათელა ფეხქვეშ და იგივეს იზამს, ხელმეორედ რომ მობრუნდეს ხელისუფლებაში.

მე შემიძლია ჩამოგითვალოთ ის უამრავი შემზარავი დანაშაული, რაც ამ არამზადამ ჩაიდინა ქართველი ხალხის წინაშე, მაგრამ ამის საჭიროება, უბრალოდ, არ არის — ყველამ ყველაფერი ზედმიწევნით კარგად იცის, მათ შორის, იცის დასავლეთმაც, რომელსაც დღემდე არ გაუკეთებია სააკაშვილის კრიმინალურ-ფაშისტური რეჟიმის მკაცრი და ობიექტური შეფასება.

სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ქართველი ხალხის ძარცვით, ხაზინის ძარცვით, საქართველოს გაყიდვით ნაშოვნი მილიარდებით უხვად დაფინანსებული „ნაცმოძრაობა“ დღემდე თარეშობს ქართულ პოლიტიკაში და, ნაძარცვი ფულით მოსყიდული უცხოელი ლობისტებით ზურგგამაგრებული, კვლავ ხელისუფლებაში აპირებს მობრუნებას.

ტერორიზმთან გათანაბრებული მოძალადე ძალა „ნაცმოძრაობა“, რომელიც არც პროვოკაციებს ერიდება, არც ავანტურას, არც შანტაჟს და ამ აკრძალული მეთოდებით ცდილობს დასახული მიზნის მიღწევას, სწორედ ამ ძალადობის, სხვადასხვა სახის დესტრუქციული ქმედებების, დესტაბილიზაციის, სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხის შემცველი ნაბიჯების გამო, კრიზისამდე მისული სიტუაციის განმუხტვის მიზნით მოხვდა შარლ მიშელის დოკუმენტში 43%-იანი ბარიერი, რომლის გადაულახაობის შემთხვევაში „ქართული ოცნება“ ვალდებული იყო, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები დაენიშნა, რაც უპრეცედენტო ნონსენსი და სამართლებრივი ნორმების სრული უგულვებელყოფაა.

ისე, როგორც კანონს არ შეიძლება უკუქცევითი ძალა ჰქონდეს, ასევე არ შეიძლება ერთი წლის შემდეგ ჩატარებულმა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა ერთი წლის წინათ ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგები გაანულოს და გააბათილოს, მით უმეტეს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და საპარლამენტო არჩევნები ორი ერთმანეთისგან დიამეტრულად განსხვავებული ფუნქციის და დანიშნულების არჩევნებია.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საშემოდგომო გამოცდასავით გადმოყოლილი ეს 43%-იანი ბარიერი უდიდესი შეურაცხყოფა და დამცირება იყო იმ მილიონამდე ადამიანისთვის, რომლებმაც კოვიდპანდემიის მძვინვარების ჟამს ერთხელ უკვე „ჩააბარეს გამოცდები“.

ვფიქრობთ, „ქართული ოცნე-



ბის“ გადაწყვეტილება რიგგარეშე არჩევნების ჩატარება არ დაუკავშიროს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგებს, აბსოლუტურად სწორია პოლიტიკურად, სამართლებრივად, სახელმწიფოებრივად და ამ გადაწყვეტილებისთვის კუდის გამობმა და სხვადასხვა იარლიყების მიკერება, ვისი მხრიდანაც არ უნდა ხდებოდეს ეს, ყოვლად გაუმართლებელია.

●

„ქართულ ოცნებას“, რაც ის ხელისუფლებაშია, ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს ისეთი, რაც ვინმეს სერიოზულ საბაბს მისცემდა, რომ მისთვის დასავლური ორიენტაციის ღალატი დაებრალებინა.

ეს უსამართლობაა, ეს „ნაცმოძრაობის“ მიერ შემოგდებული ცილისწამებაა, რომელსაც, ჩვენდა სამწუხაროდ, ზოგიერთი პოლიტიკოსი თუ პოლიტიკური ჯგუფები ბრმად და გაუაზრებლად იმეორებენ, რაც ქართველი ხალხის სამართლიან გულისწყრომას და გაკვირვებას იწვევს.

ნუ დავმალავთ — ზოგჯერ ისეთი განცხადებები, ისეთი შეფასებები და მოწოდებები ისმის დასავლეთიდან, რაც პირდაპირ რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს.

ხანდახანს ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს პროდასავლურობის ნიღბით შენიღბული რაღაც უჩინარი და უხილავი ძალა შეგნებულად და მიზანმიმართულად გვიბიძგებს რუსეთისკენ და დაჟინებით ცდილობს, იმ არჩევანზე გვათქმევინოს უარი, რომელიც არც გუშინ გაუკეთებია საქართველოს და არც გუშინწინ.

ეს არის მისი ისტორიული არჩევანი, თავისი კუთვნილი ადგილი დაიკავოს დიდ ევროპულ ოჯახში.

შემთხვევით არ მითქვამს ეს ფრაზა — „თავისი კუთვნილი ადგილი“.

დიახ, საქართველო ევროპის ნაწილია, თავისი კულტურით, თავისი უძველესი ცივილიზაციით, თავისი ფასეულობებით და ღირებულებებით, რომელთა დასაცავად და შესანარჩუნებლად მან უამრავი სისხლისმღვრელი ომი გადაიტანა.

მარტოობის ოცი საუკუნე გამოიარა საქართველომ, რომ აქამდე მოსულიყო და დღეს, როცა ის ასე ახლოა სანუკვარ მიზანთან, ევროპასთან, რატომ ცდილობენ რაღაც ძალები, ათასგვარი წინაღობები და ხელოვნური ბარიერები შეუქმნან შორეული გზებიდან მომავალ დაღლილ-დაქანცულ ქვეყანას?

ახლა კი გთავაზობთ ფრაგმენტებს ჩემი წერილიდან, რომელიც სამიოდე კვირის წინათ გამოქვეყნდა „საერთო გაზეთში“ (№23, 2021 წ.).

„დასავლეთის სახელით, დემოკრატიის სახელით, სიტყვის თავისუფლების სახელით, ზოგჯერ ისეთი ამბები ხდება საქართველოში, რომლებიც პირდაპირ რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს და მის პოზიციებს, შესუსტების ნაცვლად, კიდევ უფრო აძლიერებს.

დემოკრატიული პრინციპების ორნაირი გაგება, ორმაგი სტანდარტი, სახელმწიფოს მშენებლობის და განვითარების საშუალებას არ იძლევა და სახელმწიფო სტრუქტურებისა და ინსტიტუტების დაკნინება-დაბეჩავებას იწვევს.

ასე, მაგალითად, როცა საქართველოს მიუთითებენ, რომ მიუღებელია პოლიტიკური მართლმსაჯულება და სასამართლო სტრუქტურების რეფორმა აუცილებელია და, იმავე დროს, ისინი, ვინც ამას მოითხოვენ, პოლიტპატიმრის სტატუსს ანიჭებენ ხაზინის ქურდებს, პარლამენტზე განხორციელებული შტურმის ორგანიზატორს, განგსტერს და ავაზაკს, სწორედ ეს არის პოლიტიკური მართლმსაჯულება, მართლმსაჯულების მორგება პოლიტიკურ ინტერესებზე.

როცა „ნაცმოძრაობა“, რომელსაც ხელისუფლებაში ყოფნის დროს უამრავი შემზარავი დანაშაული აქვს ჩადენილი, დღემდე არ გამხდარა დასავლეთის მხრიდან სამართლიანი და ობიექტური განსჯის საგანი და როცა ამ ფაშისტური ძალის ხელისუფლებაში მობრუნებას დასაშვებად მიიჩნევ, სწორედ ეს არის პოლიტიკური მართლმსაჯულება.

როცა ადამიანს, რომელსაც თავისი გაჭირვებული ქვეყნის დასახმარებლად სამი მილიარდი დოლარი აქვს გაღებული და ასეთ ადამიანს ანგარიშების დაყადაღებით და სანქციებით ემუქრები, სწორედ ეს არის პოლიტიკური მართლმსაჯულება.

მოდით, ამ უხერხულ დეტალებზე საუბარს დროებით მოვეშვათ და ისევ იმედს, უფრო ზუსტად, იმედის ჩემეულ ვარიანტს დავუბრუნდეთ.

როგორც წერილის დასაწყისში ვთქვი, იმედი მაქვს, რომ დასავლეთი რადიკალურად შეცვლის თავის დამოკიდებულებას საქართველოსადმი და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ საქართველო კავკასიის ცენტრად იქცეს.

ეს არა მარტო საქართველოს, არამედ, პირველყოვლისა, დასავლეთის ინტერესებში შედის.

მხოლოდ ძლიერი საქართველო შეიძლება დასავლეთს გამოადგეს პარტნიორად და საყრდენად, სუსტი საქართველო კი ყოველთვის იძულებული იქნება, ხსნა და საშველი სხვაგან ეძებოს.

საქართველოსთან დამოკიდებულებაში კორექტივები რომ შეიტანოს, ამისთვის აუცილებელია, დასავლეთმა ხელახლა აღმოაჩინოს საქართველო, ის ნამდვილი საქართველო, რომლის გადაკეთებასაც ასე მონდომებით ცდილობენ მავანნი და მავანნი.

საქართველოს და ქართველი ხალხის გადაკეთების მცდელობაც ისეთივე დანაშაულია, როგორც იუნესკოს მიერ დაცული რომელიმე მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული ძეგლის გადაკეთება, რადგან საქართველოც, თავისი კულტურით, თავისი ტრადიციებით, თავისი ტოლერანტული ბუნებით, ადამიანთა შორის ურთიერთობის ნორმებით, გნებავთ, თავისი დემოკრატიულობით, უნიკალური ძეგლია, ძეგლი-სახელმწიფო, რომელსაც კაცობრიობა ისევე უნდა უფრთხილდებოდეს, როგორც საკაცობრიო მნიშვნელობის ძეგლებს უვლის და უფრთხილდება.

საქართველო, არა მარტო, უძველესი ცივილიზაციის ქვეყანაა, არამედ ის თვითონ არის ცივილიზაციათა გზაჯვარედინი, ცივილიზაციათა შემკრები, ცივილიზაციათა საერთო სახლი, მინი-ევროკავშირი, რომელიც საუკუნეებით ადრე არსებობდა, სანამ ევროპელებს ევროკავშირის დაფუძნება მოაფიქრდებოდათ.

— მე ვარ ევროპელი, მაშასადამე, მე ვარ ქართველი! — როდის იტყვიან ამას ევროპელები, რომლებიც, საქართველოში რომ ჩამოდიან, ქვეცნობიერად, ინსტინქტით, სისხლით გრძნობენ, რომ დიდი ხნის წინათ მიტოვებულ მამის სახლში დაბრუნდნენ...“

**ვახტანგ ხარჩილავა**





რეპლიკა

# გაბრაზებულთა ვნებები და გაბრაზებულებზე გაბრაზებულნი

ჩვენი სააგენტოები და ოპოზიციური ტელევიზიები (ტელეარხები) ინტენსიურად და სიხარულით იმეორებენ და გადასცემენ ინფორმაციას, რომ: ევროპა და ამერიკა აღშფოთებული და გაბრაზებულია ერთოულად საქართველოზე და მის ხელისუფლებაზე.

რა მოხდა? რატომ არის აღშფოთებული და გაბრაზებული ევროპა და ნამეტნავად, ამერიკა, რა დააშავა ამ „ობოლმა ქვეყანამ“, საქართველომ და მისმა ხელისუფლებამ?

დააშავა ის, რომ „მიშელის ხელშეკრულებიდან“ გავიდა, რომელსაც 100 დღე ცალმხრივად ასრულებდა! ხოლო ოპოზიციამ და, კერძოდ, სააკაშვილის ფაშისტურ-ლიბერასტულმა პარტიამ და მისმა სატელიტებმა, საერთოდ არ მოაწერეს ხელი ამ ხელშეკრულებას, რომელიც გულისხმობდა კონსენსუსს და ობსტრუქციული ძალების რამდენადმე გონზე მოსვლას, დაწყნარებას...

მაგრამ ეს ასე არ მოხდა, ობსტრუქციული პარტიები და მათი სატელიტი, ჟურნალისტებად წოდებული რეაქციული აგენტურა პარლამენტში შეიჭრა, კათედრებსა და მაგიდებზე შეხტა, ფანჯრებიდანად გადაძვრა, ქუჩის დებოშიც გამოიწვია, საზოგადოებას და პოლიციელებს შეურაცხყოფა მიაყენა, საპატრიარქო სადღესასწაულო... 

რა ექნა, „ქართული ოცნება“ მარტო დარჩა ამ ხელშეკრულებაში, 100 დღე ითმინა, ითმინა და გავიდა!..

მართალია, ხელისუფლებას „თმენის ვალდებულება“ აქვს და ითმენს ეს დაჩაგრული, ობოლი ერი და ქვეყანა, მაგრამ, როდემდე მოითმინოს — სულ ითმინოს და ითმინოს?!

ქართველი ერი და საზოგადოება გაოგნებული და „სახტად დარჩენილია“ იმაზე, რომ: არც ევროპელები, არც ამერიკელები არ გაბრაზებულან იმაზე, რაზეც უნდა გაბრაზებულიყვნენ! მაგალითად, ნაცებმა საერთოდ ხელი არ მოაწერეს მიშელის ხელშეკრულებას!

არ აღშფოთებულან იმაზე, თუ რა დივერსიებს აწყობენ და რა ძალადობას ახორციელებენ ერის ზნეობრივ სივრცეზე, ხელისუფლებაზე თავისი ნარკო-ლიბერალური აქტივით, რეაქციული ტელევიზიებით, ათასნაირი სიცრუისა და ცილისწამების ტირაჟირებით.

ევრო-ამერიკელები საერთოდ არ გაბრაზებულან იმაზე, რომ სააკაშვილის რეჟიმმა საქართველოს XX საუკუნეში დააკარგვინა ტერიტორიების 1/3 — ისტორიული მიწა-წყალი, ქალაქები და სოფლები...

არც იმაზე გაბრაზებულან, რომ ნაცებმა რუსებს გადასცეს (გადაუფორმეს) მთელი სტრატეგიული ობიექტები და ამერიკული სამხედრო ტექნოლოგიები.

ევრო-ამერიკელები არ გაბრაზებულან იმაზე, რაც გასაბრაზებელი იყო და ბრაზდებიან ქვეყანაში კანონისა და საკონსტიტუციო წესრიგის დამყარებაზე — ხელისუფლების მიერ სახელმწიფო სამართლის აღსრულების შესაძლებლობაზე, რასაც ლიბერასტულ-„პედერასტულ“ პრაიდებზე, თავაშვებულ ისტერიებსა და სატელევიზიო აგენტურაზე ძალადობად მიიჩნევენ.

როცა სააკაშვილი „ტრუპებს“ უკვეთავს, გეგმავს (იწვევს) რევოლუციურ ანარქიას ჟურნალისტებისა და ლგბტ-ების პრაიდებით, თქვენ ამაზე არ ხართ გაბრაზებული.

სამაგიეროდ, ქართველი ხალხია გაბრაზებული თქვენს უსაფუძვლო და უმიზეზო გაბრაზებაზე; გაბრაზებულია იმაზე, რასაც ლიბერალურ-ფაშისტური აჯანყებები იწვევს.

რა ქნას ხელისუფლებამ, თავაწყვეტილ ჟურნალისტებსა და „პედერასტებს“ ცალ-ცალკე სახელმწიფო დაცვას ხომ ვერ დაუყენებს, როდესაც ირგვლივ ყველას შეურაცხყოფას აყენებენ?!

ჩვენ აღშფოთებული ვართ ჩვენი უცხოელი მეგობრების უსაფუძვლო გაბრაზებებზე და მოვლენათა არასწორ აქცენტირებაზე.

და მით უფრო აღშფოთებული ვართ გაწიწმატებული ევროპარლამენტარი ქალბატონის ვნებებზე, კუდიანი ვარსკვლავივით (მეტეორივით) რომ შემოიჭრა რომელიღაცა ორბიტიდან ((ეტყობა, სააკაშვილის უკრაინიდან) და პირდაპირ ნაცებთან მიიჭრა, ხელისუფლებას არც დალაპარაკებია, ისე დაგვაყარა ქოქოლა თავზე.

მკაფიოდ ვაცხადებთ: ქართველი ერი, მისი უდიდესი ნაწილი აღშფოთებული და შეურაცხყოფილი ვართ ევრო-ამერიკელთა ასეთი შეუსაბამო გამოხტომებით.

რა უნდათ ამათ ჩვენგან, „ქართულ ოცნებას“ ხომ არაფერი დაუშავებია?!

მაიცდამაინც ჩვენი რუსეთთან შეტენვა უნდათ?!

საზოგადოებას მოსწონს მიშელის ხელშეკრულებიდან გასვლის გადაწყვეტილება, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო! მას მოსწონს ხელისუფლების თავისუფალი ნების ქონა!

ეს იყო სწორი, გაბედული და სამართლიანი აქტი!

რეზიუმეს სახით ვიტყვი:

ნაცვლად მადლიერებისა, ნაცვლად კეთილგანწყობისა, იმისთვის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ქვეყანა იხსნა შავი ჭირისა და სააკაშვილის ფაშისტური ტირანიისგან, ომებისგან შფოთისგან და ქვეყანაში, რომელსაც ჩამოჭრილი აქვს ხელ-ფეხი, შეძლო სიმშვიდისა და წონასწორობის შენარჩუნება, ევრო-ამერიკის მხრიდან მხოლოდ აღშფოთების ნიაღვარი და გაბრაზების ქოქოლა მოდის. რატომ? ნუთუ თქვენ ისევ პარანოიდი სააკაშვილის დაბრუნებას ცდილობთ?!

**კობა არაბული**

# ესენი სისხლზე დაგეშილი ვამპირები არიან, რომლებიც გვამების გარეშე ვერ ცოცხლობენ...

გულზე ხელი დაიდეთ და პირდაპირ თქვით, რამდენჯერ გქონიათ შემთხვევა, როცა ადამიანს ისეთი რამე უთქვამს, გირჩევნოდათ ტყვია ესროლა.

— ამ ერთი მომაკვდინებელი სიტყვით ერთი სიცოცხლე დავამთავრეო, რამდენჯერ გითქვამთ.

ამაზე ვამბობდი ადრეც და ახლაც იგივეს გავიმეორებ: სიტყვით, ვერბალური ინფორმაციული შტურმით მიმდინარეობს უსასტიკესი ბრძოლა დღეს ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, ხოლო ამ ბრძოლაში საუკეთესო მებრძოლები სწორედ ჩვენი თანამემამულეები რომ იქნებოდნენ, ეს წინასწარ შესანიშნავად იყო განსაზღვრული და ჩაფიქრებული.

ქართველთა ე.წ. სანიტარული წმენდის ერთი ტალღა უკვე განხორციელდა სააკაშვილის და მისი დამქაშების მიერ 2003 წლიდან 2012 წლამდე, ახლა სიტყვით მკვლელობაზე არიან გადასული, როგორც ადამიანის ხორცსა და სისხლზე, გვამებზე დაგეშილი უსისცოცხლო ვამპირები, ამ გვამების გარეშე რომ ვერ ცოცხლობენ და გვამების გარეშე მათ არსებობას რომ აზრი ეკარგება.

პირდაპირი, ფიზიკური მკვლელობების არეალი შეუკვეცა მათ „ქართულმა ოცნებამ“, მაგრამ სურვილი და მისწრაფება დიდია...

რამდენიმე დღის წინ სამწუხარო ამბავი მოხდა: ავსტრალიის მოქალაქე, ახალგაზრდა მასწავლებელი შანაე ბრუკი მთაწმინდაზე გარდაცვლილი იპოვეს და წამოვიდა და წამოვიდა წყევლა-კრულვის ნიაღვარი. ბოლოს კი ყველაფერი ხელისუფლებას „დაბრალდა“ — ამ მკვლელობის, სხვა მომხდარი დანაშაულებების და მომავალში რომ მოხდება, იმაშიც, ეს მთავრობა არის დამნაშავეო.

ერთი ტელევიზიის ტელესიუჟეტში ქალბატონი ჰყვებოდა: რუსთაველზე მივდიოდი ჩემთვის წყნარად, რომ უკან, მხარზე, ვიღაცამ ხელი მომითათუნა. შემოვბრუნდი და კაი ჯანიანი კაცი იდგა ჩემს პირდაპირ, ხელში თავისი „საოხრე“ ეჭირა და აქანავებდაო.

შეიქნა ჩოჩქოლი ნაცტელევიზიების „კდემამოსილ“ ჭურნალისტებში — ეს რა უქნია, ეგ რასაც იქნევდა, იმიტომ იქნევდა, რომ მთავრობის უკმაყოფილო კაცი იყო. ყველაფერი ამათი ბრალია, ადამიანი ამ ზომამდე რომ მიიყვანესო.

ღმერთმანი, არ ვაჭარბებ, ასეთი შეფასებები მისცეს ამ ამბავს ე.წ ტელევიზიების ე.წ. ჟურნალისტებმა.

გაგელიმებათ, მაგრამ სასაცილო კი არა სატირალია ამათი მდგომარეობა.

„ნიკუტა“ გვარამია „რუსთავი-2“-ის დირექტორად რომ დანიშნა სააკაშვილმა, ახალ ამპლუაში მის პირველი გამოსვლა იყო ის, რომ, რატომღაც, თავიდანვე გამწარებულმა დაგვემუქრა: კბილებით გამოგღადრავთ ყელსო.

აქეთ გივია თარგამაძე ჯღაოდა პირმოკუმული: — სულს ამოგხდითო. „პირობას გაძლევთ, არ ვბაქიბუქობ და ნამდვილად გამოგიყვანთ წირვას, უნიათო და არარაობავ, რუსო ოლიგარქოო“... და ა.შ.

საზიზღარმა აგრესიამ, სიტყვით მკვლელობამ, ინფორმაციულმა დაშხამვამ, ამ ავადმყოფების დამსახურებით, საქართველოში უკვე ტოტალური ხასიათი მიიღო.

ეკლესიასტეში წერია, ზუსტი ციტირება არ მახსოვს, ამიტომ ბრჭყალების გარეშე დავწერ: რაკი ერთმანეთს ჭამთ, ნახეთ, თუ ერთმანეთი არ მოსპოთო.

ამ სტადიაში ვართ, უკვე, მგონი.

დორბლებს რომ ყრის გრიგოლია და გვარამია — ჯოჯოხეთში ვცხოვრობთო, ერთი აქეთ კარგად მოიხედეთ, ორი გვამი მჭირდება პარტიის „გამპრავებლებო“, იური ვაზაგაშვილი ვინ ააფეთქა შვილის საფლავზე, ირინა ენუქიძე ვინ მოკ-



ლა სულიერი წამებით თქვე დემაგოგებო.

ერთხელ მისულხართ ამ ადამიანების საფლავებზე და ბოდიში მოგიხდიათ? ვის მკვლელობებზე და სიკვდილზე ლაპარაკობთ, თქვე ნეკროფილებო, ტვინ და ფასეულობააღრეულო უმადურებო, კიდევ ერთხელ და ათასჯერ გაგახსენებთ 2003 წლიდან 2009 წლამდე დახოცილებს, რომელთა სული ცას შეჰღაღადებს უსამართლო სიკვდილის გამო:

**დავით საყვარელიძე, ეთერ წულიაშვილი, გიორგი ინასარიძე, რომელიც ციხის საკანში ჩამომხრჩვალი იპოვეს, ოთარ გველუკაშვილი, ანტონ კუკულავა, დიკო ბარქაია, ზაზა ფანცქელაძე, ევგენი აფრასიძე, ომეხ აფრასიძე, ხვიჩა კვირიკაშვილი, ალექსანდრე გომაშვილი, ამირან (ბუტა) რობაქიძე, მურთაზ ქარდავა; თემურ ხუბუნაია — ოფიციალური ვერსიით, მოკლა უშიშროების სამინისტროს თანამშრომელმა; სულხან ლომიძე, ზურაბ ვაზაგაშვილი, აკაკი კორკოტაშვილი, ავთო გუმაშვილი, ვახტანგ მარგოშვილი, რევაზ ცალანი, ვარლამ ნემსიწვერიძე, ნესტორ ესებუა, გია ოკუჯავა, თემურ ცეკვავა, თამაზ კურკუმული, ალექსანდრე თაბაგარი, ხვიჩა მელაძე, გიორგი კვირიკაშვილი, გიორგი მანჯავიძე, ლევან გულუა, რეზო სარჯველაძე, ვლადიმერ ხოშტარია, მურად გორგაძე, რომან სურმანიძე, მარად ართმელაძე, სანდრო გირგვლიანი, გია (გიორგი) თელია, ჯემალ ჩაფიძე, ზვიად ბაბუხადია, ბუთხუზ კიზირია, ვალერი ბენდელიანი, ზურაბ ვაზაგაშვილი, ალექსანდრე (საშა) ხუბულოვი, მიხეილ (მიშიკო) ბერძენიშვილი, გელა ცინდელიანი, ჯაბა ჯაბანიშვილი, ხვიჩა კოკაია, ვალერი (ვარლამ) ფხაკაძე, მიხეილ კირაკოსიანი, გიგა ჭარბაძე, ალექსანდრე ხოსიტაშვილი, ოლეგ მესხიძე, ჯუმბერ ნაგერვაძე, თენგიზ გოგია, როლანდ მახარაძე, გიორგი გამცემლიძე, როინ შავაძე, ნატა ჯიჭონაია, ალექსანდრე კვეზერელი; ზურაბ მანთაძე, გია კრიალაშვილი, ჯიმი მეგრელიძე, მამუკა ჩარჩხალია...**

2009 წლის შემდეგ დაუმატეთ ციხეებში წამებით გამოშიგნული ადამიანების რიცხვი, გაუჩინარებული, უგზოუკვლოდ დაკარგული ადამიანები, მათ შორის, სამეგრელოში ათეულობით უკვალოდ გამქრალი, ჯურღმულები, მიწისქვეშა საწამებლები გაიხსენეთ, 2008 წლის ომში დახოცილები, დაუმარხავი რომ ლპებოდნენ და ნაცებმა მოტაშფანდურეები რომ ამღერეს და აზეიმეს, ტრაგი-კომიკურ-პაროდისტული ხელიხელჩაკიდებული მარაზმი რომ მოაწყვეს...

ყველაფერ ამის მერე ან სიკვდილი გიკვირთ ან რამე, საერთოდ?

ვინ ჭამს მაგ „საკენკს“, უკაცრავად და, ჭკუასუსტის გარდა?!

ფაქტია, რომ პოლიტიკური გვამის, ნეობოლშევიკების მყრალი პროდუქტის, ახალი წარმოების ფრანკენშტეინის — სააკაშვილის მბრძანებლობამ უფრო მეტი ზიანი მიაყენა საქართველოს, ვიდრე საბჭოთა კავშირის 70-წლიანმა მმართველობამ.

მაშინ სად იყვნენ ეს ე.წ. ჟურნალისტები.

მაშინ რატომ არ ხაოდა გრიგოლია ტრიბუნიდან.

2010-ში „საერთო გაზეთის“ 2 ოთახში შეყუჟულ ოფისს რომ არბევდნენ, ტექნიკა რომ დალეწეს, რედაქტორის ოჯახს რომ ატეროებდნენ, მის შვილს რომ იჭერდნენ, ღამღამობით რედაქციის კარებს რომ ამტვრევდნენ და დილას ოფისის კარები ღია რომ გვხვდებოდა, გაზეთის ჟურნალისტები რომ შიშით დავდიოდით ქუჩაში, სად იყვნენ მაშინ, ვინმემ თავისუფალი სიტყვის დისკრედიტაცია გააპროტესტა?

ზემოთ რომ ჩამოვთვალე, იმ ადამიანების სიკვდილის გამო რევოლუციის მოწყობა რომელიმე მათგანმა რატომ არ სცადა?

ცხონებულ ლექსო ლაშქარავაზე ნაკლები იყო რომელიმე მათგანი?!

ან გამომცემლობა „სამშობლოდან“ თქვენსავით სინდისგარეცხილი კი არა, ნამდვილი, პროფესიონალი ჟურნალისტების გამოყრა გაუპროტესტებია ახლანდელივით თავგანწირულად ვინმეს.

სად იყავით ე.წ. ჟურნალისტებო, მაშინ ჩვენ რომ კოსტავას ქუჩაზე უსამართლოდ დაგვყარეს?

ანდა ეს „აქუ“, ეს არაკაცი, მის იმ ჯანგირაშვილზე აღარაფერს ვიტყვი — ეგ არ იყო და მისი ახლა გაბღენძილი და მიშას დროს ბუტკა-ტელევიზია „კავკასია“ გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობიდან პანღურით კუდამოძუებული რომ გამოაგდო მიშას ზონდერებმა და მერე თურმე ღამით რომ შეიპარა გამომცემლობის შენობაში, პარკეტიც აყარა და წაიღო სახლშიო, გაოცებული მიყვებოდა მერე გამომცემლობის ყოფილი დარაჯი.

სააკაშვილს როგორ უნდა ემხრობოდე, ქვეყნის პირველ დაუძინებელ მტერს, რომელმაც მოსვლისთანავე, რაც პირველი გააკეთა, ამოიღო ეროვნების გრაფა პირადობის დამადასტურებელი მოწმობიდან.

სკოლებიდან განდევნა ლოცვა და ხატები.

სწავლებიდან ფეხი ამოუკვეთა „დედაენას“ და ჩაანაცვლა ის გაურკვეველი წარმომავლობის დასავლური ლიტერატურით.

ქვეყნის წამყვანი, სასიქადულო უმაღლესი სასწავლებლები გადაიყვანა ბოლშევიკ-ნეო-ლიბერალების ხელში, რომლებმაც სამარცხვინოდ გაყარეს უმაღლესი სასწავლებლებიდან ღვაწლმოსილი ადამიანები.

სააკაშვილის თარეშის პერიოდში შეიქმნა ქვეყანაში ბოროტი ძალების მიერ უცხოეთიდან დაფინანსებული ასობით არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელთაც, გაურკვეველი მისამართებიდან, პირდაპირ დავალებად ჰქონდათ და აქვთ მიღებული ქართული ცნობიერების ჩამოშლა და ეკლესიის დისკრედიტაცია.

სააკაშვილმა შეგნებულად დაამახინჯა და გაანადგურა ერისთვის სათაყვანებელი ისტორიული პირების ძეგლები და მემორიალები — გადაიტანა დიდებული მეფე დავითის ძეგლი ქალაქის გულიდან პერიფერიაში, დაანგრია ისტორიული ძეგლი ქუთაისში, თამარ მეფის სკულპტურა მესტიაში და ა.შ.

მოახდინა მედიის სრული უზურპაცია ერთადერთი მიზნით, ეს მიზანი იყო და დღემდე არის ყოველივე არაქართულის ფრქვევა ეკრანებიდან.

სააკაშვილმა სატანური გზებით ეცადა მოესპო ქართული სულისკვეთება — ციხეებში პატიმარი კაცების გაუპატიურებიდან დაწყებული, თავისთვის ტრანსგენდერი საყვარლების დასმით დამთავრებული.

პირისაგან მიწისა აღგავა ქვეყანაში ყოველივე ქართული, ყოველივე პატრიოტულის ხსენებაც კი გახდა დასჯადი.

მან შექმნა პირობა იმისა, რომ ქართველი გამხდარიყო საკუთარ ქვეყანაში ყველაზე დამცირებული და დაჩაჩანაკებული.

ამ ყველაფრის შემდეგ ქართველი აღმოჩნდა საკუთარ ქვეყანაში უკიდურესად შეურაცხყოფილი, ყოველგვარი პროტესტისთვის დაუძლურებული და დაშინებული, სულიერად დაცარიელებული და მატერიალურად დამშეული.

ეს ეშმაკი და ეშმაკის ნაშიერი შეეცადა უძველესი ქართული ცივილიზაციის შთამომავალი ერი ექცია უსამშობლო, რელიგიაშეგინებულ მსოფლიოში მაწანწალა და დამცირებულ ერად.

ახლა ეს უბოროტესი ძალა ისევ ცდილობს ხელისუფლების ხელში ჩაგდებას და საკუთარი შეუსრულებელი მისიის საბოლოოდ შესრულებას...

დღეს ამათ ვიღაც გაურკვეველი ადამიანები უჭერენ მხარს.

ხოლო თავად მკვლელები ეძახიან ამ მთავრობას მკვლელებს.

საბოლოოდ კი ესენი გვეძახიან ჩვენ ბნელებს.

გვიქნევენ თითს ტელეეკრანებიდან და დამხობით და რევოლუციით გვემუქრებიან.

ამ სულიერად ბილწების დამხობილი, ზნედაცემული სააკაშვილის და გრიგოლიას, ცვედანი „ნიკუტას“ და მათნაირების დამხობილი არ გაიშვას არსად.

ამ მავნებლებმა და ბოროტმა „გოიმებმა“ ქვეყანა თითქმის დაამხეს და დააქციეს უკვე და როგორც ჩვენი გაზეთის დამკაბადონებელი კახა ამბობდა, ნაცები უნდა და..ნა გოჭებივით.

ესენი ციხეში უნდა გამოკეტო სამუდამოდ.

სხვანაირად თავს არ დაგვანებებენ...

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

## ნინო ფილოსანი:
# ჩვენ ამ შეთანხმებიდან გამოვედით და, რაც არ უნდა მოხდეს, აღარ ვაპირებთ დაბრუნებას

**ამ ქვეყანას ყვავ-ყორნებივით ესევიან მოღალატეები. ამდენნი თუ იყვნენ, არც კი გვეგონა. თურმე ბევრნი ყოფილან, გვამის დანახვაზე დავლურს რომ უვლიან და მთელ მსოფლიოს აუწყებენ, არ ჩამოხვიდეთ, საქართველოს ახლოს არ გაეკაროთ, აქ მხოლოდ მკვლელები ცხოვრობენ, სასწრაფოდ სანქციები დაგვიწესეთო. 1937-იან წლებში სისხლის გუბეები რომ დააყენეს, ესენი იმათი შთამომავლები არიან, მაუზერებით ვეღარ გვხოცავენ და ტაქტიკა შეცვალეს, სხვანაირად ცდილობენ ჩვენს განადგურებას. რეალობას თვალი გავუსწოროთ, ეს ომია, რომელიც საუკუნეებიდან მოდის და ვერ ვაჩერებთ. რა ხდება, როგორ უნდა აღვუდგეთ წინ ამდენ სიბინძურეს?ამ და სხვა პრობლემებზე „საერთო გაზეთს“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ნინო ფილოსანი ესაუბრება:**



**— ქალბატონო ნინო, ამ დღეებში დატრიალებულმა ტრაგედიამ, ავსტრალიელი პედაგოგის მკვლელობას ვგულისხმობ, ისევ „გაახარა“ ავის მოსურნეები და ზოგი ისე შორს წავიდა, ზოგმა ისეთი არასახელმწიფოებრივი მოწოდებები გაავრცელა, მგონი სამართალდამცავებმა ყურადღება უნდა მიაქციონ. საოცარია, ამ ქვეყნის მოქალაქეები მსოფლიოს მოუწოდებენ, ტურისტებად არ ჩამოხვიდეთო. შეიძლება არ მოგწონდეს ხელისუფლება, შეიძლება მტრად მოეკიდო მთავრობას, მაგრამ საკუთარი სახელმწიფო შეიძულო, ეს უკვე მავნებლობაა.**



— არ არსებობს ძალა, რაც მაიძულებს, ჩემი ქვეყანა ვლანძღო და ვაძაგო, ან აქ ჩამოსვლის მსურველს ვუთხრა, რომ საშინელი ქვეყანაა. რომ ამ არაჩვეულებრივ ხალხში, მრავალფეროვან ბუნებასა და კუთხეებში მათ არ ელიან ან მტრულად განწყობილები ხვდებიან. მაშინაც კი, როცა ყველაზე მძიმე დარტყმა მიაყენა წინა რეჟიმმა ჩემს ოჯახს, არ გამჩენია სურვილი, ქვეყანა დამეტოვებინა ან ჩემს ხალხზე საშინელებები მეფიქრა.

დიდ მწუხარებას გამოვთქვამ ახალგაზრდა ქალბატონის გარდაცვალების გამო. ის აქ ცხოვრობდა, მუშაობდა და იყო ჩვენი ნაწილი. ვიმედოვნებ, შესაბამისი ორგანოები დროულად გამოიძიებენ და ყველაფერს დაერქმევა თავისი სახელი. რაც შეეხება იმას, რაც ამ ტრაგედიას მოჰყვა, არის სრულიად ალოგიკური, მხოლოდ მტრის თავში შეიძლებოდა მოხარშულიყო, რომ ინდივიდუალური ფაქტი გამოეყენებინა, გაეჩაღებინა ანტისახელმწიფოებრივი კამპანია და დაეზიანებინა ქვეყნის რეპუტაცია. რა თქმა უნდა, ყველას გარკვეული უარყოფითი ემოცია გაგვიჩნდა, მაგრამ ამის გამო ქვეყანაზე თქვა უარი, ეს რაღაც ავადმყოფური მოვლენაა. თუმცა გასაკვირიც არ გახლავთ, ამ კამპანიის გამჩაღებლები არაერთხელ გვყვანან შემჩნეულნი მსგავს ქმედებებში. სამწუხაროდ, საქართველოს ღალატი არასოდეს აკლდა, მიუხედავად ამისა, მაინც გავუძელით, გადავრჩით და ვვითარდებით. რა თქმა უნდა, მოღალატეების მიზანი ახლაც ჩაფლავდება, მაგრამ საქმე რომ ფერხდება, ესეც ძალიან ცუდია. აშკარაა, ესენი რაღაც დოზით თავიანთ საწადელს მაინც აღწევენ, საზოგადოების რაღაც ნაწილი ემოციურ ფონზე აცხადებს, ხომ არ წავიდეთ საქართველოდან? ღირს კი ამ ქვეყანაში ცხოვრება? როგორც ჩანს, ზოგიერთს მაინც აჯერებენ, რომ ამ ქვეყანაში ცხოვრება აღარ ღირს.

**— მოხდება რაღაც არასასიამოვნო ამბავი და ეგრევე იწყებენ, ხომ არ დავტოვოთ საქართველო, ხომ არ გავიქცეთ? არადა, მაგ ლოგიკით ნორვეგია უკვე დაცლილი უნდა იყოს, ბრეივიკმა 77 ბავშვი იმსხვერპლა.**

— ჩვენი მოქალაქეების რაღაც ნაწილი ძალიან დიდ ფსიქოლოგიური ტერორის ქვეშაა. ესენი მთელი ცხოვრება ამას აკეთებენ და გასაკვირი არც არის. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი გახლავთ საბოლოო შედეგი, ჩვენ არაერთხელ გადავლახეთ ქვეყნის წინააღმდეგ დაგეგმილი პროვოკაცია, აგრესიისა და ძალადობის ნაკადი. ქართველი ხალხი ყოველთვის უარს ეუბნება პროვოკატორებს გამოხტომებს, დარწმუნებული ვარ, ოქტომბერში კიდევ ერთხელ დადგება მათთვის პოლიტიკური განაჩენი.

**— კიდევ ერთი საკითხი... რას იტყვით შარლ მიშელის შეთანხმებიდან გამოსვლის თაობაზე? გარკვეულ წრეებში არსებობს მოსაზრება და ხან მეც მიჩნდება ეჭვი, რომ თუ „ნაცმოძრაობა“ ხელს მოაწერს ხელშეკრულებას, „ქართული ოცნება“ დაუბრუნდება პირვანდელ მდგომარეობას. ეს კი, ჩემი აზრით, იქნება ჯერ ხალხის მოტყუება, შემდეგ კი საკუთარი თავის მოტყუება.**

— ამ თემაზე ჩემმა კოლეგებმა, პარტიის ლიდერებმა უკვე გააკეთეს კომენტარები და მეც განვმარტავ: ჩვენ ნამდვილად აღარ ვაპირებთ, შევყვეთ ამ ავანტიურისტულ ძალას თავის პროვოკაციულ საკითხებში. მათ ჰქონდათ საკმაო დრო, არ მოაწერეს ხელი, აირჩიეს სხვა გზა, რომელიც შედის რუსეთის ინტერესებში. ჩვენ არც კი განვიხილავთ ამ ფორმატში ხელახლა დაბრუნებას და რადიკალურ ძალასთან ლაპარაკს.

**— ესე იგი, ჩვენ უნდა გვქონდეს იმედი, რომ „ქართული ოცნება“ ამ თემას საერთოდ აღარ მიუბრუნდება? მტკიცეა თქვენი გადაწყვეტილება?**

— დიახ, ეს არის ბოლო გადაწყვეტილება, რადგან რამდენიმე საკითხი თავის დროზეც უსამართლო იყო. სამართლიანად მოგებული არჩევნების შემდეგ ამდენ დათმობაზე წასვლა მე პირადად არ მომეწონა. თუ რეფორმებზეა საუბარი, სასამართლო და საარჩევნო რეფორმებს ჩვენ ისედაც ვაპირებდით. 43%-იანი ბარიერის გადალახვაც იყო ძალიან დიდი უსამართლობა, მაგრამ ქვეყანა რომ დაბრუნებოდა ჩვეულებრივ მშვიდობიან ცხოვრებას, ჩვენ გადავდგით ეს ნაბიჯი. მიუხედავად ამისა, მათ მაინც შეინარჩუნეს ის მახინჯი სახე, როგორიც აქვთ და კიდევ უფრო გააქტიურდნენ, კიდევ უფრო დესტრუქციულები გახდნენ. სწორედ იმიტომ, რომ შეთანხმება არ შეიძლება იყოს ცალმხრივი, გამოვედით და რაც არ უნდა მოხდეს, აღარ ვაპირებთ დაბრუნებას.

**— ჩემზე უკეთესად იცით, მსგავსი თემები წყდება რეფერენდუმით, ან სხვადასხვა სახის კვლევებით. რას ჰქვია, 43%-ს თუ ვერ ავიღებ, ვადამდელს დავნიშნავ, ლოტოტრონია?**

— დიახ, ეს იყო არაკონსტიტუციური და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ასეთ რთულ და მძიმე ნაბიჯზე წავედით მხოლოდ იმიტომ, რომ იმედი გვქონდა, რადიკალური ძალის წარმომადგენლები გონს მოეგებოდნენ. ვინც ხელი მოაწერა, ისინიც, მაგალითად, „ლელო“, დამახინჯებულად უდგებოდნენ ყველა საკითხს და მოქმედებდნენ არასერიოზულად. ამ ფორმატიდან ჩვენი გასვლა იყო ერთადერთი ადეკვატური პასუხი.




**— გადავიდეთ საკითხზე, რომელიც ძალიან აინტერესებს რეგიონების მოსახლეობას, ეს გახლავთ მიწების რეგისტრაცია. ვინაიდან თქვენ ბრძანდებით აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, ალბათ პასუხებიც იქნება კომპეტენტური. წინა პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა გახარიამ თავის დროზე განაცხადა, თუ გაქვთ ნებისმიერი დოკუმენტი, თუნდაც ქაღალდის ნაგლეჯი, მიწის დარეგისტრირება პრობლემა არ იქნებაო, სინამდვილეში კი ადგილებზე იმდენი ბიუროკრატიული ბარიერია, თვითმმართველობებშიც ვერ გაუგიათ, რა ხდება.**

— მოგეხსენებათ, სოფლის მეურნეობის განვითარება წარმოუდგენელია მიწის რეგისტრაციის გარეშე. აქ საკითხი რამდენიმე მიმართულებით იყოფა, ერთია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწები, რომლის უმეტესი ნაწილი დაუმუშავებელია. პრემიერ-მინისტრის ინიციატივით ინტენსიურად იწყება ამ მიწების გაცემის პროცესი. მეორე საკითხია ის, რასაც თქვენ ამბობთ – რეგისტრაცია. აქ არის, ერთი მხრივ, როგორც მეპატრონის მიერ ინიცირებული პროცესი, ასევე სახელმწიფოს ინიციატივა, როცა ის თავის თავზე იღებს რეგისტრაციას, ამ შემთხვევაში საჯარო რეესტრი თითოეულ მუნიციპალიტეტში შედის და თვითონვე მოჰყვება მიწის ნაკვეთებს. კრიტერიუმებიც გაწერილია, თუ როგორ უნდა მოხდეს რეგისტრაცია, რათა არ დაირღვას არავისი უფლება. თუმცა უნდა ვაღიაროთ, ამ პირობებში ვაწყდებით გარკვეულ პრობლემებს. ეს პრობლემები მოდის მუნიციპალიტეტებიდან, სადაც ხშირად კომისიების წარმომადგენლები ვერ იღებენ სწორ და კომპეტენტურ გადაწყვეტილებებს. პრობლემები ნამდვილად გვაქვს და ვიმედოვნებ, შემოდგომაზე, არჩევნების შემდეგ ბევრი საკითხი გამოსწორდება, რადგან მერიების მუშაობაში საკმაო ცვლილებები, სიახლეები და პროგრესი იქნება.

**— ქალბატონო ნინო, თუ აქამდე 1 ჰექტარის ფასი იყო 1000–1500 ლარი, ახლა ავიდა 7000-დან 10000-მდე. 1000 ლარს ადამიანი გაქაჩავს, ბოლო-ბოლო, ისესხებს, მაგრამ 10000 ათასი უკვე ნამეტანია.**

— მესმის, ესეც პრობლემაა, რომელიც წარმოიშვა მაშინ, როცა სამხარაულის ექსპერტიზის ბიურომ გააკეთა მიწების მაღალი შეფასება და ბაზარი გახადა არაადეკვატური.

ეს საკითხი უნდა გამოსწორდეს, მე არ ვიცი, ვინ გადააფასებს, ვინ დადებს ახალ დასკვნას, მაგრამ ეს რომ სამსჯელო საკითხია, ცხადია. ჩვენ ვაპირებთ, ამ კუთხით ძალიან ინტენსიურად ვიმუშავოთ.

შეიძლება აღმასრულებელი ხელისუფლება რაღაც წინააღმდეგობებს ხედავდეს, ცვლილებები რომ შევიტანოთ კანონმდებლობაში, მაგრამ დადასტურებული ფაქტია, რა შეფასებებიც სამხარაულის ბიურომ დადო, არ შეესაბამება მიწების რეალურ ფასებს.

**— ადამიანი, რომელიც 1990-იანი წლებიდან მიწას ამუშავებდა და გადასახადსაც პატიოსნად იხდიდა, ახლა არ უნდა გავანაწყენოთ...**

— კი, ბატონო... თუმცა ვისაც იჯარით აქვს აღებული, ვისაც ხელშეკრულება არ დაუმთავრდა, მას არავინ გაუუქმებს.

ვისაც გაუუქმდა, იმათი საკითხიც დადებითად გადაწყდება, უნდა შეიცვალოს მიწების შეფასების სტანდარტი.

**— ძალიან კარგი, თქვენი პასუხებით ბევრ ფერმერსა თუ გლეხს გავახარებთ. მადლობა და გისურვებთ წარმატებებს.**

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61



# შარლ მიშელის „ბიბლია“ თუ მიშას „დეკამერონი“?

მე თუ მკითხავთ, წინა კვირა იყო ძალზედ პრინციპული. „ქართულმა ოცნებამ“ თავი ისე მოიქცა, მთელი ამერიკის შეერთებული შტატები ხომ გააბრაზა და ფეხზე დააყენა, არც ბებერ ევროპას დააყარა ხეირი, ეგეც ძალიან უმოწყალოდ ანერვიულა. მოვუსმინოთ ქალბატონი კელი დეგნანის ოფისს, დიღომში რომ არის წამოჭიმული პენტაგონივით:

„ამერიკის შეერთებული შტატები ძალზედ შეწუხებული და გაბრაზებულია პარტია „ქართული ოცნების“ ცალმხრივი გადაწყვეტილებით, გასულიყო 19 აპრილის შეთანხმებიდან, დოკუმენტიდან, რომელიც შემუშავდა ექვსთვიანი რთული, მაგრამ ერთობლივი მოლაპარაკებების შედეგად და წარმოადგენს ქართველი ხალხისა და მათი დემოკრატიის წინსვლისთვის აუცილებელ გზას“.

მოკლედ, ჩემო კაკლის მურაბა ხალხო, სრულიად ამერიკა და მთელი ევროპა იმას შეუშფოთებია, იმას



შეუწუხებია, რომ ამა წლის 28 ივლისს „ქართული ოცნების“ ლიდერებმა განაცხადეს, შარლ მიშელის ხელშეკრულებიდან გავდივართო.

ალბათ, გახსოვთ, 2020 წლის ოქტომბრის ბოლოს საქართველოში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები... წინა დღეს, სანამ ბიულეტენები სრულად დაითვლებოდა, ე.წ. ოპოზიციამ გამოაცხადა, რომ არჩევნები გაყალბდა და თანაც კატასტროფულად, საშინლად, იყო დარბევები, ცემა, ტყეპა, ქუჩებში სისხლის გუბეები, ხევებში გადაყრილი გვამები და ასე შემდეგ. აღშფოთებული „საზოგადოების“ ერთი ნაწილი, ძირითადად ახალგაზრდობა იმავე საღამოს „მანტიროვკებითა“ და ქვებით მივარდა საარჩევნო კომისიის ცენტრალურ ოფისთან და ვიხილეთ დაბოლილთა (მენარკოტიკეთა) წარმოდგენა: „ბოიშვილი ვიყო, გაყალბდა“!

ბევრი იწვალეს იმ საღამოს, ქვებიც ისროლეს, რკინა-ბეტონის ნამტვრევებიც, გაუგებარი საგნებიც, პოლიციასაც დაუშინეს ბოთლები, თამარ ჟვანიას გადაყენებაც მოითხოვეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, შსს-მ წყლის ჭავლი მიუშვა, ცოტა ხანს ჯაგლაგი ჯორებივით ირბინეს და დაიშალნენ.ე.წ. ოპოზიცია არ შევიდა პარლამენტში, ჩვენ გაყალბებულ ორგანოს ვერ „გავაპრავებთ“, ვადამდელი არჩევნები უნდა ჩატარდესო. „ქართულმა ოცნებამ“ თქვა, თუ 1%-იან გაყალბებას მაინც დაამტკიცებთ, იყოს ვადამდელიო. ვერაფერი დაამტკიცეს, მაგრამ მაინც ვირზე შესხდნენ, არ შევიდნენ. ჩამოვიდა ევროსაბჭოს „უმეროსი“, შეხვდა ყველას ცალცალკე, დაუდო მის მიერ შემუშავებული დოკუმენტი, სადაც ეწერა, ყველა უნდა შევიდეს პარლამენტში, რათა საფრთხე არ შეექმნას დემოკრატიას და ქვეყანა არ ასცდეს ევროატლანტიკურ ორიენტაციასო. მიშელმა „ნაციონალებს“ ისიც კი უთხრა, ასეთი საქციელით თქვენ რუსეთის საქმეს აკეთებთო. კარგად დაიმახსოვრეთ ეს სიტყვები, ცოტა ქვემოთ ისევ წამოვაძახებ ამ უბედურებს.

მოკლედ, მიხეილ სააკაშვილის ბიძამ, ნიუიორკში გადაკარგულმა ქოფაკმა თემურ ალასანიამ დაურეკა გუბაზ სანიკიძეს და უბრძანა: არავითარი მოლაპარაკება, არავითარი კონტაქტი, არავითარი პარლამენტი, სასწრაფოდ აცნობეთ საერთაშორისო საზოგადოებრიობას, რომ საქართველოში ხელისუფლება გადაყენებულია და მთელ პასუხისმგებლობას ხალხთან ერთად ჩვენ ვიღებთო. ჰო, გუბაზ, არ დაგავიწყდეს, ისიც გადაეცით, თქვენი დახმარება არ გვჭირდებაო, უბრალოდ ჩუმად იყავითო. გუბაზმა პირობა მისცა, ზუსტად ეგრე იქნება, როგორც თქვენ ღაღადებთო.

მოკლედ, ჩემო მურაბა ხალხო, ბევრი იწვალეს ე.წ. ოპოზიციონრებმა, ბევრი იშავდღევეს, ათასნაირად სცადეს ქვეყნის არევა, მაგრამ ევროსაბჭოს პრეზიდენტმა მაინც ყველა დაითანხმა პარლამენტში შესვლაზე. არა, ვითომც მართლა არ უნდოდათ თბილ ადგილებზე მოჯდომა... ძალიანაც უნდოდათ, მაგრამ თემურა პაპასგან ფულები რომ აიღეს, იმას რა პასუხს გასცემდნენ? ბოლო-ბოლო, მიხა სააკაშვილი დაჰყაბულდა, ჯანდაბას, შედით პარლამენტში, მაგრამ მიშელის ხელშეკრულებას ხელი არ მოაწეროთ, „ოცნებას“ ყველაფერი მოსთხოვეთ, ოღონდ თქვენ ყველაფერი დაიკიდეთო. ეგრეც მოიქცნენ, „ოცნებას“ ყველა პირობა შეასრულებინეს, ორი კრიმინალი (ჟორა რურუა და ნიკანორ მელია) ციხიდან გამოაშვებინეს და თვითონ ხელიც არ მოაწერეს. ისე, რაღა დაგიმალოთ და... ამ შემთხვევაში ხელისუფლებამ თავის უფლებამოსილებას გადაამეტა, თუ ჩვენი პარტია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში 43%-ზე მეტს ვერ აიღებს, ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს დავნიშნავთო. ადრეც დავწერე და ვიმეორებ: ჩემი აზრით, ეს იყო თვითინებობა – როგორ შეიძლება, საკითხი, რომელიც მხოლოდ რეფერენდუმით უნდა გადაწყდეს, ლოტოტრონის ყუთში ჩააგდო და ალალბედზე დაატრიალო, იმიტომ, რომ ოპოზიციამ ქვეყანაში დიდი არეულობა მოაწყოს და ძალაუფლებას დაეპატრონოს, რაც ყველა ვარიანტში გამორიცხულია. კი, იციან ამ უბედურებმა, რომ ძალაუფლებას ვერ მიიღებენ, ვადამდელ არჩევნებშიც უკეთეს შედეგს ვერ აჩვენებენ (პირიქით), მაგრამ მაინც წვალობენ, ქვეყანას აწვალებენ, ხალხს არ ასვენებენ, ერთადერთ გამოსავალს თემურა პაპას მიერ დასახულ გზაში ხედავენ.

100 დღე გავიდა მიშელის დოკუმენტის დაარსებიდან. „ქართულ ოცნებაში“ იფიქრეს, ბოლო-ბოლო, ბრიყვები ხომ არა ვართ, ამ თუქსუსებს ყველაფერს ვუსრულებთ, ესენი კიდე ხელსაც არ აწერენ, ეგ სადაური წესიაო? მიშელის დიდი ხათრი გვაქვს, ევროკავშირსაც პატივს ვცემთ, მაგრამ ცალმხრივობა მაინც არ ვარგა, მაგ ხელშეკრულებას საერთოდ ვაუქმებთ, ანულირებას ვუკეთებთო.

ეს გადაწყვეტილება, ანუ შარლ მიშელის ხელშეკრულებიდან „ქართული ოცნების“ გასვლა ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა – როგორ, რატომ, რა უფლებით და რანაირადო? კი, მაგრამ ეს ხომ სამშობლოს ღალატიაო? მეტიც, ეს ხომ ევროატლანტიკური „ტრასიდან“ გადახვევააო? ხედავთ, რას გვიშვრება ბიძინა ივანიშვილიო? მაგას რუსეთთან უკვე დალაგებული აქვს სიტუაცია და აჰა, მიგვათრევს კიდევაც საბჭოთა კავშირშიო.

ახლა მე და ბატონ ვახტანგ ხარჩილავას (ამ გაზეთის რედაქტორს) თქვენთან გვაქვს შეკითხვა: თუკი შარლ მიშელის ხელშეკრულების შესრულება ნიშნავს პროდასავლურ ორიენტაციას, მაშინ შენ, ე.წ. „პროებმა“ რატომ არ მოაწერეს ხელი და რატომ არ შეასრულეს ერთი პუნქტი მაინც? ააა... უკაცრავად, პარლამენტში რომ შეეთრივნენ, მაგას გვამადლიან, ხომ? დიახ, მაჭუტაძეები რომ გადაითხლაშნენ თეთრ სავარძლებში, მაგას გვამადლიან!

სწორად მოიქცა „ქართული ოცნება“, მიუხედავად იმისა, ყველამ იცოდა, „აშუშული“ და ევროპეელი დემაგოგები, სენატორ-ევროდეპუტატები აყაყანდებოდნენ, მაინც გარისკა და გააკეთა ის, რაც გააკეთა და იქვე მოაყოლა: „მზად ვართ, ჩვენი კეთილი ნებით, რიგგარეშე არჩევნები არათუ ხმების 43%-ის, არამედ 53%-ის მიღების შემთხვევაშიც კი დავნიშნოთ, თუკი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ქცევიდან ამოვიკითხავთ, რომ ჩვენი პოლიტიკური სისტემა ეფექტიანი კოალიციური მმართველობისთვის მომწიფებულია და სახელმწიფოს მართვის ამგვარი რეჟიმი მის ინტერესებს არ დააზიანებს. ასეთ შემთხვევაში, რიგგარეშე არჩევნები დაინიშნება ჩვენი კეთილი ნებით“.

აი, აქ ცოტაოდენ მეც გავბრაზდი, ვერ მოიშალეს ამათ ისეთი დაპირებების გამოცხადება, რომელიც მხოლოდ ხალხის გადასაწყვეტია. ჩემი მეზობლის ვირი უფრო გავა ბანანის ხეზე, ვიდრე „ნაციონალები“ გამოსწორდებიან, მაგრამ მაინც ვერ გავიგე, რა 53%-ს ახსენებ, კიდევ რა ლატარიას უტრიალებ? არც 43, არც 53, არჩევნები ჩატარდება, მოსახლეობა ხმას მისცემს, „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს და ეგ არი, ამით მორჩება ყველაფერი. არა, ამით არ მორჩება, ე.წ. ოპოზიციონრები ისევ გაიქაჩებიან, გაგვიყალბესო, შეიძლება რუსთაველზეც გამოიყვანონ 2–3 ათასი კაცი, მაგრამ კიდევ არაფერი გამოუვათ.

ნიკანორ მელიამ პარლამენტი დატოვა, ის ბოლომდე დაიხარჯება კახა კალაძესთან ბრძოლაში:

„პირადად მე, მთლიანად მივდივარ ოქტომბრის რეფერენდუმის ბრძოლაში და ვტოვებ იქაურობას. ეს ნიშნავს, რომ მე ვტოვებ საპარლამენტო მანდატს და თავიდან ბოლომდე ელენესთან, მეგობრებთან, ქართველ ხალხთან ერთად გადავდივარ უმნიშვნელოვანეს რეფერენდუმში მონაწილეობის მისაღებად”.

არ ვიცი, იცის თუ არა, რომ გამარჯვების შანსი არ აქვს? თუ არ იცის, ვინ ეტყვის, ვინ გაუბედავს, როცა გვერდით ჰელენ ხოშტარი უყენია? ბოლო-ბოლო, ის მაინც უთხრან, რომ ოქტომბერში არჩევნები ტარდება და არა რეფერენდუმი.

ამათ ტვინებში დალექილი ილუზიის თანახმად, მელია გახდება თბილისის მერი, ჰელენა იქნება საკრებულოს თავმჯდომარე, ხოლო ვიცე-მერის თანამდებობას დაიკავებს... არ დაიჯერებთ, გირჩი ზურაბა. ჰო, ეგ არი, გირჩს უფრო მეტი ტვინი რომ აქვს, ვიდრე ზურაბას.

ამერიკის საელჩომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ქართული ოცნების“ ცალმხრივად გასვლა კიდევ ერთი გადახვევაა დემოკრატიული სულისკვეთებიდან. ო, ღმერთო, სოციალიზმის პერიოდი გამახსენდა, ლეონიდ ილიას ძე, ყრილობას რომ ჩაატარებდა ხოლმე და პოლიტბიუროს წევრები ერთი კვირა სულისკვეთებაზე ლაპარაკობდნენ. ისევ სულისკვეთებაო, ნუთუ არაფერი შეიცვალა? დავიღალე!

სხვათა შორის, ამათაც დამღალეს, ყოფილები რომ გადმოდგებიან ხოლმე – ლოთი ბრაიზა, სახელმწიფო მდივნის თანაშემწის თანაშემწე, ვინმე კრამერი და ეგეთი დუპლეტები. თანაშემწის ყოფილი თანაშემწე იძახის, დროა, საქართველოს პრემიერ-მინისტრი გადადგეს და ქვეყანას სანქციები დაუწესდესო. ვინ ჩემი ფეხებია კრამერი? არც არავინ, უბრალოდ „ნაციონალების“ ხანა მოენატრა, სასიამოვნო გადარიცხვები და რამე.

არ დაიჯერებთ და... ნიკა გვარამიამაც შეცვალა ბრძოლის ტრაექტორია: „წილი ნაყარია! რუბიკონი გადალახულია! ბრძოლა ქვეყნის გადასარჩენად დაიწყო“!

ნეტავ რამდენჯერ უნდა დაიწყოს ქვეყნის გადარჩენა ამ დასაბმელმა გიჟუამ? სხვათა შორის, ბატონი ჩაჯვი ძალიან დაემსგავსა თავის კუმირს, მიხეილ სააკაშვილს – ეს ყოველი არჩევნების წინ იტყუება, გავიმარჯვეთო, ის კიდევ ყოველი არჩევნების წინ იტყუება, მოვდივარო. მიხეილი არც ამჯერად ღალატობს ტრადიციას, რეფერენდუმამდე ჩამოვალო, რეფერენდუმამდეო... არც ამან იცის, რომ საქართველოში არჩევნები ტარდება.

დეპუტატი ზაალ უდუმაშვილი აცხადებს, ახლა მთავარია, „ქართული ოცნება“ დავაბრუნოთ ხელშეკრულების ფორმატში, ხელმოწერაზე მერე ვილაპარაკებთო. ისე, ერთი ეჭვიც გამკრავს ხოლმე აზრად – ნუ გამოვრიცხავთ, „ნაცმოძრაობას“ ხელშეკრულებაზე ხელი მოაწერინონ და შემდეგ „ქართული ოცნებაც“ დაუბრუნდეს მიშელის ფორმატს. შესაძლოა, ეს იყოს სპეციალურად ამორტყმული პანჩური.

არა, მე მაინც იქ ვარ... ესე იგი, თუ მიშელის დავალებებს არ ასრულებ, ეს პრორუსული ორიენტაციაა, თუ არც ასრულებ და არც ხელს აწერ, ეს პროდასავლური, ოღონდ „ოპოზიციონერული“ გაგებით. ამაზე იტყვიან ხოლმე, მოგიტ...ანთ ლოღიკაო!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# 28 ივლისს გადადგმული ნაბიჯით საქართველოს ხელისუფლებამ დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის დაკარგვის საფრთხე აღკვეთა

*გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი ДИМИТРИ* 

*გვესაუბრება*
*დამოუკიდებელი*
*უფლებადამცველი*
*დიმიტრი ლორთქიფანიძე:*

**— ბატონო დიმიტრი, შარლ მიშელის დოკუმენტის ანულირებასთან დაკავშირებით, როგორია თქვენი პოზიცია?**

— შარლ მიშელის დოკუმენტში, კომპრომისულად უპრეცედენტო გადაწყვეტილება ჩაიდო, რაც პირდაპირ საქართველოს კონსტიტუციას, მის სუვერენიტეტს ეწინააღმდეგება. მოხდა დათქმა, რომ ადგილობრივ არჩევნებში თუ „ქართული ოცნება" 43% ვერ მიიღებდა, ვადამდელ არჩევნებს ჩაატარებდა.

43% ვინმეს, შეიძლება, აზირებული ციფრი ჰგონია, სინამდვილეში,



ეს ძალიან მარტივი ტესტია, რაც ოპოზიციის წუწკობაზე მიუთითებს. უფრო სწორად, ეს არის სიწუწკის ტესტი. როგორც ვიცით, „ქართულმა ოცნებამ" საპარლამენტო არჩევნებზე 48% აიღო. ოპოზიცია ხომ ამბობდა: არჩევნები ტოტალურად გაყალბდაო. როცა მათ ვეკითხებით: რა იგულისხმება გაყალბების ქვეშ და მათი აზრით, რეალურად, რამდენი პროცენტი აიღო „ქართულმა ოცნებამ", გვპასუხობენ: 44%-ო. ანუ, ცვლილების ნიშნული მხოლოდ 4%-ია, ხომ. ამიტომაც შეთანხმდნენ 43%-ზე. ოპოზიციამ ერთი პროცენტი, კიდევ, დამატებით წაიღო, რათა შარლ მიშელი, ევროკავშირი, დასავლელი პარტნიორები, აშშ თავის „სიმართლეში" დაერწმუნებინა — აი, ნახავთ, „ქართული ოცნება" 43%-საც კი ვეღარ აიღებს და ჩვენ რომ ვამბობდით: მან მხოლოდ 44% აიღო, მართალი აღმოჩნდებაო. მოკლედ, ასეა თუ ისე, ქვეყანა კონსტიტუციური ჩარჩოებიდან ამოვარდა. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ოპოზიციის კაპრიზების დაკმაყოფილება აღმოჩნდა, თუნდაც, კონსტიტუციური საკანონმდებლო წესრიგის დარღვევის ფასად, რაზეც გლობალურმა დასავლეთმა თვალი დახუჭა. აქ, მხოლოდ შარლ მიშელზე არ არის საუბარი. იმდენად დიდი მნიშვნელობა მიენიჭა შარლ მიშელის ე.წ. დოკუმენტის აღსრულებას და მასზე აღებული პასუიხსმგებლობის ბოლომდე მიყვანას, რომ ამ პროცესში აშშ-ც კი ძალიან აქტიურად ჩაერთო. ოპოზიციას ყველაზე ყურუმსაღული ნაბიჯიც კი გადაადგმევინეს — დოკუმენტზე ხელმოწერის შემდეგ, მას, შარლ მიშელის რეფორმების ჯგუფი შეაქმნევინეს.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ არ მოაწერა ხელი დოკუმენტს ნაცმოძრაობამ?**

— დიახ, სააკაშვილის ორთოდოქსალურმა ფრთამ და მისმა დანაყოფმა, ბოკერიას სახით, დოკუმენტს ხელი არ მოაწერეს. სწორედ, აქ, იწყება ყველაზე მთავარი ამბავი. არ ვიცი, ბიძინა ივანიშვილი თამაშობს თუ არა ჭადრაკს ან რა დონეზეა მისი საჭადრაკო უნარები და რამდენად უსწრებს ნანა ალექსანდრიასას, რომელიც ალბათ, გარკვეულ ნიჭს, გენეტიკურად, უანდერძებდა გიგა ბოკერიას. ეს უკანასკნელი ნამდვილად ფლობს გარკვეულ უნარებს. დოკუმენტზე ხელის მოწერაზე უარის თქმა, კოლექტიური „ნაცმოძრაობის" მხრიდან, აშკარა ცუგ-ცვანგი იყო. ნაცებს ამ დოკუმენტზე ხელი რომ მოეწერათ, „ქართულ ოცნებას" ცუგ-ცვანგის მდგომარეობა ექნებოდა. თვეები გავიდა და „ქართული ოცნება", დროის მოგების ტაქტიკის თვალსაზრისით, დასავლეთს უმტკიცებდა, რომ შარლ მიშელის დოკუმენტის ძირითად დებულებებს ასრულებს, მათ შორის, მართლმსაჯულების კუთხით. აქვე, აქცენტი შემდეგზე გაკეთდა: ჩვენგან განსხვავებით, ქვეყნის მთავარი ოპოზიცია დოკუმენტზე ხელმოწერაზე უარს აცხადებსო. ანუ, ქვეყნის ევროპიზაციისკენ წვლილის შეტანაშიო. მაშინ, „ნაცმოძრაობა" და „ევროპული საქართველო", ამ საკითხზე, საერთოდ, არ რეაგირებდა. მოხდა ის რაც პრინციპში მოსალოდნელი იყო, თუმცა ყველა ფიქრობდა, რომ „ქართული ოცნება" ამას ვერ გაბედავდა. ეგონათ, ირაკლი ღარიბაშვილი ამ ნაბიჯზე ვერ წავიდოდა. ამ დოკუმენტზე ხელმოწერის შემდეგ პროცესში ლევან ვასაძე ჩაერთო და თქვა: ეს დოკუმენტი დესუვერენიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯია და თავს ვალდებულად ვთვლი პოლიტიკაში შემოვიდეო. იმიტომ, რომ შარლ მიშელის დოკუმენტი არც მეტი, არც ნაკლები გულისხმობდა მთელი ჩვენი ქვეყნის მართვაზე, ევროკავშირის და გლობალური დასავლეთის მხრიდან, ცალსახა პასუხისმგებლობის აღებას, რაშიც ჩვენ, უბრალოდ, ნომინალური უფლებები გვრჩებოდა. რეფორმების განხორციელების მთელი ვალდებულებები გლობალური დასავლეთის ხელში გადადიოდა. კერძოდ, იგი, მთავარ ინსტრუმენტად ევროკავშირს გამოიყენებდა. კერძოდ, იმ ინსტრუმენტს, რასაც 5 ივლისს, ქართული საზოგადოების მხრიდან, ძალიან დიდი პროტესტი მოჰყვა. აშშ-ს ელჩი კელი დეგნანი ღიად აცხადებდა, რომ პრაიდის ჩატარება, ქართული სახელმწიფოს მხრიდან, უმთავრესი გამოცდა იქნებოდა დემოკრატიის კუთხით. იგი იმედს გამოთქვამდა, რომ შსს, მთლიანად მთავრობა „ღირსების მარშის" ჩატარებაზე პასუხისმგებლობას აიღებდა. აქვე, 15 პოლიტიკური პარტიის ლიდერმა ხელი მოაწერა გეი-მემორანდუმს, რითაც ლგბტ დღის წესრიგის გატარების ვალდებულება აიღო. ჩვენ, ასეთი უპრეცედენტო ფაქტის წინაშე არასდროს ვმდგარვართ. 15 პოლიტიკური პარტიის ლიდერის მიერ სამარცხვინო ისტორია დაიწერა. ღიად ვამბობ: ამ პარტიებმა ადგილი პოლიტიკურ წყვდიადში დაიმკვიდრეს, რითაც პოტენციურ ამომრჩევლებს მათთვის მხარდასაჭერად ყველანაირი მოტივაცია მოუსპეს. თქვენ იცით, ვინ არიან ეს ლიდერები, მაზე წინა ინტერვიუში ვისაუბრეთ. არ უნდა დავიღალოთ, ეს პარტიები ხალხს, ხშირად, უნდა შევახსენოთ. ეს წყალგამყოფი იქნება თუ ვინ დგას ერის ზნეობის, ორიათასწლოვანი კულტურის მხარეს და ვინ ისტორიის წყვდიადში. აი, ასეთი მოცემულობაა. დავუბრუნდეთ, ხელშეკრულებას. წარმოიდგინეთ, წაგებული მდგომარეობიდან, იპონზე, ბეჭებზე დასადებად გამზადებული ქვეყანა მოულოდნელად შემოტრიალდა და ამ შეთანხმებიდან, კაბალადან, უეჭველი დესუვერენიზაციის პროცესიდან გამოვიდა.

**— ამ პროცესს ევროინტეგრაციაზე უარის თქმა უწოდეს.**

— დიახ, ამას ჩვენი მტრები ევროინტეგრაციაზე უარის თქმას უწოდებენ. სინამდვილეში, ვფიქრობ, ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი მოხდა. ეს არის უდიდესი პოლიტიკური აქტი. დადგება დრო და მივხვდებით, რომ საქართველომ ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე კი არ თქვა უარი, არამედ ქვეყნის განვითარების დამუხრუჭებაზე. მან მოიპოვა შანსი უუფლებობისგან თავის დაღწევის, დესუვერენიზაციის პროცესის შეჩერების. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ჩემთვის, როგორც პოლიტიკური პროცესის გარეთ მყოფი ორგანიზაციის ხელმძღვანელისთვის, ანალიზი ადვილია. აი, საჭესთან ყოფნა კი რთულია. ამიტომ, **ამ გადაწყვეტილების მიმღებ პირს კონკრეტულად ამ ნაბიჯის გადადგმისთვის დიდ პატივს ვცემ. მან არ მისცა თავს უფლება, საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტი მიწასთან გასწორებულიყო. ამის ნაყოფს მალე მოვიმკით და საქართველოს განვითარების კუთხით, გაცილებით დიდი პერსპექტივა ექნება.** დასავლეთთანაც და აღმოსავლურ კოალიციასთანაც საქართველოს თანაბარი, სწორუფლებიანი ურთიერთობის, პარტნიორობის შესაძლებლობა ექნება, რაც ქვეყანას განვითარების საშუალებას მისცემს. საქართველო ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე იმყოფება. იგი, იმსახურებს მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნებში დაფასებული და ცივილიზაციის აკვნად იყოს აღიარებული.



**— ბატონო დიმიტრი, საქართველოში აშშ-ს საელჩომ განცხადება გააკეთა: აშშ ძალიან შეწუხებული და გაბრაზებულია „ქართული ოცნების გადაწყვეტილებითო. რა დასკვნები შეიძლება გავაკეთოთ ამ განცხადებიდან?**

— დიდი მადლობა, ამ შეკითხვისთვის. მართლაც, შარლ მიშელის დოკუმენტიდან გასვლის ფაქტი ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმა ძალიან მკაცრად შეაფასეს. მაგალითად, კარლ ბილტმა, კრამერმა, იან კელიმ, ბილ უილიამ კორტნიმ და ა.შ. მათ განცხადებებში ძალიან მკაფიოდ იკითხება ერთიდაიგივე ხელწერა. ეს გახლავთ აშშ-ს საელჩოს მიერ გაკეთებული უპრეცედენტოდ არადიპლომატიური განცხადების გაგრძელება. დიპლომატიური ეტიკეტი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის პოლიტიკურ პროცესში მიმდინარე ფრაგმენტების კომენტირებისას თავშეკავებას მოითხოვს. განცხადებაში სიტყვა გაბრაზებულის ხმარება, ეს ყოვლად შეურაცხმყოფელია არა მთავრობის, არამედ იმ მოსახლეობის მიმართ, რომლის მიერაც, ფორმალურად, ხელისუფლება არის არჩეული. ამიტომ, ეს არის მთელი ქართველი ერის შეურაცხყოფის ფაქტი. კიდევ ერთხელ, ხმამაღლა მინდა განვაცხადო: ელჩი რომელიც შეურაცხყოფს იმ ქვეყნის მოსახლეობას, სადაც თავის სახელმწიფოს მიერ არის წარგზავნილი, აუცილებლად, უნდა იქნას გაწვეული. თუ ჩვენს მთავრობას არ ეყოფა ნება, გამოცდილება და შესაძლებლობა, რომ კელი დეგნანს შეცდომებისკენ მიუთითოს, მაშინ არსებობს ქართველი ხალხი, რომელსაც აქვს უნარი იმისა, რომ მივიდეს აშშ-ს საელჩოსთან, წარადგინოს პეტიცია, მოაწყოს მიტინგი, მანიფესტაცია, გამოფინოს პლაკატები და მოითხოვოს: ელჩი ჩვენი ქვეყნიდან წაბრძანდეს. აშშ-ს უნდა მოვთხოვოთ შეასრულოს სტრატეგიული ქარტიით გათვალისწინებული ყველა ის დებულება, რაც დიპლომატიურ დონეზე შეურაცხმყოფელ რიტორიკას გამორიცხავს. რა თქმა უნდა, ჩვენ პატივს ვცემთ სტრატეგიულ პარტნიორს, მაგრამ ვერ ავიტანთ, რომ მისი წარმოგზავნილი ელჩი სიძულვილის რიტორიკას იყენებდეს. ეს განცხადება გახლავთ სახელმწიფოთა შორის, რეალური, სიძულვილის გამაღვივებელი განზრახვის პირდაპირი ინსპირაცია, რასაც დეგნანი აკეთებს. ეს პირველი შემთხვევა არ არის. თავიდან იყო მის მიერ გეი-პარადის მოთხოვნა. **დეგნანი არის პირი, რომელმაც 2016 წელს რომში გეი-პრაიდი ჩაატარა. როგორც ჩანს, ევროკავშირის წევრ იტალიის დედაქალაქში „წარმატებით" ჩატარებული პრაიდის მერე, მას, უბრალოდ, ვერ წარმოედგინა როგორ უნდა ეთქვა პატარა საქართველოს ამხელა ჰეგემონის მოთხოვნაზე უარი.** მისი მოთხოვნა ქვეყნის, სარწმუნოების შეურაცხმყოფელი იყო. ამიტომ, ქართველ ხალხს ორმაგი მოტივაცია აქვს მისი გაწვევა მოითხოვოს. დოკუმენტიდან გასვლით, კავკასიურ ერებში კვლავ ავტორიტეტი მოვიპოვეთ, რისი დაკარგვის წინაშეც არაერთხელ ვმდგარვართ. მავანმა ეს ფაქტი ღალატად შეაფასა. ყველას ეგონა: პრემიერ-მინისტრი ამას ვერ გაბედავდა. ირაკლი ღარიბაშვილი სანამ პენსიაზე გავა და მემუარებს დაწერს, მანამდე გახდება ბევრად უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური აქტის განმახორციელებელი ფიგურა, რითაც მან ქართული სახელმწიფოს, საზოგადოების ნება, ინტერესი გამოხატა. მინდა, ამისთვის, მას თქვენი გაზეთის ფურცლებიდან პერსონალურად ვუთხრა მადლობა.



**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# „ცოცხალ კლასიკოსთა“ ამბოხი, ანუ თქვენი ყველაყისამ!!!



ტორესა მოსი

ოოო... ღმერთო, რატომ ჩამოჰკრავს ხოლმე ყოველდღიურად უბედურების ასეთი მძიმე ზარი ამ ქვეყანაში, რატომ?! აგერ, გამთენიისას შემატყობინეს, საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებული ლიტერატურული კონკურსი „ლიტერა“ ცოცხალი კლასიკოსების მთელმა პლეადამ დატოვაო, თანაც პროტესტის ნიშნადო!

მიზეზიც მომახსენეს: პირველი ისა ყოფილა, რომე (შეიძლება არ დაიჯეროთ) კულტურის მინისტრმა თეა წულუკიანმა ჟჟჟურრრნალისტ ემა გოგოხიას მიკროფონი რომ წაართვა, ეგ არ გვესიამოვნაო. ერთი შეხედვით, ნებისმიერი ადამიანი იტყვის, სად ერეკლე, სად – პაპაჩემის ყურებიანი ქუდი, ანუ სად გოგოხიას მიკროფონი, სად – ქართული მწერლობაო, მაგრამ თუ საკითხს კარგად ჩავუღრმავდებით, სწორედ მაგაში მდგომარეობს თანამედროვე კლასიკოსების გაგება, გენია და ფ(ა)ლოსოფია.



იოსებ ჭუმბურიძე

ჩვენ მაგას ვერ მივხვდებით, მაგის გაგებას დრო უნდა, საუკუნეები. რაც შეეხება პროტესტის მეორე მიზეზს, თურმე ისა ყოფილა, რომე კულტურის სამინისტროს არც უციებია, არც უცხელებია, ჟიურის 4-წევრიან „სასტავში“ ერთი თავისი წარმომადგენელი შეუყვანია. აი, ამაზე ყარეს თემურ ალასანიას მიერ ნაყიდი ქოშები ჟიურის დანარჩენმა წევრებმა, მინისტრმა წულუკიანმა თავისი წარმომადგენელი ჩაგვინერგაო. ამაზე მეცინება, კულტურის სამინისტრო კონკურსს ატარებს და ესენი იძახიან, წარმომადგენელი ჩაგვინერგესო. გასაგებია, რომ კონკურსი ტარდება მწერალთა სახლის (ე.წ. სახლის) ორგანიზებით, მაგრამ ფულს ხომ სამინისტრო იხდის? ამათ „მაყუთი“ უნდათ, სამინისტროდან გაგზავნილი კაცი არ უნდათ.

ჩემი დაკვირვების შედეგად ვიცი, რომ ესენი გავარვარებული „ნაცები“ არიან, თანაც ისეთები, ბატონი იოსებ ჭუმბურიძე რომ აღწერს:

„ეს ის ხალხია, ვინც მწერალთა სახლის სხდომათა დარბაზიდან ილიასა და აკაკის პორტრეტები გაიტანა; ეს ის ხალხია (ნაწილი მეორე), ვისაც ილიასა და აკაკის პორტრეტების ჩამოხსნა არ გაუპროტესტებია. რამდენიმე წელიწადია, იქ ყოველი გამოსვლისას, ამას ვაპროტესტებ“.

ბატონ იოსებ ჭუმბურიძის ნათქვამს მეც დავამატებ: ეს ის დუპლეტი ხალხია, წერა-კითხვა რომ არ



ლელა კოდალაშვილი

იცის და მაინც მწერალთა კასტად იწოდება! ეს ის უნამუსო ხალხია, წლების განმავლობაში კულტურის სამინისტროს შიგნიდან რომ ხრავს და მართლა ნიჭიერ ადამიანებს ამ სფეროს ახლოს არ აკარებს! ეს ის უნამუსო ხალხია, ფული რომ სახელმწიფოსგან უნდათ და იგივე სახელმწიფოს ალასანია-სააკაშვილის დავალებით ებრძვიან და მოდით, ვთქვათ სიმართლე ბოლომდე: ეს არ არის ხალხი, ეს არის რურუების მიერ გამოჩეკილი მჯღაბნელთა ხროვა, სადაც იზრდებიან ე.წ. სამოქალაქო აქტივისტები და ქვეყნის ამრევები!

ახლა კი დადგა დრო, ის „ცოცხალი კლასიკოსები“ გაგაცნოთ, რომლებმაც კონკურსი მიატოვეს, ანუ თავიანთი წიგნები უკანვე გაიტანეს და იძახიან, ეგრე ემას მიკროფონის გამო მოვიქეცითო.

მოკლედ, კონკურსი პირველმა დატოვა ცნობილმა ქართველმა მწერალმა ტორესა მოსიმ. გამოგიტყდებით, როდესაც ეს გვარ-სახელი გავიგე, ვიფიქრე, რომელიღაც ესპანელმა მწერალმა დატოვა რომელიღაცა საერთაშორისო კონკურსი და ამ ჩემ ფეხებს-მეთქი. რას ამბობთ, თურმე სადა ვბანაობ? თურმე ეს ყველაფერი ხდება ჩემს სამშობლოში, აქვე, აგერ, ხელის ერთ გაწვდენაზე, რამდენიმე ნაბიჯის იქით. დავგუგლე, მივგუგლე, მოვგუგლე, დავინტერესდი, ჩავფიქრდი, საკუთარ თავს შეკითხვა დავუსვი: როგორ შეიძლება, ქართველ ადამიანს ერქვას ტორესა და გვარად იყოს მოსი? ბევრი ვეძებე, ლამის მთელი ლიტერატურული სამყარო გადავაქოთე და ამ ტორესას ნამდვილი წარმომავლობა ვერ დავადგინე. ისე, ჩემს გამოცდილებასა და ალღოს თუ ვენდობით, ეს უნდა იყოს ჩვენებური ტარიელ მოსიაშვილი, ან მოსიძე, ან სხვა ვინმე. ამან, ამ მოსიაშვილმა თუ მოსიძემ, 30 წელს კარგა ხნის წინათ გადაცილებულმა ახალგაზრდა მწერალმა დაწერა:

„უარს ვამბობ კულტურის სამინისტროს დაფინანსებულ ნებისმიერ პროექტში მონაწილეობაზე. უკვე ველაპარაკე ჩემს გამომცემელს და, შესაბამისად, „ორდროშობანა“ მოიხსნება ლიტერადან. წულუკიანს არ ვიკადრებ მე. სანამ ეგ ქალია კულტურის მინისტრი, სრულ ბოიკოტში ვიქნები მაგ უწყებასთან“.

ესე იგი, მწერალმა კაცმა არ იცის, რომ ამ შემთხვევაში „ლიტერა“ უნდა ჩასვას ბრჭყალებში... სანამ ეგ ქალია კულტურის მინისტრი, სრულ ბოიკოტში ვიქნები მაგ უწყებასთანო, ბოიკოტში ვიქნებიო. ორი წინადადებიდანაც კი აშკარად ჩანს, რომ ეს ჩვენებური მოსიაშვილი თუ მოსიძე მწერლად წოდებული ერთი ჩვეულებრივი თაღლითია. მით უფრო ეტყობა ინტელექტი, როცა აცხადებს, წულუკიანს არ ვიკადრებ მეო. აჰა, ვინ არ კადრულობს და რატომ არ კადრულობს თეა წულუკიანს? არაფერი შეგეშალოთ, ლიტერატურული პრემია „საბას“ ლაურეატიც ყოფილა, მუსიკოსიც, სცენარისტიც და სამოქალაქო აქტივისტიც (ხედავთ, რამდენ



დავით ქაშიაშვილი

თანამდებობას ითავსებს?). მეტსაც გეტყვით, მისი პირველი წიგნი გახლდათ „სიბრძნე სიცრუისა“, სწორედ ამაში მიიღო ხაზარაძის პრემია. ოოოჰ, ნუ იცით ხოლმე ჩხირკედელაობა, სულხან-საბამ რო „სიბრძნე სიცრუისა“ დაწერა, ის ადრე იყო, საუკუნეების წინ, ვის ახსოვს? ეს სხვა „სიბრძნე სიცრუისაა“, უფრო დახვეწილი და ლიტერატურულ სიმაღლეებზეა აყვანილი. ჯერ სად ხართ? მოსიაშვილი „დათა თუთაშხიას“, „ვეფხისტყაოსანს“ და „დიდოსტატის მარჯვენას“ რომ დაწერს, მერე ნახავთ თქვენა. ჰმ... წულუკიანიო, რატომ უნდა იკადროს წულუკიანი დიდმა მოსემ კი არა და... მოსიმ, რა გასჭირვებია ამისთანა, რატომ არ უნდა იყოს ბოიკოტში? აგერ, ჩამოვა სექტემბრის ბოლოსკენ მიხეილ სააკაშვილი, ჩამოიყვანს ბიძამის თემურასაც და შემდეგ გამოვა ბოიკოტიდან... რა ვიცი, სავარაუდოდ, ეგ იქნება მაშინ, როცა ჟორიკა რურუა დაინიშნება კულტურის მინისტრად და ეგ იქნება ზუსტად მაშინ, როცა ბატონი ტორესი (ტარიელი) დაასრულებს „ვეფხისტყაოსნის“ თანამედროვე ვერსიას.

ხუმრობა იქით იყოს, ისევ გადავიდეთ ბოიკოტში კი არა... სერიოზულში: მეორე, ვინც კონკურსი მიატოვა, იყო ვინმე მათე სარალიშვილი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე. მან მოკლედ და კონკრეტულად მოსხიპა: „ჩემს წიგნს ვერ ვუღალატებ. ვისაც „მივიწყებულნი“ წაუკითხავს, მიხვდება, რატომ ვტოვებ კონკურსს. „მივიწყებულნი“ 19 წლისამ დავწერე და 21 წლისამ გამოვეცი. წერის დროს დაგროვილი და გამოხატული ტკივილი ზუსტად ამ პროექტის მაორგანიზებელი ორგანოს, მსგავსი მიდგომის მქონე უკულტურო და ახალგაზრდების წინააღმდეგ მოქმედი პირების ბრალია“.

ესე იგი, 19 წლისამ დაწერა, 21 წლისამ გამოსცა, 22 წლისა კი პროტესტს უცხადებს პროექტის მაორგანიზებელ ორგანოს. დიახ, მაორგანიზებელსო, ასე ამბობს, ასე წერს 19–21 წლის ასაკში გაკლასიკოსებული სარალიშვილი.

ღმერთო, შენ დაიფარე საქართველო ამნაირი თავხედი და პრეტენზიული დუპლეტებისგან!

შემდეგი „მწერალი“ და „საზოგადო მოღვაწე“ გახლავთ დავით ქაშიაშვილი. ეგ ის არი, „ჩაჯვივიზიიდან“ ფეიკურ ნიუსებს რომ ავრცელებს ხოლმე ჩვენი სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ და პერიოდულად ნიკა გვარამიასთან ერთად ღვინოშიც რომ აფსამს.

ვაჰ, შენ გენაცვალე, იმნაირო და ამნაირო, მიხეილ სააკაშვილის დროს არ იყო ძალიან საშიში პრეცედენტები, ეს ახლა წარმოიშვა, როცა თეამ სამინისტროს წარმომადგენელი დანიშნა „გამოჟიურებულ სასტავში“.

კონკურსდატოვებულთა სიას გადავხედე და ამათგან მე რამდენიმეს გვარი თუ გამიგია (არაფერი წამიკითხავს), ფაქტობრივად არავის ვიცნობ, იქნებ თქვენ იცით



მათე სარალიშვილი

ან გაგიგიათ რამე? არ გეუბნებით, წაგიკითხავთ-მეთქი.

ახლა კი ვნახოთ, რას წერს ვინმე ლელა კოდალაშვილი:

„მე არც მწერალთა იმ ნაწილის მიმართ არ მაქვს პრეტენზია, ვინც დარჩენას არჩევს, რადგან სამინისტრო და ბიუჯეტი წულუკიანის საკუთრება კი არაა, ჩვენია და დიახაც რომ ჩვენ უნდა მოგვხმარდეს ახლა თუ არა, უახლოეს ხანში, როცა ეს უზურპატორი ქალი ჯანდაბაში წავა თავისი ნაყაჩაღარი მიკროფონიანად“.

ხედავთ? ეს ბიუჯეტი ჩვენიაო, ჩვენ უნდა მოგვხმარდესო, ეგრეც იქნება, როცა ეს ქალი ჯანდაბაში წავაო. იწყევლება „ცოცხალი კლასიკოსი“ და არ იცის, რომ წყევლა ყოველთვის მაწყევარისაა, ჯანდაბაში ყოველთვის ისინი მიდიან, ვინც ფიქრობს, რომ ჯანდაბაში სხვები უნდა წავიდნენ. რა ვალი აქვს ამ ქვეყანას კოდალაშვილის, რა დაგვიწერა ამისთანა კოდალაშვილმა? ეს ბიუჯეტი ჩვენიაო, დიახაც, ჩვენ უნდა მოგვხმარდესო.

ჩემი პასუხი და არა მარტო ჩემი: თქვენი ყველაყისამ!!!

●

დავასრულე რა წერა და გვერდზე გადავდე კალამი... უფრო სწორად, დავასრულე კლავიატურაზე კაკუნი, მომივიდა ინფორმაცია, რომ „ლიტერადან“ თავისი წიგნი („English – როგორ ვისწავლე და როგორ ვასწავლიდი“) გელა ჩარკვიანსაც გაუტანია. ეს ის გელაა, მომავალ თაობას რომ ატყუებს, ისე მძულდა საბჭოთა კავშირი, მეტი არ იქნება, ვერც მამაჩემი იტანდა, ვერც დედაჩემი, ყველანი დისიდენტები ვიყავითო. არადა, გელა ჩარკვიანის მშობელი მამა, კანდიდ ჩარკვიანი 1938-1953 წლებში გახლდათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი. 1938 წელი გეცნობათ? . ეეეჰ, წესით ასეთთა შვილები ხმას აღარ უნდა იღებდნენ, მაგრამ ისევ ესენი ყელყელაობენ, ისევ ესენი გვიპროტესტებენ. საოცარია ეს ცხოვრება, საოცარი, კანდიდ ჩარკვიანის შვილი თეა წულუკიანს ედავება, ემა გოგოხიას მიკროფონი რეიზა წაართვიო?!

ვახტანგ ჯავახაძე... ბესიკ ხარანაული... ამათაც წაუღიათ წიგნები სახლში, თურმე ესენიც ელოდებოდნენ პრემიებს. დაფრთხნენ, იციან, რომ აღარ გაუვათ ვირეშმაკობა და წაიღეს, „მამულიშვილური“ წაითამაშეს.

ბატონმა იოსებ ჭუმბურიძემ გადაწყვიტა, არც ერთი ნაბიჯით არ დაიხიოს უკან. მან საგანგებო წერილით მიმართა თეა წულუკიანს:

„შესაძლოა, ცუდად ვიქცევი; შესაძლოა, ეს ჯერ პირადად უნდა მეთქვა. მაგრამ ახლა რევერანსების დრო არ არის! უნიჭოთა და უზნეოთა, ცილისმწამებელთა დოღი უნდა დასრულდეს.

ანუ: ლიტერატურული კონკურსი „ლიტერა“ უნდა ჩაატაროს სსიპ „შემოქმედებითმა საქართველომ“, რომელსაც ლიტერატურის ინსტი-



გელა ჩარკვიანი

ტუტის დირექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქალბატონი ირმა რატიანი ხელმძღვანელობს და არა ლიტერატურისაგან შორს მდგომმა, პარტიულად ანგაჟირებულმა. სააკაშვილისაგან მართულმა აქტივისტმა., რომელმაც მწერალთა სახლის სხდომათა დარბაზიდან ილიასა და აკაკის პორტრეტები ჩამოხსნა.

**P.S.** გუშინ მითხრეს, ბოლო სართულზე საოჯახო სასტუმრო აქვთო(?!), რესტორნის ამბავი ხომ საყოველთაოდ ცნობილია“.

●

„საერთო გაზეთი“ სრულად იზიარებს ბატონ იოსებ ჭუმბურიძის პოზიციას და ასევე მივმართავთ ქალბატონ თეა წულუკიანს: რაც მალე მოაშორებთ სააკაშვილის ლეკვებსა და ბებერ მოღალატეებს ამ სფეროდან, მით მალე გავა ეს ქვეყანა სამშვიდობოს.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# ღია წერილი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს ქალბატონ თეა წულუკიანს

## გაათავისუფლეთ „მწერალთა სახლი“ საააკაშვილის „ხლისტების“ ოკუპაციისგან და დაუბრუნეთ მის კანონიერ მფლობელს – ქართულ მწერლობას



ქალბატონო თეა! იცით თუ არა თქვენ, ვინ არიან მწერალთა სახლის ახლანდელი ბინადარნი? — სააკაშვილის ბორდი, გუგულის ბუდეში ჩასხმული ყვავის წიწილები...

ქართულ მითში (ფოლკლორში) არსებობს ასეთი დეფინიცია: უდროო დროში ხვთის კარზე ეშმაკები კარვებს დგამდნენ და ქვეყანას ინაწილებდნენო!“

რა დრო დადგა ისეთი, ქალბატონო თეა, რომ მწერალთა ისტორიულ (სარაჯიშვილისეულ) სახლში შეჭრილი მედროვე-მოროდიორები ვერ გავიყვანეთ?!

სააკაშვილმა მწერალთა ისტორიულ სახლში „ეშმაკებს დაადგმევინა კარვები“, მწერლები კი სპეცრაზმებით განდევნა!..



ცხრა წელიწადი ვერც „ქართულმა ოცნებამ“ მოაცვლევინა ამათ ფეხი.

ახლა აქ ტიციანის, გალაკტიონის, გამსახურდიას, პაოლო იაშვილის, ლეონიძის, დუმბაძის და სხვა გენიალურ მწერალთა და მწიგნობართა ბრწყინვალე ტაძარში, ეს ქაჯები „ბაირამობენ“.

ახლა ამ ეშმაკებს გამოუცხადებიათ: სატანისტური ტელევიზიებიდან („კავკასია“, ტვ-1): ამ სახლიდან ბოლშევიკი, კომუნისტი მწერლები განვდევნოთო.

ვინ განდევნეს ამ სააკაშვილის შემოყვანილმა ახალმა მასონურიეღოვურმა ლენინელმა პროლეტკულტელებმა?

ამათ ჩვენ მიერ, ჩვენი თაობის მიერ განდევნილი რუსის ჯარი შემოაბრუნეს უკან და ჩვენი მიწა-წყალი ჩააბარეს.

რუსები მართლაც ჩვენმა, 70–80-იანელების უმამაცესმა და უნიჭიერესმა თაობამ გაიყვანა საქართველოდან და 9 აპრილს ბედისწერული ხელჩართული ბრძოლა გაუმართა რუსის ჯალათებს, რაშიც პირდაპირ თუ ირიბად ყველა მწერალი და ხელოვანი მონაწილეობდა: ერთმანეთის დაკარგულ ცოლ-შვილსა და მეგობრებს ვეძებდით!

ლიბერასტების ეს კასტა და „კლასტერი“ კი მერე მოჰყვა სააკაშვილის ხროვას და მოიტანა ის ლენინურ-ბოლშევიკური (ლიბერასტური) ზნენი და თვისებანი, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლას შეეწირნენ პატრიოტი, უნიჭიერესი ქართველი მწერლები.

ჩვენმა, 70–80-იანი წლების უნიჭიერესმა თაობამ შექმნა XXსაუკუნის ქართული კულტურის, კინოსა და ლიტერატურის რენესანსი; ჩვენმა ინტელიგენციამ გამოიყვანა საქართველო რუსეთის ოკუპაციიდან.

ამათ ისევ უკან შეაბრუნეს.

ამათ, სააკაშვილის შეგირდებმა, მწერალთა სახლში რომ მოკალათდნენ, მოახერხეს ქართული კულტურისა და მწერლობის „ოკუპაცია“ (ექსპროპრიაცია), სადაც შეხვალ — კულტურის სამინისტროში, გამომცემლობებში, სტამბებსა თუ ტელევიზიებში, ყველგან ესენი გხვდებიან წინ „სოლომონის მკვდრებივით“ და საარსებო სივრცეს გართმევენ.

მწერალთა სახლშიც ესენი ჩაბუდდნენ და ცოცხალი თავით არ უშვებენ მწერლებს, მემორიალურ ბაღშიც კი ვერ შეხვალ, თუ ამ აწ უკვე სასტუმრო-სარესტორნო ბაღად ქცეული სახლის დირექტორმა, ვინმე უწიგნურმა ლომოურის ქალმა არ მოგცა ნებართვა-საშვი.

ამათ აფინანსებს ყველა ანტისახელმწიფოებრივი ბიზნესი, ბანკები და ფონდები: ხაზარაძეოქუაშვილები და მისთანანი...

და რატომღაც ამათვე აფინანსებს ხელისუფლება, ანუ კულტურის სამინისტროც (ამ ქვეყნის და ხელისუფლების მაოხრებლებს და მაგინებლებს), რაც მართლა პარადოქსია!

ქალბატონო თეა, მაჩაბლის 13 ნომერი ჩვენთვის არის წართმეული და კულტურის სამინისტროს ეკუთვნის. ეს სახლი არ არის, მაგალითად, „სიპის“ კუთვნილება.

ახლა კულტურის სამინისტრო აფინანსებს იქ რურუასდროინდელ „დესანტს“, აძლევს კონკურსების მოსაწყობ სოლიდურ სახსრებს, უხდის სახლის ადმინისტრაციას ხელფასებს, უფინანსებს გაზეთს!..

და მათვე აგზავნის უცხოეთში კულტურულ ბიენალეებზე, წიგნის საერთაშორისო დღეებზე, საიდანაც საკუთარ ქვეყანას და ხელისუფლებას აგინებენ. რა შეიძლება დაერქვას ამას? რა ტიპის მოვლენაა ეს?

ამავე დროს, მწერალთა სახლში შეყვანილი „ხლისტები“, თქვენივე დაფინანსებული კონკურსის ჟიურიში ერთი წევრის შეყვანის ნებასაც კი არ გაძლევენ, უტიფარ განგაშს ტეხენ!

ქალბატონო თეა, რაც ხდება, ეს სირცხვილზე უფრო მეტია. უსამართლობაა და კიდევ რაღაც სხვა...

გაიყვანეთ ეს „ბორდი“ თუ „ბორდელი“ აქედან და აღადგინეთ სამართლიანობა!

მართლაც სამწერლო, ისტორიულ-მემორიალური სახლი, სადაც მწერლებს შეკრება უხაროდათ, სიამოვნებდათ ბიბლიოთეკასა თუ ბაღში ჯდომა, არქივებში ძიება... ამათ ეს ისტორიული შენობა და გარემო მართლაც „ბარდაკად“, რესტორნად და სასტუმროად აქციეს... გაანადგურეს ბიბლიოთეკა, არქივი და სხვა მრავალი...

მოდი, ვიკითხოთ (და ჩვენ არაერთხელ ვიკითხეთ და გამოვხატეთ აღშფოთება): ვინ არიან ესენი, რა ძალა იცავს და მფარველობს მათ? რას წერენ და რა კონკურსებს ატარებენ?

რა არის პრემია „ლიტერა“ და ვინ აფუძნებს?

რა არის პრემია „საბა“ და ვინ აფინანსებს ერის სავნებლად ჩასაფრებულ ამ ჯაშუშებს?

ჭეშმარიტი მწერლებისთვის არც ერთი კონკურსი, გრანტი და პრემია არ არსებობს!

100 რჩეული, ელიტური მწერალი და მწიგნობარი (ყველა თაობის) წარმოდგენილი ჰყავს მწერალთა აკადემიას;

არაერთი ბრწყინვალე თარგმანის ავტორი;

არაერთი უნიკალური პოეზიისა თუ პროზის შემოქმედი.

არც ერთი ჩვენგანი არ მიუწვევიათ არც ერთ ბიენალეზე, არც რომელიმე კონკურსზე.

ქალბატონო მინისტრო:

მიეცით მწერალთა აკადემიას გრანტი უკიდურესად გაჭირვებული მწერლებისთვის; მიეცით საკონკურსო დაფინანსება ჭეშმარიტად ღირსეული მწერლებისთვის.

ქალბატონო თეა, იმასაც გეტყვით: მწერალთა ეროვნულმა აკადემიამ დააფუძნა „დროთა და მოვლენათა ცვლის ამსახველი სამწერლო სახელოვნებო და საკრალური ცოდნის“ ჟურნალი „სხვა დრო“.

ეს ჟურნალი, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია, ლიტერატურულ ბრენდად იქცა, ახლა შეჩერებულია უსახსრობის გამო.

მიმდინარე წლის (1-ლი) ნომერი მომზადებულია უნიკალური მასალებით.

ამ ჟურნალის დაფინანსება აუცილებელია კულტურის სამინისტროს მიერ.

●

დასასრულს ვიტყვით, რომ ერის მორალს მწერლობა აყალიბებს. ქართველმა ერმა შეასრულა გარკვეული სამწერლო-მწიგნობრული მისია ისტორიის ვრცელ გზაზე ფარნავაზიდან დღემდე ერის გადარჩენისთვის.

ქართველი ერი და სახელმწიფო ღირსეული მწერლობის გარეშე ვერც დღეს იარსებებს!

ამჟამად არც ერთი მწერალი არ არის მწერალთა ისტორიულ სახლში და არის სულ სხვა ხალხი.



ამათ ჯერ არაფერი დაუწერიათ.

რატომ ისვამთ თავზე იმ უწიგნურ ქალბატონს? დანიშნეთ სხვა დირექტორი — ღირსეული მოღვაწე, მწერალი.

მოახდინეთ „მწერალთა სახლის“ სრული რეორგანიზაცია და რეფორმა.

ეს არის „ქართული ოცნების“ შეცდომა, რომელიც თქვენ უნდა გამოასწოროთ, ქალბატონო თეა.

პირდაპირ ვიტყვით: ჩვენ ვწერთ, დავწერეთ და კიდევაც დავწერთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ გაგვაქვს ჩვენი წიგნები კონკურსებზე, არ თარგმნიან და მაინცდამაინც სკაბრეზულ, ამორალურ მჯღაბნელებს უხსნიან გზას.

„ქართულმა ოცნებამ“ უნდა შეძლოს ქართული მწერლობის ისტორიული ღირსების და უფლების აღდგენა, ჩარეცხილი ინტელიგენციის რეაბილიტაცია...

კატეგორიულად მოვითხოვთ: გააუქმოთ მწერალთა სახლის ახლანდელ ბინადართა სააკაშვილის ბოძებული პრიორიტეტები და ეს სახლი დაუბრუნდეს ჭეშმარიტ მწერლობას (პატრონს)!

დაუბრუნეთ ოფისები ქუჩაში დარჩენილ აკადემიას და კავშირს.

არც ერთ მეზობელ ქვეყანაში ისეთი დაუცველი მწერალი არ არსებობს, როგორც რუსთაველისა და ვაჟას სამშობლოში.

ქალბატონო თეა,

მწერალთა ეროვნული აკადემია რჩეული მწერლებითა და მწიგნობრებით, მათი მაღალი ნიჭით, გთხოვთ, იმოქმედოთ მწერლობის სახელით მწერლისა და სამშობლოს დასაცავად! მიეცით კეისარს კეისრისა და საკუთარი წილის ნაწილი მაინც დაუბრუნეთ, რომ მწერლობა ქუჩაში არ იყოს განდევნილი...

**მწერალთა ეროვნული აკადემიის სახელით:**

**კობა არაბული, ლერი ალიმონაკი, ვახტანგ ხარჩილავა, გური ოტობაია, ჯუბა ლეჟავა, ტარიელ ხარხელაური, თემურ შავლაძე, ელიზბარ ჯაველიძე, ზურაბ თორია, ვანო ჩხიკვაძე, ავთანდილ არაბული, ლევან ბრეგაძე, ელდინო სალარაძე, ირაკლი ვაშაყმაძე, გურამ პეტრიაშვილი, ზაურ კალანდია, და ა. შ.**

# რა ჰქვია იმ დროს, როცა გუშინდელი მწამებლები დღეს ადამიანის უფლებებზე გველაპარაკებიან, მკვლელები – სათნოებაზე, კახპები – უბიწოებაზე

*გვესაუბრება „გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი ნანა დევდარიანი:*

**— ქალბატონო ნანა, 5 ივლისის მოვლენების მერე დასავლეთთან ურთიერთობა გაცივდა. რას ნიშნავს ყოველივე?**

— თამარ, აშშ საუდის არაბეთს რატომ არ სთხოვს, კატეგორიულად, გეი-პარადის ჩატარებას?! როცა დიპლომატი დაანაწევრეს და ისე გაიტანეს საელჩოს შენობიდან, სტრატეგიული პარტნიორის საუდის არაბეთისთვის უბატონოდ ხმა არავის გაუცია, ასე არ იყო?! ხომ არ შეიძლება საუდის არაბეთიც და საქართველოც სტრატეგიული პარტნიორები იყვნენ, მაგრამ ჩვენგან ითხოვდნენ იმას, რასაც მას არ სთხოვენ. ნუ, გასაგებია, რომ აქ, ნავთობი და ბევრი სხვა ფაქტორი თამაშობს, მაგრამ კანონის უზენაესობა ხომ დასავლეთში შექმნილი ტერმინია. ხომ არ შეიძლება კანონი შენთვის კანონობდეს, ჩემთვის — არა და რაც მინდა ის ვაკეთო. ეს ერთი. მეორეც, ევროსაბჭოს წევრია აზერბაიჯანიც.



Mari Nikuradze / OC Media

ვინმეს მოუვა თავში აზრად, რომ იქ, გეი-პარადი მოაწყოს? მე, ძალიან მიყვარს აზერბაიჯანელები, უამრავი მეგობარიც მყავს. რატომ მათ არ საყვედურობენ? — იმიტომ, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ალიევმა სრულიად გასაგებად თქვა: ჩვენ, ჩვენი ტრადიციები, ისტორია გვაქვს და მასში ჩარევას არ დავუშვებთო. დიახ, ეს ხმამაღალი განცხადება ევროკავშირის მისამართით გააკეთა. აი, ეს ვითარებაა, ახლა, მსოფლიოში. მაგალითად, უნგრეთმა მიიღო კანონი, რომელიც კატეგორიულად კრძალავს არატრადიციული სექსის პროპაგანდას ბაღში, სკოლაში, სატელევიზიო გადაცემების მეშვეობით და ა.შ. აქ, უტეხად იძახიან: ეს ევროპის ფუნდამენტიაო. მე, ვიცი, რომ ევროპის ფუნდამენტი არის ქრისტიანობა. ყველამ ასე ვიცით. ისტორიულად, ასე იყო. ვინმეს თუ გზადაგზა სიარულში ფუნდამენტის გამოცვლა მოუნდება, ასე არ გამოვა იმიტომ, რომ ამ ფასეულობებს არ გადავუხვევთ.

**— ბაიდენმა განაცხადა: ქვეყნებში სადაც ლგბტ-ს უფლებებს არ იცავენ, იქ, ადამიანის უფლებებზე ლაპარაკი ზედმეტიაო.**

— კიდევ როგორღა უნდა დავიცვათ ლგბტ თემის უფლებები. მოდი, ერთი რამ ვთქვათ: მე, დღემდე, უმუშევარი ლგბტ თემის წარმომადგენელი არ შემხვედრია. თქვენ, გინახავთ? — მე, — არა. ჰეტეროსექსუალებში კი უმუშევრობის დონე კატასტროფულ რიცხვს აღწევს. ერთი ცალკეული შემთხვევა ვიცი, როცა ტრანსგენდერზე იძალადეს. საუბედუროდ, ეს ერთი მკვლელობა მახსენდება, რომელიც ვერ გაირკვა, რატომ მოხდა. მათ რომ მასობრივად არავინ ერჩის, ეს ცხადია. საერთოდ, ჩვენს კულტურაში არ ზის, ადამიანებს რაიმე ნიშნით ქუჩაში სდიო და გაუსწორდე. ის რაც 5 ივლისს მოხდა, ამას ცალკე საფუძვლები აქვს. ზოგადად, ჩვენს ისტორიულ კონტექსტში, ასეთი რამ არასდროდ ყოფილა. მათ არავინ დევნის, მაგრამ მე, ხომ მაქვს უფლება ჩემი შვილები, შვილიშვილები, ფსიქიკა ამ პარადებისგან დავიცვა, სადაც საოცარი გარეგნობის ადამიანები გამოდიან და საკუთარი სექსუალური ორიენტაციის მანიფესტაციას ახდენენ. უფლება მაქვს, ამ ყველაფრისგან, დაცული ვიყო. მათ პირად ცხოვრებაში არ ვერევი, როგორც გაუხარდებათ ისე იცხოვრონ, მაგრამ საკუთარ სექსუალურ ორიენტაციას საჯაროს ნუ გახდიან. ეს ხომ ელემენტარულია — კავკასიურ კულტურაში საერთოდ არ დევს არამცთუ არატრადიციული სექსუალური, არამედ ტრადიციული და ოჯახური ურთიერთობების, ინტიმის გარეთ გამოფენა. ათასწლეულების, ასწლეულების განმავლობაში, ეს, სირცხვილად ითვლებოდა. ზოგადად, უფლებების საკითხზე თუ ვისაუბრებთ, მიტინგების და მანიფესტაციების ჩატარება შეუზღუდავი უფლება არ არის. ის, მეტ-ნაკლებად, ბევრ ქვეყანაში სხვადასხვა ფორმით იზღუდება. იცი რა არის, აბსოლუტური უფლება? — ჩემი სიცოცხლის უფლება, რომლის ხელყოფა არავის შეუძლია. ასევე, ის, რომ წამებისგან დაცული ვიყო. ახლა, ვსვამ კითხვას: მავანს, დღეს, მიტინგების, მანიფესტაციების უფლებების რეალიზაცია რომ სურს და მთელი მსოფლიო შეყარა, იმ წლებში რატომ არ ჩანდა, როცა ადამიანების სიცოცხლე, აბსოლუტურად, დაუცველი იყო და მათ ციხეებში აწამებდნენ. მაშინ, რატომ არ თქვეს: ადამიანის უფლებები ილახებაო. ხომ ვერ გამახსენებთ, სად იყვნენ მაშინ ეს ხალხი?!

**— მაგალითად, გვარამია, 26 მაისს 19 ჟურნალისტი რომ სცემეს, გენერალური პროკურორის მოადგილე იყო. დაიცვა მათი უფლებები?**

— „იმედის“ დარბევა და გვარამიას სატელევიზიო გამოსვლაც არ დაგვავიწყდეს როგორ „გააპრავა“ მაშინ ეს თემა. ეს, იცი რას მაგონებს — კლინიკურმა მოძალადემ ერთხელაც რომ გამოხტეს და თქვას: ჩემზე, ძალადობას აპირებდნენო. ეს ყველაფერი ანეკდოტს ემსგავსება. გუშინდელი მწამებლები, დღეს, ადამიანის უფლებებზე გელაპარაკებიან, მკვლელები — სათნოებაზე, კახპები – უბიწოებაზე.

ეს პოლიტიკური ტრენდია. გახსოვთ, თამარ ივერი რა დღეში ჩააგდეს „ფეის-ბუქ“ ჩანაწერის გამო — ლამის ყველა გასტროლი და კონცერტი გაუუქმეს. ეს ადამიანებზე პირდაპირი ძალადობაა. ანუ, ჩემი აზრი პრიორიტეტულია და შენ რას ფიქრობ, სულ არ მაინტერესებსო. ასე, არ შეიძლება. მისთვის გამოხატვის თავისუფლებაა რუსთაველზე შიშველი სირბილი და ეს მისაღებია, ჩემი გამოხატვის უფლება, რომ ეს არ მომწონს — შეზღუდულია. ეს არ არის კანონის უზენაესობა, თანაბარი მიდგომა. ეს, აუცილებლად, დამთავრდება, ასე ვერ გაგრძელდება. ვინმეს ჰგონია, რომ ამერიკაში და ევროპაში მოსახლეობა ამას აღტაცებით ხვდება? — სულაც არა. იქაც, არიან ადამიანები, ვისთვისაც ეს ყველაფერი მიუღებელია. თუმცა, ეს ძალადობაში არასდროს უნდა გადავიდეს.

**— უფლებები ახსენეთ და სად გადის ზღვარი გამოხატვის თავისუფლებასა და ადამიანის უფლებების დაცვას შორის?**

— ერთხელ და სამუდამოდ, ყველამ ვინც ვერ გაიგო, ახლა, მაინც უნდა გააცნობიეროს, რომ ამ ხალხისთვის ადამიანის უფლებები მხოლოდდამხოლოდ პოლიტიკური ინსტრუმენტია. საინტერესოა, გამოხატვის თავისუფლებაა, როცა წამყვანი გამოდის და პირდაპირ ეთერში კონკრეტულ პიროვნებებს აგინებს? — არა! გვარამიამ ჩემს კორესპონდენტს მიკროფონი წაართვეს და სასწრაფოდ სისხლის სამართლის საქმე აღძარითო. „იმედი“ როცა დავარბიეთ და აპარატურა სრულიად მიწასთან გავასწორეთ, ეს სწორი იყო იმიტომ, რომ იმ წუთას ვითარება ასე მოითხოვდაო — აცხადებდა, იგივე, გვარამია. რაღაც დასკვნები ხომ უნდა გამოვიტანოთ?! საერთოდ, „ქართული



ოცნება“ რატომ უგდებს ამ ხალხს ყურს, უკვე, მეცხრე წელია, ჩემთვის გაუგებარია. ნუთუ არ იციან, რომ დემაგოგიის, ცილისწამების და შანტაჟის გარდა მათგან სხვას არაფერს უნდა ელოდო. ზოგადად, მათი აზრი რატომ აინტერესებთ ამა თუ იმ საკითხზე?! პირველ რიგში, საკუთარი მოსახლეობის, ამომრჩევლის აზრით უნდა ინტერესდებოდნენ. „პატრიოტთა ალიანსს“ კვირა დღეს, 3 იანვარს საშობაო არდადეგებზე შეუწყვიტეს უფლებამოსილება და ამაყად თქვეს: კარგია, რომ პარლამენტში პრო-რუსული ორიენტაციის პარტიები არ არიანო. იქ, უსხედან „ნაცმოძრაობა“ და „ევროპული საქართველო“. სად ეძებენ რუსული ორიენტაციის პარტიებს, ხომ ვერ მეტყვი?

**— შარლ მიშელის დოკუმენტი გაუქმდა. რა ეშველება 43%-იან დათქმას?**

— ეს, პოლიტიკური ძალებისგან მიწოდებული აზრი იყო. ნაცები და მისი დანაყოფები მყავს მხედველობაში. „ნაციონალები“ რამდენჯერაც არ უნდა დაიშალნონ, როცა სჭირდებათ, ისევ ერთად არიან. ეს აზრი დასავლეთს, მათ მიაწოდეს. ყველა ლოგიკით ხელახალი არჩევნები უნდა დანიშნულიყო. ეს დეპუტატები, ვითომ, პარლამენტში არ შედიოდნენ, მერე შევიდნენ. ეს ხომ არასრულფასოვანი ორგანოა. პარლამენტი თუ ის არის, რომ იქ, ფეხშიშველა დეპუტატებმა მაგიდებზე იტყაპუნონ, ამას, მგონი, სხვა რაღაც ჰქვია. პარლამენტში, სახელმწიფო გადატრიალებისას, ნოემბერშიც დარბოდნენ მაგიდებზე, ოღონდ, მაშინ ციოდა და ფეხზე ეცვათ. მერე, ამას „ვარდების რევოლუცია“ დაარქვეს. თავად იძახდნენ: ბანდერლოგებივით დავხტოდით პარლამენტშიო. დიახ, რა ბანდერლოგებიც 2003 წელს იყვნენ, 18 წლის მერეც, იგივენი არიან, უბრალოდ, ცოტა ასაკი მოემატათ.

**— დემოკრატია ხომ უნდა იყოს უმრავლესობისთვის მისაღები წესების დაკანონება. თუ ეს მხოლოდ უმცირესობების უფლებების დაცვაა, მაშინ ბარემ, დიქტატურა აგვერჩია?**

— საქმეც მაგაშია, თანამედროვე მსოფლიო ვითარებას რომ გადავხედოთ, მათ შორის, განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებშიც, ხშირად, გადავეჯერებით ფაქტს, რომ საქმე, სინამდვილეში, უმცირესობიდან მომდინარე დიქტატურასთან გვაქვს. ანუ, პროცესებს უმცირესობა მართავს. იმიტომ, რომ ახლა, ასეთი ტრენდია — უმცირესობები დაცულნი უნდა იყვნენ. მილიონი კაცის დაპურება ხომ უფრო ძნელია, ვიდრე რაღაც განსხვავებული ნიშნის მქონე ასი ადამიანის. ანეკდოტური სიტუაციაა. სააკაშვილის დროს, 9 წელი განა უმცირესობა არ გვმართავდა? ეს ხომ სინამდვილეში უმცირესობა იყო, რომელმაც სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა. მაშინ არც აშშ-მ და არც ევროპამ ეს ვერ დაინახა. ვითომ, ხავერდოვანი რევოლუცია მოხდა.

**— კელი დეგნანის ქმედებები ტრამპის ადმინისტრაციის დროს განსხვავებული იყო. მახსოვს, მაშინ როგორ დატუქსა იგი გვარამიამ პირაპირი ეთერიდან „არასწორი ქმედებების გამო“.**

— კელი დეგნანი იმას ახმოვანებს, რასაც სახელმწიფო დეპარტამენტიდან ეტყვიან. ბაიდენი ფსევდოლიბერალიზმის მედროშეა. ასეთია, მისი ხაზი. ტრამპის ხაზი ბევრად უფრო ტრადიციონალისტური, ქრისტიანული იყო. ის ამბობდა: დღეს, ქრისტიანობა იდევნებაო. მისი მმართველობის დროს შემდეგი მიდგომა იყო: ამერიკამ სხვა ქვეყნების შიდა საქმეებში ჩარევას, თავი უნდა დაანებოსო. გამოძიება მიმდინარეობს და მალე დაიდება ტრამპის დაკარგული ხმები. უდიდეს სახელმწიფოში, რომელსაც თავი დემოკრატიის დამნერგავად, მშენებლად მოაქვს, თუ ყალბდება არჩევნები, აქ, ვის უნდა ელაპარაკო.


თამარ ივერი

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ერიჰაა, თბილისის მერობისთვის ბრძოლას თვით გიორგი გახარია აპირებს?



როგორც გიორგი გახარიას პარტიასთან დაახლოებულმა პირმა გვითხრა, უკვე მიღებულია გადაწყვეტილება, თბილისის მერობის კანდიდატად კენჭი თვით პარტიის ლიდერმა გიორგი გახარიამ იყაროს.

როგორც წყარო ამტკიცებს, ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ იქნა მიღებული, რაც არველაძეებთან მოლაპარაკებები უშედეგოდ დამთავრდა და პარტია ალტერნატივის წინაშე დადგა — ან საერთოდ უარი თქვან თბილისის მერობის არჩევნებში მონაწილეობაზე, ან ისეთი კანდიდატი წარადგინონ, რომელსაც შეუძლია სერიოზული კონკურენცია გაუწიოს „ქართული ოცნების“ კანდიდატს კახა კალაძეს, რომელიც უდავოდ ფავორიტია და პირველსავე ტურში გამარჯვების დიდი შანსები აქვს.

რაც შეეხება „ნაცმოძრაობის“ ფალავანს, ნიკანორ მელიას, ის ქუჩის კაზპასავით იმდენი ათრია „ქართულმა ოცნებამ“, რომ, შეიძლება ითქვას, მელია პოლიტიკურად გაბაზებული და ნამუსახდილია და მას წარმატების არანაირი პერსპექტივა არ აქვს.

ასე რომ, ეს ორნი — მელია და გახარია, ნებსით თუ უნებლიეთ, ფაქტობრივად, მოკავშირეები არიან, რომლებიც უშუალოდ კალაძეს შეუქმნიან პრობლემებს, განსაკუთრებით გიორგი გახარია, რომლის პარტიაც, როგორც ამბობენ, ღიად და „ნაგლად“ ნადირობს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების ხმებზე.

წყაროს მტკიცებით, მიუხედავად იმისა, რომ „ნაცმოძრაობის“ და მისი გაბაზებული ლიდერის რეიტინგი მკვეთრად დაეცა, მათ მაინც საკმაოდ მრავალრიცხოვანი ელექტორატი ჰყავთ, ამას თუ დავუმატებთ იმ ხმებს, რომლებსაც გახარია მიიღებს, საერთო ჯამში, ეს რაოდენობა შეიძლება სრულიად საკმარისი აღმოჩნდეს იმისთვის, რომ კალაძემ პირველ ტურში ვერ გაიმარჯვოს და საქმე მეორე ტურამდე მივიდეს, მეორე ტური კი ისეთი სპეციფიკური და განსხვავებული ფორმატია, იქ შეიძლება სრულიად გაუთვალისწინებელი და მოულოდნელი ამბები მოხდეს.



თუ გიორგი გახარია ჩაებმება მერობისთვის ბრძოლაში, დიდი ალბათობით, მეორე ტური გარდაუვალი გახდება, თუმცა გამარჯვებით შეიძლება გახარიამ ვერ გაიმარჯვოს, მაგრამ ეს შეიძლება ჩვენი პარტიისთვის ერთგვარი ტრამპლინი აღმოჩნდეს მომავალი რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების წინ, რომელიც, ექსპერტთა და ანალიტიკოსთა გათვლებით, აუცილებლად დაინიშნება 2022 წლისთვის, – აცხადებს გიორგი გახარიას პარტიის წარმომადგენელი.

ერთი შეხედვით, რაში უნდა სჭირდებოდეს მერობისთვის ბრძოლა კაცს, რომელიც პრემიერ-მინისტრის პოსტს იკავებდა?

რაში სჭირდება და იმისთვის სჭირდება, რომ თავის პერსონას მეტი წონა და ფასი შესძინოს.





გახარია არჩევნებში მონაწილეობით უცებ ხდება პოლიტიკური სპექტრისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი და საჭირო ფიგურა, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიონ.

როგორც ჩანს, გახარიას შელახული თავმოყვარეობაც აწუხებს და იმის დამტკიცებას ცდილობს, რომ „ქართული ოცნების“ და ივანიშვილის გარეშეც ის სერიოზულ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს და მისი ჩამოწერა და „პენსიაზე გაშვება“ არც ისე ადვილი საქმეა.

ერთი პოლიტიკური მიმომხილველის აზრით, სწორედ გახარიას უკავშირდება „ქართული ოცნების“ მოულოდნელი გადაწყვეტილება შარლ მიშელის დოკუმენტის ჩარჩოებიდან გასვლის შესახებ, რითაც „ქართულმა ოცნებამ“ მოიხსნა ვალდებულება, დაენიშნა რიგგარეშე არჩევნები, თუ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში 43%-იან ბარიერს ვერ გადალახავდა.

ჩვენი წყაროს ინფორმაცია, რომ გახარია თბილისის მერობაზე იყრის კენჭს, მინიშნებებით დაადასტურა კიდევაც გახარიას პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა კახა ქემოკლიძემ „პალიტრანიუსთან“ ინტერვიუს დროს, სადაც მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტია მერობის კანდიდატად წარადგენს უაღრესად სერიოზულ, ავტორიტეტულ, საქმიან, წესიერ და პატრიოტ პიროვნებას, ფაქტობრივად, ახალ დიმიტრი გელოვანს, ასეთი კი სხვა ვინ ეგულება კახა ქემოკლიძეს, თუ არა გიორგი გახარია.

**დავით ქავთარია**




# „ისტორიული მეხსიერების ამნეზია“

ახლახან ქართულ ისტორიოგრაფიას კიდევ ერთი ყურადსაღები და მნიშვნელოვანი ნაშრომი შეემატა — აჭარის მკვიდრის, პუბლიცისტის, ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანის რეზო რომანაძის შესანიშნავი მონოგრაფია „ისტორიული მეხსიერების ამნეზია“ (აჭარა 1918-1919 წლებში).

ამ საკმაოდ სტელტანიან ნაშრომში მოთხრობილია საქართველოს, კერძოდ კი აჭარის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა 1918-1919 წლებში.

„ჩვენ, ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, ამოცანად დავისახეთ, გაგვეშუქებინა ასი წლის წინათ საქართველოში, უმთავრესად, აჭარაში არსებული პოლიტიკური ვითარება და გამოგვეტანა ლოგიკური დასკვნა, თუ რა ხდებოდა იმ დროს აჭარაში.

ამასთანავე, ნაშრომში, მიუხედავად 300-წლიანი თურქული ტყვეობისა, შევეცადეთ, თავიდან ბოლომდე გაგვეაზრებინა საფუძველი იმისა, რომ აჭარის მოსახლეობა ოცნებობდა თავის სამშობლოზე — დედა-საქართველოზე და მასთან შეერთებაზე“, — წერს ავტორი წიგნის შესავალში.

ამ წიგნის გამოცემა იმდენად არის მნიშვნელოვანი და აღსანიშნავი ქართული საზოგადოებისთვის, რომ ნაშრომში, უნიკალურ ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით და ანალიზის საფუძველზე ნათლად არის წარმოჩენილი აჭარის მოსახლეობის თავდაუზოგავი და მოუწყინარი ბრძოლა მშობლიურ წიაღში დაბრუნებისა და დამკვიდრებისთვის.

აჭარის და აჭარლების ეს მართლაც ჰეროიკული, სამაგალითო ბრძოლა მე-20 ს-ის დასაწყისშიც იმდენად მძაფრი და მუხლჩაუხრელია, რომ მასზე წერა დაუსრულებლად შეიძლება.

ამ საპატიო საქმეს ბატონმა რეზო რომანაძემ, ღრმად პატივცემულ რედკოლეგიასთან ერთად ბრწყინვალედ გაართვა თავი და ქართველ და არა მარტო ქართველ მკითხველს იმ პერიოდის ფასდაუდებელი სახელმძღვანელო შესთავაზა.

ვულოცავთ რეზო რომანაძეს და ნაშრომის შექმნაში მონაწილე ყველა პირს წიგნის გამოცემას და შემდგომ წარმატებებს ვუსურვებთ.

**„საერთო გაზეთი“**

# როგორ იკერებოდა სისხლის სამართლის საქმე და რა გზით აპირებდა სააკაშვილის რეჟიმი ირაკლი ღარიბაშვილის დაპატიმრებას?!

## გთავაზობთ ლადო ბედუკაძესთან ინტერვიუს ფრაგმენტს, რომელიც 2013 წელს „საერთო გაზეთში" დაიბეჭდა



**ლადო ბედუკაძე:** 2012 წლის სექტემბრის დასაწყისში ევროპარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის დელეგაცია საქართველოს ეწვია.

სავარაუდოდ, სტრასბურგელმა სტუმრებმა შს მინისტრს ახალაიას განუცხადეს, რომ მათთვის ცნობილი იყო საქართველოს პენიტენციარულ სისტემაში არსებული შემაშფოთებელი მდგომარეობის, ვიდეო-მტკიცებულებების და ბედუკაძის შესახებ და შესაძლოა, გააფრთხილეს კიდეც, რადგან წინასაარჩევნოდ ამის გაჟღერება მართლაც დიდი დარტყმა იქნებოდა მმართველი რეჟიმისათვის.

რამდენადაც ვიცი, ცნობის მიღებისთანავე, თავის მხრივ, ახალაიამ საქმის კურსში ჩააყენა მთავარი პროკურორი ზურაბ ადეიშვილი.

საპასუხოდ, შსს-ს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის და მთავარი პროკურატურის მიერ ერთობლივად დაიგეგმა კონტრნაბიჯების გადადგმა.



შემუშავდა სცენარი, რომლის არსიც შემდეგი იყო:

სასჯელაღსრულების ყოფილი თანამშრომელი ბედუკაძე კავშირშია პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების" „ჯერჯერობით", უცნობ წარმომადგენელთან, რომლისგანაც მიღებული აქვს დიდი ოდენობით ფულადი თანხა, რის სანაცვლოდაც ბედუკაძე მე-8 საპყრობილის თანამშრომელთან ბორის ფარულავასთან ერთად სცემდა და სასტიკად აწამებდა საპყრობილეში პატიმრებს. დანაშაულებრივი ფაქტის საილუსტრაციოდ, კადრებს იღებდა როგორც ღიად, ასევე ფარულად. კოალიციის წევრების მიზანი საპარლამენტო არჩევნების წინ პატიმრების წამების ამსახველი კადრების საჯაროდ გავრცელების მიზნით ხელისუფლებისათვის ზიანის მიყენებაა.

„კოალიციის ჯერჯერობით უცნობი წარმომადგენელი", არც მეტი, არც ნაკლები, დღევანდელი პრემიერ-მინისტრი, მაშინ კი „ქართული ოცნების" ერთ-ერთი ლიდერი, ბიძინა ივანიშვილის ერთგული და დასაყრდენი ირაკლი ღარიბაშვილი გახლდათ.

2012 წლის 18 სექტემბერს N8 საპყრობილეშივე დააპატიმრეს ჩემი თანამებრძოლი, უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომელი ბორის ფარულავა, რომელიც, მოდულის შენობაში, სასურველი ჩვენების მისაღებად, სასტიკად სცემეს, აწამეს, დააძრეს ფეხის ფრჩხილები, რათა მიეცა ჩვენება ჩემი, თამაზ თამაზაშვილის და ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ.

2012 წლის 19 სექტემბერს დაკითხვაზე დაიბარეს ბიზნესმენი თამაზ ელიზბარაშვილიც, რომელიც ასევე დაჰკითხეს ჩემთან ყველა სახის კონტაქტების შესახებ. იმ ხანებში, ფაქტობრივად, ბეწვზე ეკიდა ელიზბარაშვილის თავისუფლების საკითხიც.

ამასობაში 2012 წლის 19 სექტემბერს საქართველო-სომხეთის საბაჟო გამშვებ პუნქტზე აკავებენ მერვე საპყრობილის რეჟიმის განყოფილების კონტროლიორს დათა აკობიას. ადამიანს, რომელმაც, ფაქტობრივად, გადაიღო ე.წ. „კარანტინის დაშლის" კადრები.

2012 წლის 19 სექტემბერს მოწმე დავით აკობია განმარტავს: „...გადაღების სანაცვლოდ ლადო ბედუკაძე მე დამპირდა ბელგიაში ჩაყვანას და შემდგომ იქ დახმარებას, როგორც მუშაობის დაწყებაში, ასევე სწავლის გაგრძელებაში. ასევე შემპირდა ბელგიაში ჩასასვლელ გზის ფულს, 400 აშშ დოლარს, რასაც მე გადმომცემდა ბორის ფარულავა.

შემოთავაზებულ წინადადებაზე მე ლადო ბედუკაძეს დავთანხმდი და აღვუთქვი დახმარება ჩანაწერის გაკეთებაში. რის შემდგომაც მე და ბორის ფარულავამ მოვილაპარაკეთ, რომ ფარული ჩანაწერი მე უნდა გამეკეთებინა 2012 წლის 24 აგვისტოს. კერძოდ, წინასწარ ამიხსნა, რომ იგი თავად შეიტანდა მე-8 დაწესებულებაში ჩამწერ აპარატურას, რაც იქნებოდა პატარა ზომის შარვალზე გასაკეთებელი ღილი, რომლის მეშვეობითაც მე უნდა ჩამეწერა ყოველივე. მართლაც, 2012 წლის 24 აგვისტოს დაახლოებით 16–17 საათისთვის ბორის ფარულავამ დაწესებულებაში გადმომცა ჩამწერი საშუალება, მე შევედი საპირფარეშოში და მივიმაგრე შარვლის ღილის ადგილას, ისე, რომ ქამარს არ შეეშალა ხელი გადაღებაში, ამის შემდგომ 18 საათისთვის, როგორც წესი, იწყება კარანტინიდან პატიმართა კორპუსებზე გადანაწილება, მე ხსენებული დროისათვის შევედი კვლავ საპირფარეშოში და ჩავრთე ჩამწერი მოწყობილობა".

სააკაშვილის ხელისუფლებამ დათა აკობიას აღიარებითი ჩვენება მიაცემინა და სასწრაფოდ გაავრცელა ტელევიზიით.

აკობიას მიმართ სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა, რადგან აკობია იყო ერთ-ერთი ცრუ მოწმე ღარიბაშვილის, ანუ „ქართული ოცნების" წინააღმდეგ, თითქოსდა ოცნების ტყუილის გამოსააშკარავებლად და იმის დასამტკიცებლად, **ვითომ ყველაფერი დადგმული და მოგონილი იყო და სინამდვილეში ციხეებში მსგავსი რამ არასდროს მომხდარა.**

ცრუ მოწმეთა ე.წ. ჩვენებები გახლდათ, ფაქტობრივად, იმ მზაკვრული გეგმის ერთი რგოლი, რომლითაც, კვლავ ბნელი მაქინაციის საშუალებით, აპირებდა „ნაცმოძრაობა" და მისი ლიდერები იმ ძალადობისა და სისასტიკის მიჩქმალვას, რაც ქართულ ციხეებში სინამდვილეში ხდებოდა, რათა ნაციონალებს კვლავ მოეწყოთ ქართველი ხალხის ნელი გენოციდი ციხე-საპატიმროებში და სასჯელაღსრულების სხვა დაწესებულებებში.

იმავე დღეს, 2012 წლის 18 სექტემბერს აკობიამ დაწერა განცხადება მთავარი პროკურორის მურთაზ ზოდელავას სახელზე, რადგანაც „მან ითანამშრომლა გამოძიებასთან" და მოითხოვა მის მიმართ მოწმის დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება.

მოწმე აკობიას, მოწმე მაჭარაშვილის მსგავსად, მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტის პროკურორის არჩილ ტყეშელაშვილის და მთავარი პროკურორის პირველი მოადგილის დავით ჩხატარაშვილის დადგენილებით, 2012 წლის 19 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე უსრულებენ თხოვნას და სვამენ მოწმის დაცვის პროგრამაში ერთი თვით და გადაჰყავთ კონსპირაციულ ბინაში საცხოვრებლად.

სააკაშვილისთვის თვალის ახვევის მიზნით, თითქოსდა რეჟიმი წინასწარ ფლობდა ინფორმაციას აღნიშნული გეგმის შესახებ, წინა რიცხვით 2012 წლის 25 აგვისტოს ე.წ. „ციხის კადრების" საქმესთან დაკავშირებით იწყება სისხლის სამართლის საქმის გამოძიება — ორგანიზებული ჯგუფის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ქრთამის აღების ფაქტზე ჩადენილი დიდი ოდენობით, ჯგუფურად და შეკვეთით, ასევე ორი ან მეტი პირის მიმართ ჯგუფურად და შეკვეთით დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე.

2012 წლის 18 სექტემბერს სს საქმეზე № 074250812801 შსს კუდის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს გამომძიებელი ბაჩუკი ლაგვილავა, კვლავ ადვოკატის გარეშე, მოწმის სახით ჰკითხავს მოქალაქე ნუგზარ მაჭარაშვილს.

მე ხელთ მაქვს მაჭარაშვილის ჩვენებაც, სადაც იგი ამბობს: „...ვლადიმერ ბედუკაძემ ასევე მითხრა, რომ ევროპაში მისთვის უკვე მოგვარებული იყო საცხოვრებელი ფართის პრობლემა და წინასწარ აღებული ჰქონდა კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერებისგან 150 000 აშშ დოლარი, კონკრეტულად თუ ვინ მისცა მას აღნიშნული თანხა, ჩემთან საუბრისას არ დაუკონკრეტებია".

ჩემთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი, რომ მაჭარაშვილი 2012 წლის 24 სექტემბერს, აკობიას მსგავსად, მოწმის დაცვის სპეციალურ პროგრამაში ჩაუსვამთ და დაჰპირებიან, ბიზნესს გაგიძლიერებთო.

2012 წლის 18 სექტემბერსვე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის პირველი მთავარი სამმართველოს II სამმართველოს უფროსის მოადგილე-გამომძიებელმა თეიმურაზ ბიჭოშვილმა ადვოკატის გარეშე მოწმის სახით დაკითხა სასჯელაღსრულების N8 დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების უფროსი ლევან ფურცხვანიძე.

მოწმე ფურცხვანიძე თავის ჩვენებაში ბიზნესმენ მაჭარაშვილზე შორს წავიდა და „დაადასტურა": „...ბედუკაძემ ჯერ კიდევ მე-8 საპყრობილეში მუშაობისას გამანდო, რომ ურთიერთობა ჰქონდა იმჟამად პატიმრობაში მყოფ კახეთის შსს მთავარი სამმართველოს ყოფილ უფროსთან, გენერალ თამაზ თამაზაშვილთან.

იმ პერიოდში, როცა ვლადიმერ ბედუკაძე ჯერ კიდევ №8 საპყრობილეში მუშაობდა, სამსახურში ერთ-ერთი შეხვედრისას მან გამანდო, რომ მან ახლო ურთიერთობა დაამყარა იმჟამად პატიმრობაში მყოფ, კახეთის შსს მთავარი სამმართველოს ყოფილ უფროსთან, გენერალ თამაზ თამაზაშვილთან. ამ პიროვნების სიძე ირაკლი ღარიბაშვილი არის პოლიტიკური მოძრაობა „ქართულ ოცნებაში" ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირი და მილიარდერ ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებული პირი. თამაზ თამაზაშვილისთვის ვლადიმერ ბედუკაძეს უთქვამს, რომ მას ჰქონდა საპყრობილეში პატიმართა წამების ამსახველი ვიდეო-კადრები. თავის მხრივ კი ამ პატიმარს ვლადიმერ ბედუკაძე დაუკავშირებია ირაკლი ღარიბაშვილთან. ვლადიმერ ბედუკაძესა და ირაკლი ღარიბაშვილს ერთმანეთთან მოულაპარაკიათ, რომ დიდი ოდენობით ფულის გადახდის სანაცვლოდ, წამების ამსახველ ვიდეო-კადრებს ირაკლი ღარიბაშვილის საშუალებით ლადო ბედუკაძე გადასცემდა დაინტერესებულ პირებს, რათა ისინი გაევრცელებინათ საჯაროდ. ამ სკანდალური მასალის გამოქვეყნებით კი სერიოზულ ზიანს მიაყენებდნენ არსებული ხელისუფლების პრესტიჟს. ამავე საუბარში ვლადიმერ ბედუკაძემ შემომთავაზა, რომ მეც მომეხდინა პატიმრების წამების კადრების გადაღება, რომელშიც სერიოზულ თანხას გადაიხდიდა ირაკლი ღარიბაშვილი და ეს ფული მისი (ე.ი. ვლადიმერ ბედუკაძის) საშუალებით გადმომეცემოდა. ვინაიდან მატერიალურად მიჭირდა, ამიტომ გადავწყვიტე შემექმნა ასეთი კადრები.

...იქვე ამიხსნა, რომ სულ მალე დაიწყებოდა მის მიერ მოპოვებული სკანდალური კადრების გამოქვეყნება ტელევიზიით, რომელიც მას უკვე გადაცემული ჰქონდა ირაკლი ღარიბაშვილისთვის".

ფურცხვანიძის ჩვენების თანახმად, თურმე, „ირაკლი ღარიბაშვილს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სხვა თანამშრომლებიც ჰყოლია კავშირზე", მაგრამ მათ ვინაობას და გადაბირების ხერხებს თურმე არ ვუმხელდი.

ყოველივე აქედან, ფაქტობრივად, ჩანს, რომ არსებობდა საკმარისი უტყუარი მტკიცებულებათა ერთობლიობა 2012 წლის 1 ოქტომბრამდე აღეძრათ საქმე უშუალოდ ირაკლი ღარიბაშვილის მიმართ.

ყველაფერ ამას ჩემი „აღიარებითი ჩვენებაც" თუ დაერთვებოდა, საქმე ასმაგად გაადვილდებოდა. ამით კი ახლოვდებოდა, ნაციონალების აზრით, მათი მთავარი ჩანაფიქრის, ირაკლი ღარიბაშვილის, „ქართული ოცნების" ერთ-ერთი ლიდერის დაპატიმრების სიამოვნების განცდა, რაც შემდეგ განვითარებულმა სპონტანურმა და, შეიძლება ითქვას, ყველასგან გაუთვლელმა მოვლენებმა შეაფერხა და აუხდენელ ჩანაფიქრად დაუტოვა კრიმინალურ-ნაციონალურ ხროვას".

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ავღანეთი – უკან, შუა საუკუნეებისკენ!



მხოლოდ ერთი თვე გავიდა, რაც ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს კოალიციურმა ჯარებმა მოულოდნელად დატოვეს ავღანეთის ტერიტორია. მართალია, ჯარების გაყვანა ჯერ კიდევ ადრიან გაზაფხულზე დააანონსა პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა, მაგრამ პროცედურა ეტაპობრივად, 11 სექტემბრამდე უნდა დასრულებულიყო. ამის ნაცვლად აშშ-ნატოს ჯარებმა უცებ და თანაც მოულოდნელად დატოვეს ავღანეთი. ამის შემდეგ ერთი შეხედვით, დიდი დრო არ გასულა, მაგრამ თალიბანი, რომელიც დამარცხებულად ითვლებოდა, თურმე ადრინდელზე მნიშვნელოვნად გაძლიერებულა.

აზიის რეგიონის საკითხებზე მომუშავე პოლიტოლოგებისთვის მოულოდნელი არ აღმოჩნდა მსოფლიოში ტერორისტული და აკრძალული ორგანიზაციის გაძლიერება. ჯერ კიდევ კოალიციური ჯარების ავღანეთში ყოფნის პერიოდში, თუნდაც ათი წლის წინათ, არაერთხელ გაუფრთხილებიათ სამყაროს წამყვანი ქვეყნები, რომ თალიბანი მხოლოდ დროებით იყო გაყუჩებული და გააქტიურებისთვის ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდა. იმ პერიოდში თავად თალიბანის მებრძოლები მოსვენებას არ აძლევდნენ კოალიციურ ჯარებს — დროდადრო ახორციელებდნენ ტერორისტულ აქტებს და ცალკეულ ობიექტებზე შეტევებს. ტერორისტული ორგანიზაციის გაძლიერებას ხელი შეუწყო აგრეთვე სირიიდან ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს მებრძოლების“ ავღანეთში გადასვლამ. ამაზეც ბევრს საუბრობდნენ სამხედრო ესპერტები, მაგრამ არც მათი გაფრთხილებისთვის მიუქცევია ვინმეს ყურადღება.




აქსიომაა — ნებისმიერ ორგანიზაციას, მით უფრო, შეიარაღებულ დაჯგუფებას, ფინანსები სჭირდება. ავღანეთი, მოგეხსენებათ, ღარიბი აგრარული ქვეყნების ჩამონათვალშია, არც ბუნებრივი რესურსები გააჩნია. სამაგიეროდ, აქვთ ყაყაჩოს პლანტაციები, რომლისგანაც ნარკოტიკულ ნივთიერებებს — ჰეროინსა და ოპიუმს ამზადებენ. იქ არსებულ „ოქროს“ და სხვა „სამკუთხედ-ოთხკუთხედ“ ორგანიზაციებზე საუბარი ახლა ზედმეტია. ექსპერტების გამოანგარიშებით, ბოლო 10–15 წლის განმავლობაში ავღანეთში ნარკოტიკების წარმოება სულ მცირე შვიდჯერ (!) გაიზარდა. სირიაში „იგილის“ მებრძოლები ნავთობის, ხოლო თალიბანი ნარკოტიკების არალეგალური ექსპორტით შოულობენ ფულს. თუმცა სირიელი ტერორისტები სხვადასხვა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისგანაც იღებდნენ დახმარებას, განსხვავებით თალიბანისგან. მთავარი ფულია, საბრძოლო იარაღის შეძენა, ნარკოტიკების მსგავსად, იოლად არის შესაძლებელი „შავ ბაზარზე“. ამიტომაც არის ბრძოლისუნარიანი ტერორისტული დაჯგუფებები.

თალიბანი ავღანეთში საკმაოდ გააქტიურდა. ორგანიზაცია ქვეყანას შუა საუკუნეებისკენ მიაქანებს. ტერორისტები განსაკუთრებული სისასტიკით ეპყრობიან მოსახლეობას. პირდაპირ ქუჩაში, სახალხოდ უსწორდებიან მათ მიერ დაწესებული წესების დამრღვევებს. თალიბებისთვის მიუღებელი ხუმრობებისთვის სიკვდილით დასაჯეს იუმორისტი მსახიობი. სპეცდანიშნულების რაზმის წევრები, რომლებმაც იარაღი დაყარეს და თალიბებს ტყვედ ჩაბარდნენ, დახვრიტეს. ისინი, ვინც კოალიციურ ჯარებთან თანამშრომლობდა, უკვე 500-ზე მეტი სხვადასხვა სფეროს სპეციალისტია სიკვდილით დასჯილი. ერთ-ერთ თარჯიმანს, რომელიც 15 წელი მუშაობდა კოალიციურ ჯარებთან, ოთხჯერ არ მისცეს აშშ-ში შესასვლელი ვიზა. „...თუ თალიბებს ჩავუვარდები ხელში, ოჯახთან ერთად დამხვრეტენ“, — ამბობს შეშინებული მამაკაცი. ყოფილი ავღანელი თანამშრომლების მიტოვებით უკმაყოფილო არიან იქ ნაბრძოლი სამხედროები. ავსტრალიელმა ოფიცერმა, მაიორმა სტიუარტ მაკარტნიმ, რომელიც რამდენიმე წელი იბრძოდა ავღანეთში კოალიციური ჯარების შემადგენლობაში, იქ მიღებული მედალი „ავღანეთში ბრძოლებისთვის“, პროტესტის ნიშნად სახალხოდ დაწვა.



ადამიანების სიცოცხლის გარდა თალიბები ტექნიკასაც ებრძვიან. მათთვის მიუღებელია თანამედროვე მიღწევები, ამიტომაც აფეთქებენ მობილური კავშირების ანძებს, ამტვრევენ და ანადგურებენ ტექნიკას... სამოქალაქო ომი ავღანეთში ხელისუფლებასა და თალიბებს შორის ყოველდღიურად მძაფრდება. გასულ კვირას თალიბანის მებრძოლებმა სრული კონტროლი დაამყარეს პაკისტანის გამსვლელ პუნქტებზე. ახლა ისინი ახდევინებენ გამვლელ-გამომვლელ სატვირთო ავტომობილების მძღოლებს საბაჟო მოსაკრებელს.

გათამამებული თალიბები არანაირ კანონებს აღარ ემორჩილებიან, არაფრად აგდებენ სასულიერო კანონებსაც. ქაბულში მეჩეთზე შეტევის შემდეგ პოლიციელები და სამხედროები ლოცვის დროსაც იარაღით ხელში არიან. მსგავსი განუკითხაობითა და სისასტიკით უკმაყოფილონი არიან ის შეიარაღებული ჯგუფებიც, რომლებიც დღემდე ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ახლა უკვე მზად არიან, გამართონ მოლაპარაკება მთავრობასთან. იმდენად გამრავალფეროვნდა ავღანეთში ტერორისტების შემადგენლობა, ადვილი შესაძლებელია, ერთმანეთთანაც მოუწიოთ შეიარაღებული ბრძოლა. თუმცა ძნელია მომავლის პროგნოზირება, მით უფრო, ისეთ ქვეყანაში, როგორიც ახლა ავღანეთია.

გასულ კვირას თალიბებმა ქაბულში სარაკეტო თავდასხმა განახორციელეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაზე. დაიღუპა დაცვის თანამშრომელი. მსგავსი თავხედობა — პირდაპირ, აშკარად, შეეტიათ გაეროს ოფისისთვის, მსოფლიოში ჯერ არ ყოფილა. ასეთივე სარაკეტო შეტევა მიიტანეს ყანდაღარის აეროპორტზე, რის შედეგადაც დროებით შეწყდა საერთაშორისო რეისები. ასევე დაბომბეს ყანდაგარის საავადმყოფო, სადაც დაიჭრენ და დაიღუპენ მედიცინის მუშაკები. თალიბები დიდი საკვანძო ქალაქების დასაკავებლად იბრძვიან, რათა კიდევ უფრო გააფართოვონ თავიანთი გავლენის არეალი. ავღანეთიდან მწირი ინფორმაცია ვრცელდება. მხოლოდ ერთეული გამოცემების ჟურნალისტები აშუქებენ იქაურ მოვლენებს, ისინიც ქაბულში არიან თავმოყრილები. უსაფრთხოებიდან გამომდინარე, პერიფერიებში გასვლას არ რისკავენ, თალიბების ხელში ნებისმიერ ჟურნალისტს სიკვდილით დასჯა ემუქრება. სხვადასხვა მონაცემებით, თალიბები ახლა ქვეყნის ტერიტორიის 50–85%-ს აკონტროლებენ. ვიმეორებთ, დაზუსტებული მონაცემები არავის გააჩნია.

„...ჯერ მხოლოდ კოცონი დაანთეს თალიბებმა ავღანეთში, რომელიც შეიძლება დიდ ხანძარში გადაიზარდოს და მთლიანად მოიცვას აზიის რეგიონი“, — აცხადებენ პოლიტოლოგები. მიუხედავად ასეთი შემაშფოთებელი პროგნოზისა, მსოფლიოს ქვეყნების მეთაურები ავღანეთში არსებულ ვითარებას შორიდან გულგრილად უყურებენ. ინდოეთში ვიზიტად მყოფმა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა შეშფოთება გამოთქვა ავღანეთში არსებული მძიმე ვითარების გამო. მისი განცხადებით, თურმე ქვეყანაში საკუთარ მოსახლეობას შეიარაღებული ფორმირებები მხეცურად, სასტიკად ექცევიან, ირღვევა ადამიანის ყველა უფლება. ამის გამო ავღანეთი გარიყულ ქვეყნად იქცა. გამოსავალს სახელმწიფო მდივანი მხოლოდ მოლაპარაკებებში ხედავს. ვისთან და რა თემაზე, ამის შესახებ არაფერი უთქვამს. შეგახსენებთ, ავღანეთის ოფიციალურ ხელისუფლებასთან და თალიბებთანაც, მოლაპარაკებას აშშ-ის წინა და ახლანდელი ადმინისტრაციაც აწარმოებდა, მაგრამ...

შანხაის ორგანიზაციის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების სამიტის შემდეგ, დუშანბეში გასულ კვირას, თავდაცვის მინისტრების შეხვედრა გაიმართა. ტაჯიკეთის დედაქალაქში რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი შოიგუმ დაადასტურა, რომ გააძლიერებენ ტაჯიკეთში განთავსებულ მათ სამხედრო ბაზას და საჭიროების შემთხვევაში, ყველანაირად დაეხმარებიან მასპინძლებს. უკვე დაიწყო რუსეთის, უზბეკეთისა და ტაჯიკეთის ერთობლივი სამხედრო წვრთნები, რომელიც ავღანეთის საზღვრიდან 20 კმ-ის მოშორებით იმართება. როგორც დუშანბეში განაცხადეს, ყველაზე ცუდი სცენარის მოლოდინში არიან. ტაჯიკეთის ხელისუფლებას, თალიბანის მებრძოლებზე მეტად, ქვეყანაში მრავალრიცხოვანი დევნილების შესვლა აშფოთებს. შიშობენ, დევნილების საფარით შეიძლება ტერორისტებიც შევიდნენ იარაღით, ნარკოტიკებითა და თავიანთი იდეოლოგიით... დუშანბეში სერგეი შოიგუმ მისთვის უჩვეულო მკვეთრი განცხადება გააკეთა: „..ავღანეთიდან ამერიკელების ნაუცბათევი გასვლა ცუდი მომთვინიერებლის საქციელს ჰგავს, რომელმაც ვერ შეძლო მტაცებელი მხეცების გაწვრთნა, გალიიდან გაიქცა და შორიდან უყურებს მათ საქციელს“.




გაურკვეველი სიტუაცია შეიქმნა ახლო აღმოსავლეთშიც. გასულ კვირას ცნობილი გახდა, რომ აშშ ერაყში ამთავრებს სამხედრო მისიას. ინფორმაცია დაადასტურა პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა. ერაყში სამხედრო მისია ჯერ კიდევ ჯორჯ ბუშმა (უმცროსმა) გამოაცხადა დასრულებულად, მაგრამ მას შემდეგ ბრძოლები კვლავაც გაგრძელდა. ავღანეთისგან განსხვავებით, ერაყიდან აშშ ჯარებს არ გაიყვანს, ქვეყანაში დარჩებიან, როგორც ინსტრუქტორები და სამხედრო მრჩევლები. შეასრულებენ მხოლოდ მცირე, ლოკალურ ოპერაციებს. პოლიტოლოგების განცხადებით, აშშ-ის ადმინისტრაციის ერთ-ერთი მიზანია, შეამციროს ირანის გავლენა ერაყზე.

სამხედრო მისია აშშ-ს ერაყში ოფიციალურად ჯერ დასრულებულად არ გამოუცხადებია და უკვე გააქტიურდნენ იქაური სხვადასხვა არაფორმალური შეიარაღებული დაჯგუფებები. გასულ კვირას ერაყის პოლიციამ სამთავრობო ჯარებთან ერთად აღმოაჩინეს და ამოიღეს 18 რაკეტა. როგორც შემდეგ გაირკვა, მზადდებოდა დედაქალაქ ბაღდადზე შეტევა. აშშ-ის მოწინააღმდეგე შეიარაღებული დაჯგუფებები აცხადებენ, რომ მანამდე იბრძოლებენ, ვიდრე ამერიკული ჯარები სრულიად არ დატოვებენ ქვეყნის ტერიტორიას. დაველოდოთ, როგორ განვითარდება მოვლენები ახლო აღმოსავლეთში სამხედრო მისიის დასრულების შემდეგ.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# ტროას ცხენიდან ინტერნეტამდე

## ანუ როგორ მოვიგოთ ომი ომის გარეშე?






მწერალი, პროფესორი, მშვიდობის საერთაშორისო პრემიის და ასევე საფრანგეთის აკადემიის რომანის დიდი პრემიის მფლობელი, დაზვერვის ოფიცერი ვლადიმერ ვოლკოვი პარიზში, რუსი ემიგრანტების ოჯახში დაიბადა. მსახურობდა საფრანგეთის კონტრდაზვერვაში არის ორმოცდაათზე მეტი წიგნის ავტორი. ამავე დროს იკვლევდა ინფორმაციის სფეროში მანიპულაციის თემას...

ჯარში სამსახურისას მან ერთხელ მოისმინა მოხსენება ფსიქოლოგიური ომის შესახებ. მისი ამხანაგები მასხრად იგდებდნენ ასეთ საქმიანობას, ვოლკოვი კი მაშინვე დაინტერესდა ამ საკითხებით. მისი ოჯახური მემკვიდრეობა მას უფრო ყურადღებიანს ხდიდა



კომუნიზმის და საბჭოელების მიერ გამოყენებული მანიპულაციების ტექნიკათა მიმართ. კვლევისას ვოლკოვმა აღმოაჩინა მუჩილის წიგნი „ძირგამომთხრელი საქმიანობა“, სადაც ძირგამომთხრელი ომი მოკლედ გადმოცემულია სამი პუნქტით: 1. მოწინააღმდეგე ერის დემორალიზაცია და მისი შემადგენელი ჯგუფების დეზინტეგრაცია. 2. ხელისუფლების, მის დამცველთა, მის ფუნქციონერთა, მის წარჩინებულთა დისკრედიტაცია. 3. მასების ნეიტრალიზაცია რათა ისინი არ გამოვიდნენ არსებული წყობის დასაცავად იმ დროს როდესაც პატარა უმცირესობამ გადაწყვიტა ძალაუფლების აღება ძალადობის გარეშე.

ვლადიმირ ვოლკოვმა გამოაქვეყნა ნაშრომი „დეზინფორმაციის მოკლე ისტორია ტროას ცხენიდან ინტერნეტამდე“, სადაც დაწვრილებით აღწერა მანიპულირებული საზოგადოებრივი აზრი. რომანში „მონტაჟი“ ვოლკოვი მიუთითებს სუნ ძუზე და ძველი ჩინეთის ამ სტრატეგოსის მიზანზე – ომის მოგება ომის გარეშე. ციტატები: „ომში საუკეთესო პოლიტიკაა სახელმწიფოს ხელუხლებლად დაპყრობა, მისი მოსპობა არის ცუდი საქმე და მეტი არაფერი“. „ომის ხელოვნების მცოდნენი მტრის ჯარს იმორჩილებენ ბრძოლის გარეშე. ისინი იღებენ ქალაქებს შეტევის გარეშე და სახელმწიფოს ამხობენ ხანგრძლივი ოპერაციების გარეშე“. „ომის მთელი ხელოვნება ეფუძნება მოტყუებას, გაბრიყვებას“.

სუნ ძუ და მის კვალზე ვოლკოვი აყალიბებენ შემდეგ რჩევებს: 1. სახელი გაუტეხეთ ყველაფერს რაც კი კარგია მტრის ქვეყანაში. 2. მოწინააღმდეგე ქვეყნის ხელმძღვანელი ფენების წარმომადგენლები ჩაითრიეთ უკანონო საქმიანობაში, შეარყიეთ მათი რეპუტაცია და შეაზიზღეთ ისინი მათ თანამოქალაქეებს. 3. მოწინააღმდეგე ქვეყნის მოქალაქეებს შორის გაავრცელებთ უთანხმოებები და დაპირისპირებები. 4. აამხედრეთ ახალგაზრდები ასაკოვანთა წინააღმდეგ. მასხრად აიგდეთ თქვენი მოწინააღმდეგეების ტრადიციები (ვოლკოვი უმატებს: გააჩაღეთ ომი სქესებს შორის). 5. მოწინააღმდეგეში წაახალისეთ ჰედონიზმი და ყველაფრის მოყირჭება, ყველაფრით გადაქანცულობა. ვოლკოვის შენიშვნით ძირგამომთხრელი საქმიანობა ვერ გააჩენს არაფრიდან ამ ტიპის სისუსტეებს. საჭიროა მოწინააღმდეგეში სისუსტის ყველა ფორმის მონახვა და ყველა ძლიერი ხალხი, სამაგიეროდ, თავს არიდებს ამ არაპირდაპირ სტრატეგიას, არ ხდება ესოდენ იოლად ამ ხრიკების მსხვერპლი.

იმაზე რაც არაა დეზინფორმაცია. იმის ახსნამდე თუ რა არაა ინფორმაცია უნდა კარგად განსაზღვროთ თუ რაა ინფორმაცია „ინფორმაციის საზოგადოების“ ხანაში. სამხედრო ინფორმაციას განასხვავებს ცნობისგან. ინფორმაცია არის ის რაც შეკრებილია დაუმუშავებლად. ცნობად ის გადაიქცევა წყაროს სანდოობის მისი ფილოსოფიური, პოლიტიკური და რელიგიური ორიენტაციების, ინფორმაციის სანდოობის შემოწმების და დადგენის შემდეგ. ყოველ ინფორმაციას თუ ცნობას ყავს თავისი გამცემი და მიმღები. უნდა გაირკვევს თუ რატომ გასცემს გამცემი ინფორმაციას თუ ცნობას. რატომ გადასცემს გამცემი ინფორმაციას მაინც და მაინც ამ მიმღებს და რატომ იღებს ან ისმენს ამ ინფორმაციას თუ ცნობას მიმღები. ყველა ადამიანს აქვს თავისი სუბიექტურობა და ამასაც უნდა გაეწიოს ანგარიში. დეზინფორმაცია ომის იარაღია, ბაზისური ტექსტები წარმოდგენილია ვლადიმირ ვოლკოვის მიერ ამას მივყევართ დასკვნამდე რომ ობიექტურობა ამ სფეროში არ არსებობს.

ისინი ვინც ამბობენ რომ იძლევიან ობიექტურ ინფორმაციას ან იდიოტები არიან ან მატყუარები. 1. დეზინფორმაცია არაა პროპაგანდა, როდესაც ეწევიან პროპაგანდას, ვიცით, რომ ეს პროპაგანდაა. ცნობილია თუ ვინ და ვისთვის ეწევა პროპაგანდას. მისი მიზანია დარწმუნება ისე თითქოს მიმართავს გონებას, მაგრამ სინამდვილეში მიმართავს ემოციებს. 2. დეზინფორმაცია არაა რეკლამა. რეკლამის მიზანია რაღაცის გაყიდვა და არა ვიღაცის მოტყუება. ის მიმართავს ადამიანის გაუცნობიერებელ მისწრაფებებს და არაცნობიერს. რეკლამას უნდა ადამიანის მოხიბლვა. 3. დეზინფორმაცია არაა ინტოქსიკაცია რომელიც მიზნად ისახავს მხოლოდ ლიდერების თუ ბელადების მოტყუებას და მათთვის ცუდი, მათი დამღუპველი გადაწყვეტილების შთაგონებას..

რა არის დეზინფორმაცია? ის დამოკიდებულია სამ პარამეტრზე: 1. დეზინფორმაცია ცდილობს საზოგადოებრივი აზრის მოტყუებას და შეცდომაში შეყვანას, სხვა შემთხვევაში ის ინტოქსიკაცია იქნებოდა. 2. ის იყენებს უწესო საშუალებებს, სხვა შემთხვევაში ის იქნებოდა პროპაგანდა. 3. მისი მიზნები პოლიტიკურია, სხვა შემთხვევაში ის იქნებოდა რეკლამა. მაშ დეზინფორმაცია არის საზოგადოებრივი აზრის მოტყუება პოლიტიკური მიზნით და უწესოდ დამუშავებული ინფორმაციით.

როგორ ხდება დეზინფორმირება? მეთოდის დონეზე ის გავს რეკლამას. ა) უნდა განისაზღვროს ის ვისთვისაცაა გამიზნული ოპერაცია, ანუ მოსატყუებელი სუბიექტი. ბ) უნდა იყოს მომტყუებელი, კგბ თუ სხვა ასეთის აგენტი. გ)საჭიროა ბაზრის შესწავლა. რა ცნობით და როგორ უნდა მოვატყუოთ ის ვისი მოტყუებაც გვსურს. დ) უნდა განისაზღვროს დეზინფორმაციის გავრცელების საშუალებები (ტელევიზია, პრესა, პეტიცია, ინტერნეტი, ინტელექტუალი, და ასე შემდეგ). ე) უნდა განისაზღვროს დეზინფორმაციის ამტაცებელ გამავრცელებლები (სასარგებლო იდიოტები თუ დაქირავებული აგენტები ტელევიზიაში, ბეჭდურ პრესაში, არტისტები, მსახიობები, მწერლები და ასე შემდეგ) ვ) უნდა განისაზღვროს რეზონატორები. ყალბი ინფორმაციით აღელვებული ხალხი რომლებიც გულწრფელად და დაუფიქრებლად ავრცელებენ მას იდეოლოგიურად თუ სხვაგვარად. ზ) უნდა განისაზღვროს მოსატყუებელ-გასაბრიყვებელი სუბიექტი. შეიძლება გვინდოდეს მოწინააღმდეგე ქვეყნის მთელი მოსახლეობის, მოტყუება. შეიძლება გვინდოდეს ამ მოსახლეობის ნაწილის, მაგალითად მასწავლებელთა მოტყუება.

შეიძლება გვინდოდეს მესამე მხარის მოტყუება. ასე მაგალითდ 1950-ანი წლების ბოლოს ჩატარდა ოპერაცია „სვასტიკა“, რომლითაც მსოფლიოს ატყუებდნენ გერმანიაში ნაციზმის აღორძინების შესახებ. ვლადიმირ ვოლკოვის მტკიცებით, დეზინფორმაციის ერთ-ერთი ფორმაა დიაბოლიზაცია რომლის მიზანიცაა მოწინააღმდეგის ან მის ბელადთა სახის მოსპობა-დამახინჯება, ყალბი დოკუმენტების, ფოტოების თუ სხვა კონტექსტში ჩასმული ფოტოების გავრცელება. ერთხელ ასე აჩვენეს დახოცილი სერბების ფოტოები და ისინი გაასაღეს დახოცილ კოსოვართა ფოტოებად.

ანტაგონისტებს ყოფენ კარგ და ცუდ ანტაგონისტებად. ასე ვთქვათ კარგი ანტაგონისტების მიერ ჩადენილ დანაშაულებს მალავენ და არ აკრიტიკებენ და ლანძღავენ ცუდ ანტაგონისტებს. დეზინფორმატორისთვის სასარგებლო მანიქეიზმია. როგორ ხდება დეზინფორმირება? ფაქტებს უარყოფენ ან ხმარობენ კითხვით თუ ეჭვის ფორმას როდესაც მათ ახსენებენ. რჩეული ფორმულებია: „ამბობენ რომ... მაგრამ ლაპარაკია სერბულ ან ნეონაცისტურ ან პალეოკომუნისტურ თუ... წყაროზე“. ასე დაუყოვნებლივ ახდენენ ნამდვილი ინფორმაციის დისკრედიტაციას და საეჭვოდ აცხადებენ მას. ცვლიან ფაქტებს. ერთმანეთს ოსტატურად ურევენ ტყუილს და მართალს. ცვლიან მოქმედების მოტივს, მაგალითად, აშშ-ს და ნატოს აგრესია სერბეთის წინააღმდეგ წარმოდგენილი იყო ჰუმანიტარულ მისიად და არა კლასიკურ სამხედრო ოპერაციად. ერაყში ომის მიზანი შეინიღბა საერთაშორისო სამართლის არგუმენტაციით. ცვლიან გარემოებებს ან არ ახსენებენ მათ. ამ ხერხს ხშირად იყენებენ იზრაელ-პალესტინის კონფლიქტზე ან ჩრდილოეთ ირლანდიაში სამოქალაქო ომზე ლაპარაკისას. ნამდვილ ინფორმაციას ახრჩობენ უმნიშვნელო ინფორმაციის ზღვაში. იყენებენ არაკატეგორიულ მინიშნებას, მაგ: „ჩვენი წყაროების თანახმად იქ უნდა მოეწყოთ სასაკლაოები...

ინფორმაციის დროს, ახალ ამბებში მოწინააღმდეგეს უთმობენ ძალიან ცოტა დროს. ზოგჯერ მოწინააღმდეგეებს უთმობენ თანაბარ დროს, მაგრამ მედიათა მოსაწონ მხარეს წარმოადგენენ მჭერმეტყველი პროფესორით და მედიათა მიერ დაგმობილ მხარეს ლოთი იდიოტი უსაქმურით... ამბობენ რომ ორივე მხარე ერთნაირადაა პასუხისმგებელი. პალესტინელები ისვრიან კენჭებს და ისრაელელები ავტომატებს და მედია ამბობს რომ კონფლიქტი გადაუჭრელია, რომ ორივე მხარეა ცუდი. კონფლიქტი კი ასე გრძელდება უფრო ძლიერის სასარგებლოდ. ამბობენ ფაქტის მხოლოდ ნახევარს. აი კოსოვოს კრიზისის მაგალითი: „სერბებმა გამოიყენეს გაზი“. მინიშნებაა იმაზე რომ სერბებმა გამოიყენეს საბბრძოლო ან სხვა მკვლელი გაზი. სინამდვილეში პოლიციამ მანიფესტაცია დაშალა ცრემლსადენი გაზით.

როგორ უნდა მოვიქცეთ დეზინფორმაციის პირისპირ? 1. პირველ რიგში საჭიროა მოკრძალება. არ უნდა გამარტივდეს რთული რეალობები. თავისუფალი, ავტონომიური ადამიანი ღრმად ისტორიულად, გენეალოგიურად, არქეოლოგიურად განიხილავს მსოფლიოს პოლიტიკურ რეალობებს. 2. ყველა შემთხვევაში საჭიროა უნდობლობა. საჭიროა მედიას მიერ გავრცელებული ინფორმაციების შემოწმება, არ უნდა ვენდოთ განმეორებებს და სისტემატურ მიმართვებს ემოციებისადმი. 3. ჩვენ თვითონ უნდა მოვნახოთ ინფორმაცია. უნდა გავეცნოთ ნაშრომებს ხალხებზე, რეგიონებზე, დიდ საინფორმაციო საშუალებებში აღწერილ ვითარებებზე. სერიოზული პირადი კულტურა ადამიანს აძლევს ჟურნალისტურ გაზვიადებათა და გამარტივებათა დაუყოვნებლივ აღმოჩენის საშუალებას. 4. უნდა ვიკითხოთ ღიად იდეოლოგიური ნაშრომები და პრესა რომლებიც აჩვენებენ მასობრივი ინფორმაციის დიდ საშუალებათა მიერ მიჩქმალულ სინამდვილეს. მაგრამ ისინიც უნდა ვიკითხოთ გონივრულად და ფრთხილად...



**მარიამ ჯანჯღავა**
511 17 73 72

## გიორგი სიჭინავა



# ლექსები

ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიორგი სიჭინავა აფხაზეთის შემოქმედებითი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელია.

ფართოა მისი მოღვაწეობის არეალი: პროზა, პოეზია, ჟურნალისტიკა... წლების განმავლობაში რედაქტორობდა აფხაზეთში გამომავალ ჟურნალ „რიწას“. 1992-93 წლებში გაზეთი „აღდგომის“ მთავარი რედაქტორი იყო. 1996 წელს დააფუძნა ჟურნალი „აია“, რომლის მთავარი რედაქტორია დღემდე.

ამ დღეებში გიორგი სიჭინავას 79 წელი შეუსრულდა.

ვულოცავთ ბატონ გიორგის დაბადების დღეს და დიდხანს სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ.

„საერთო გაზეთი“

### პროზაული ფიქრები ლექსად

არ ჩერდება მზე და მთვარე,
დედამიწაც მუდამ ბრუნავს,
რაც დრო-ჟამმა მომიტანა,
ისევ უკან დაიბრუნა.
ვინ ჩასწვდება ამ სამყაროს
სიღრმესა და სიდიადეს,
ჯერ სადა ვარ, კიდევ ბევრი
მოსახდელი ვალი მადევს.
ბოლოს ღმერთი ამაცილებს
ყველა ჭირს და განსაცდელსა,
ამ სულს ზეცას ჩავაბარებ,
მიწას — სულის ტანსაცმელსა.
ეჭვებს მაინც ვერ ვიცილებ,
სიმწრისაგან დამდის ოფლი
ვინ ვიქნები, რა ვიქნები,
როცა ორად გავიყოფი.
მოვიარე მთა და ბარი,
ვის არ ვკითხე,
ვის არ ვუხმე,
ამაოა ყველაფერი,
არვინ არის მოპასუხე.
ერთხანს ფიქრით, ოცნებებით
სულის სარეველა ვთოხნე,
ვერაფერს რომ მივაგენი,
გული ლექსით მოვიოხე.

### ის, რაც ჟამმა წამიშალა

განწირულია დასავიწყებლად
წარსული, ჟამით გადანისლული.
არ ვიცი, ვინ ვარ და სად ვიქნები
ან რა ხნისაა ეს ჩემი სული.
სხეულს დაუდგენს დრო-ჟამი თარიღს,
სულს ვერ შეიცნობს წლითა და რიცხვით,
სული არასდროს ყოფილა მკვდარი,
ამსოფლად მხოლოდ სამოსელს იცვლის.
არ მახსოვს, ადრე ვიღწოდი რარიგ
და რას მიმზადებს ბედი ამჯერად,
ან ეგ სოფელი, ბილწი და მდარე,
კვლავ რა ცოდვისთვის მერგო სასჯელად.
ზომ არ ვიდექი ჯვარმცმელთა ბრბოში,
ზომ არ ვიძახდი: ჯვარს აცვით იგი!
ბიბლიის ნაცვლად მე, ფუქემოშლილს,
ზომ არ მწამლავდნენ დემონის წიგნით.
ვინ შემახსენოს, რა გზები განვვლე,
რამდენჯერ მძლია ვნებამ და ნდომამ,
ჩემს სულში სავლე თუ იქცა პავლედ,
ან თუ ირწმუნა აღდგომა თომამ.
ასწლეულები გულგრილად დუმან,
დროს არ ჰყავს მტერი და არც მოკეთე,
იქნებ, ლაჩრულად ვიდექი ჩუმად,
როცა პაატას თავი მოკვეთეს.
ფიქრით, ოცნებით ველტვი წამიერს,
ვარ ამნაირი ზნის და ბუნების,
საღამოს რასაც მოვინანიებ,
დილით მსხვერპლი ვარ იმავ ცდუნების.
მაინც იმედით შევცქერი ზეცას,
ცა ლურჯია და დაუსაბამო,
რაღაც უცნაურს ველოდი დღესაც
და მერამდენედ დავშვრი ამაოდ.
სურვილებს უყვართ სულის წვალება,
ფორიაქი და ამაო გარჯა,
რა უნდა ნახოს კაცის თვალებმა,
ირგვლივ დაღლილი ფერების გარდა?!
ზოგჯერ თითქოსდა მაწუხებს არც რა,
ჭირისგან ლხენით ვსწავლობ განდგომას,
ზამთარში ვერ ვგრძნობ ბუნების ჯვარცმას
და გაზაფხულზე — მკვდრეთით აღდგომას.
ახალი დღენი როცა ვინატრე,
მუდამ წინ დამხვდა ჟამი განვლილი
და დღემდე მართავს სოფელს პილატე,
ცოდვებისაგან ხელდაბანილი.
ჯერ არ ჩანს ზღვარი და წყალგამყოფი,
გაჩუმებულა ვარსკვლავთ კრებული...
ჩემში კვლავ იბრძვის, ვით იაკობი,
სული, სხეულზე აჯანყებული.

### პანთეონი

სულს შეჰყრია აგონია
სიკვდილ-სიცოცხლეზე ფიქრით,
ზოგს სამოთხე აქ ჰგონია, —
პანთეონის ღობის იქით.
აღარ ცხრება დიდებისთვის
ჯგლეთა, კამათი და დავა,
მაგრამ მხოლოდ ღმერთმა იცის,
სული რომელ მხარეს წავა.
გვამი მიწას მიეჩვევა,
სულს კი განსჯის მამაჩვენი,
ზოგჯერ ერთურთს არ ემთხვევა
ღვთის და კაცის განაჩენი.
რაც სოფელმა დააწესა,
თურმე სიზმარ იყო მიწის...
გვამი პანთეონში წევს და
სული ჯოჯოხეთში იწვის.

### ქალალდის ყვავილები

შემოდგომა წყნარად მიდის,
ჩაცხრა მცხუნვარება მზისა,
უცხო ქალი ყვავილს ყიდის,
ფერად ყვავილს ქაღალდისა.
ტყუილს მოკლე ფეხები აქვს,
მაგრამ ელტვის შორ მანძილებს,
თურმე სადღაც ერთდებიან
სიცრუე და სინამდვილე.
ვიღაც უნუგეშოდ კვნესის,
ქარი ქრის და სიცივეა,
შორით ყალბი ფიცი მესმის,
სადღაც ყალბი სიცილია.
ღიმილი თუ ყვავილს ჰგავდა,
ცრემლებიც ხომ ყვავილია...
თურმე ერთგულების გარდა
ყველაფერი ადვილია.
ახლა დაეჭვების დროს
და ტკივილით გადის წლები...
ზოგჯერ ჩემთან ჩუმად მოაქვთ
ის ქაღალდის ყვავილები.
სურვილები დამრჩა ობლად,
მახარებდა რაიც ოდეს
რაც არ ჭკნება წუთისოფლად,
არც ჰყვაოდა არასოდეს.

### მე და ჩემი ბელურა

თითქოს ოდნავ აცივდა,
დღეა ფერისცვალების,
სამხრეთისკენ დაიძრნენ
ჩრდილოეთის ქარები.
შემოდგომის ტკივილის
შეგუებას ვცდები,
ხეს ფოთლები დასცვივდა,
დაგვტოვებენ მერცხლები,
მაგრამ არსად არ წავა
ჩემი სოფლის ბელურა,
ერთმანეთის ერთგულნი
ვრჩებით უწინდებურად;
თავზე ქუდი, სულ მუდამ,
ჩვენებური გვეხურა,
სადაც გვშობა ბუნებამ,
იქ მოვკვდებით გლეხურად.

### მაინც უნდა წავიდე

ვცდილობ, მაგრამ თავს ვერ ვაჩვევ
ამ ცვალებად ამინდებს,
რამდენიც რომ დიდხანს დავრჩე,
მაინც უნდა წავიდე.
გული ჩემი ეჭვით წვალობს,
როგორ მინდა, ცდებოდეს,
თვითონ ხომ არ გაგეცალო,
სანამ მოგბეზრდებოდე.
მიჭირს იმედების პოვნა
და თავს მორცხვად გარიდებ,
რამდენიც რომ შემაყოვნო,
მაინც უნდა წავიდე.
არავისთან არ გსურს დავა,
ხარ მარადის მდუმარი,
ამ სოფლიდან მე რომ წავალ,
სხვა მოგივა სტუმარი.
მიმორბიან სადღაც ახლოს
დრო და ჟამის მსტოვრები,
ვინც წავიდა, არვინ გახსოვს,
არც მე გემახსოვრები.
ვცდილობ, მაგრამ სულს ვერ ვაჩვევ
წუთისოფლის ამინდებს,
რამდენიც რომ დიდხანს დავრჩე,
მაინც უნდა წავიდე.

# სკანდალური ბორის ჯონსონი







ლონდონის ყოფილი მერი, საგარეო საქმეთა ექს-მინისტრი, ახლა კი კონსერვატიული პარტიის ლიდერი და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ და ექსცენტრიულ პოლიტიკოსად მიიჩნევა. ცნობილი მოქეიფე შეურაცხყოფას აყენებდა კოლეგებს, აწყობდა ალკოწვეულებებს და ხშირად ხვდებოდა სექს-სკანდალების „გმირი“. სულ ცოტა ხნის წინათ მან და მისმა ახალმა მეუღლემ საკუთარ რეზიდენციაში ძვირადღირებული რემონტი წამოიწყეს. ბრიტანეთის საარჩევნო კომისიაში დღემდე იკვლევენ, საიდან აქვს ჯონსონების ოჯახს ამდენი ფული...

**კვლავ სასიძო.** „გამიკვირდა, როცა შეხვედრაზე მოწესრიგებული ვარცხნილობით მოვიდა. მაშინვე ვიფიქრე, რომ რაღაც მნიშვნელოვანი ხდებოდა“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრთან დაახლოებულმა ერთ-ერთმა წყარომ. იმ დროს ბორის ჯონსონის მომავალი ქორწინების შესახებ კოლეგებმა ჯერ არაფერი იცოდნენ — 56 წლის პოლიტიკოსისა და 33 წლის კერი საიმონდსის ქორწინების შესახებ ინფორმაცია ბევრისთვის მოულოდნელობა იყო.

ჯვრისწერის ცერემონია ვესტმინსტერის ტაძარში 2021 წლის 29 მაისს ჩატარდა. დღესასწაულს მხოლოდ 30 ადამიანი ესწრებოდა — კორონავირუსის გამო დიდი კომპანიები აკრძალული იყო. ქორწინებას ესწრებოდა წყვილის ვაჟიშვილი, რომელიც შარშან აპრილში დაიბადა. ის ბორის ჯონსონის მეხუთე ოფიციალური შვილია. პოლიტიკოსის გარემოცვაში ამბობენ, რომ მას კიდევ რამდენიმე შვილი ჰყავს, რომლებიც ქორწინების გარეშე გაჩნდნენ.

ეს ქორწინება ბორის ჯონსონისთვის მესამეა. პირველი ცოლი პოპულარული ჟურნალისტი და მოქანდაკე ალეგრა მოსტინ ოუენია, მეორე — ადვოკატი მარინა უილერი, რომელთანაც 25 წელი იცხოვრა. წყვილს ორი ქალიშვილი და ორი ვაჟი შეეძინა.

**„წაეთრიე ჩემი სახლიდან!“** ჯონსონის ახლანდელი ცოლი კერი საიმონდსი კეთილშობილი წარმომავლობისაა. მისი დიდი ბაბუა ჰერბერტ ასკვიტი პრემიერ-მინისტრი იყო, ის კი გაზეთ **The Independent**-ის დამაარსებლის მეთიუ საიმონდსის უკანონო შვილია.

საიმონდს მსახიობობა უნდოდა, მერე კი პოლიტიკით დაინტერესდა, კონსერვატიული პარტიის პრეს-სამსახურში მოეწყო და ოფისის ხელმძღვანელიც კი გახდა.

კერის და ბორისს საკმაოდ ხმაურიანი და მშფოთვარე ურთიერთობა ჰქონდათ. ერთ-ერთი სკანდალის დროს ქალი მამაკაცს სახლიდანაც კი აგდებდა. როგორც მეზობლები ამბობდნენ, ის ჯონსონს უყვიროდა: „გაეთრიე ჩემი სახლიდან!“-ო. ყოფილი კოლეგები კერის შესახებ ამბობენ, რომ თუ მას ვინმე არ მოსწონს, უნდა უფრთხილდეს.



**„ხმა მიეცით კონსერვატორებს და თქვენს ცოლს მკერდი გაეზრდება!“** ბორის ჯონსონს სკანდალური რეპუტაცია აქვს. საფრანგეთის საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა ჟან-მარკ ეირომ მას „კედელთან მიმწყვდეული მატყუარა“ უწოდა.

ბორის ჯონსონი პრემიერებისა და პრეზიდენტების მიმართ მკვეთრი გამონათქვამებით გამოირჩევა. მაგალითად, თურქეთის ლიდერ რეჯეფ თაიფ ერდოღანზე გამოთქმული მისი ლიმერიკის გამო ლამის დიპლომატიური სკანდალი მოხდა. სიტუაცია მხოლოდ ბორისის თურქულმა ფესვებმა იხსნა — მისი დიდი ბაბუა ცნობილი ჟურნალისტი ალი ქემალი იყო, რომელიც სტამბოლში დაიბადა.

ჯონსონი არც იმას მალავს, რომ მის ძარღვებში რუსული სისხლიც ჩქეფს.

დონალდ ტრამპის შესახებ პრემიერი ამბობდა, რომ ის „ჭკუიდან გადავიდა და საოცრად უმეცარი ტიპია“. ჰილარი კლინტონზე კი თქვა, რომ „ის შეღებილი თმით, სქელი ტუჩებითა და მკაცრი მზერით სულით ავადმყოფთა ჰოსპიტლის ექთანს ჰგავს“. მის მეუღლეზე კი თქვა: „თუ ბილ კლინტონი მეუღლესთან გამკლავებას ახერხებს, ის ნებისმიერ გლობალურ კრიზისს გადალახავს“.

2006 წელს ლეიბორისტულ პარტიაში არსებული კრიზისი შემდეგნაირად დაახასიათა: „უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ჩვენს კონსერვატიულ პარტიაში მივეჩვიეთ პაპუა-ახალი გვინეის სტილის ორგიებს კანიბალიზმითა და ბელადების მოკვდინებით, ახლა კი გახარებულები გაოცებით ვადევნებთ თვალს, როგორი სიშლეგე იპყრობს ლეიბორისტებსაც“.

მან ერთხელ ისიც კი თქვა, რომ ფარანჯაში გამოწყობილი მუსულმანი ქალბატონები „საფოსტო ყუთებსა“ და „ბანკების მძარცველებს“ ჰგვანან.

თავისი გამონათქვამების გამო ბორის ჯონსონს ბევრჯერ მოუწია ბოდიშის მოხდა.

2004 წლის მისი წინასაარჩევნო სლოგანი ასე გამოიყურებოდა: „ხმა მიეცით კონსერვატორებს და თქვენს ცოლს მკერდი გაეზრდება, თქვენ კი — **BMW M3**-ის შეძენის შანსი“.

**„პლუშის დათუნიად შენიღბული ეშმაკი მელა“.** ჯონსონი არისტოკრატების ოჯახში დაიბადა. მისი დიდი ბებია, ფრეილინა მარილუიზა დე პფეფელი დიდი ბრიტანეთის მეფის გეორგ II-ის ოჯახის წევრი იყო. ბორისმა ორი პრესტიჟული უმაღლესი დაამთავრა — ოქსფორდისა და იტონის უნივერსიტეტები.

მომავალი პოლიტიკოსი იქ მამაკაცთა კლუბს შეუერთდა, რომლის წევრები თავზეხელარებულ ცხოვრებას ეწეოდნენ — სვამდნენ, ძვირფას რესტორნებში დებოშებს აწყობდნენ, ამტვრევდნენ ავეჯსა და შუშებს და მიყენებულ ზარალს ნაღდი ფულით ანაზღაურებდნენ. სწორედ იმ დროიდან შეუყვარდა ჯონსონს ხმაურიანი წვეულებები.

უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ჯონსონმა ჟურნალისტის კარიერა დაიწყო და გაზეთ **The Times**-ში მოეწყო, საიდანაც დიდი ხმაურით გამოაგდეს. როგორც აღმოჩნდა, სტატიის ერთ-ერთ გმირს ისეთი გამონათქვამები მიაწერა, რაც მას არ უთქვამს. ამის შემდეგ ჟურნალისტურ წრეებში მას „პლუშის დათუნიად შენიღბული ეშმაკი მელა“ შეარქვეს.

ჟურნალისტიკაში იმედგაცრუებული ბორისი დიდ პოლიტიკაზე გადაერთო.

**„რემონტი კონტროლს აღარ ექვემდებარება“.** პოლიტიკური კარიერის განმავლობაში ჯონსონს ბევრი ბრალდება წაუყენეს, ბევრ სკანდალში გაეხვია და ბევრჯერაც გამოააშკარავეს, მაგრამ სიახლემ იმის შესახებ, რომ კერი საიმონდსმა პრემიერის რეზიდენციის რემონტი მოდურ დიზაინერს შეუკვეთა, რომელიც სამეფო ოჯახზე მუშაობს და მოპირკეთებისთვის დაახლოებით 200 ათასი გირვანქა სტერლინგი დახარჯა, ბრიტანელების აღშფოთება გამოიწვია.

ჯონსონი ამტკიცებს, რომ რემონტის ფული თვითონ გადაიხადა, მაგრამ მისი არ სჯერათ. ყოველწლიურად ქვეყნის ბიუჯეტიდან პრემიერის რეზიდენციის შენახვისთვის 30 ათასი გირვანქა სტერლინგი გამოიყოფა, თუ ეს თანხა ვერ იმყოფინა, დანარჩენი ხარჯი პრემიერმა თვითონ უნდა დაფაროს.

გაჩნდა ცნობები იმის შესახებ, რომ სინამდვილეში ხარჯები კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთმა სპონსორმა დაფარა. გარდა ამისა, მანვე გადაიხადა ჯონსონის ვაჟის ძიძის ხარჯებიც. სამეფო ოჯახთან დაახლოებულმა აღშფოთებულმა მულტიმილიონერმა განაცხადა: „მე მზად ვარ, გადავიხადო წინასაარჩევნო ხარჯები, მაგრამ ვალდებული არ ვარ, პრემიერის შვილსაც უკანალი მე ვუწმინდო“.

ბრიტანეთის საარჩევნო კომისია, რომელიც თვალს ადევნებს პარტიული ფინანსების ხარჯვას, არსებულის გამოძიება დაიწყო.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

## ვულოცავთ!



**ოთხმოცი წლის იუბილეს ვულოცავთ ბატონ ირაკლი (კუკური) ბექაიას — რუსთავის გიგა ლორთქიფანიძის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობს, ხელოვნების დამსახურებულ მუშაკს, კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატს, ქალაქ რუსთავის საპატიო მოქალაქეს.**

**2017 წლის ნოემბერში ქვემო ქართლის გუბერნიისა და საქართველოს კულტურის სამინისტროს სახელით რუსთავის თეატრში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის თეატრის წინ გახნილია ირაკლი ბექაიას სახელობის ვარსკვლავი.**

**ბატონი ირაკლი არამარტო შესანიშნავი ხელოვანია, არამედ შესანიშნავი პიროვნებაცაა — გულისხმიერი, თანადგომისა და თანაგრძნობისთვის მუდამ მზადმყოფი, სიკეთისა და სიყვარულის გამცემი.**

**ვულოცავთ ბატონ ირაკლის 80 წლის იუბილეს და დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ.**

ბელა, პაატა ბექაიები; მანანა, ლექსო სტურუები ოჯახებით.

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

„საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
http://www.saertogazeti.ge E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირისვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99